

ლიტერატურული გაზეთი

№6 (334) 31 მარტი - 13 აპრილი 2023

ბამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



აკა მორჩილაძე
კონდრატე
ვითომ
ისტორიული ნიგნაკი

ფრაგმენტი მომავალი ნიგნიდან

აქ რაღას იტყვი? მოსკოვი. ყინვა და მაინც შავმტვრიანი თოვლი. მერედა-მერე ბალახს კი ღებავდნენ ხოლმე საჩვენებელ სამხედრო ნაწილებში, რათა ეხასხასა ისე, როგორც ეს ნახატებშია, მაგალითად, არქიფო ქუინჯის ტილოზედ, წვიმის შემდეგ რომ ჰქვია, მაგრამ თოვლს კი ვერაფერი განმსპეტაკებელი მოუძებნეს, რადგან იმაზე თეთრი ვერაფერი ეპოვნათ და ის სისპეტაკე თუ გამტვრიანდა, დიდ ულამაზობასა შობს.

ნიუ იორკ ტაიმის კორესპონდენტი ჰარისონ სოლსბერი კი იმ სისხამზე სასტუმრო მეტროპოლის ღონიერ ალაყაფთან იდგა და მაინც ამოვარდნილი გულის საგულეში ჩაყენებას ცდილობდა, რათა თვალთა ილბიან კვეთის წყალობით შეეღწია სასტუმროში და მერე კი იქ ეცადა შეყოვნება. ამ ამერიკელმა იცოდა: მეტროპოლისში მდგარიყო განთქმული ინდოელი მოღვაწე, თანამოსაქმე ჯავაჰარლალ ნერუსი და აბდულ ქალამ აზადისა, მბრძოლი ინდოთა თავისუფლებისთვის, ფანჯაბელი გმირი, ექვილი და თანდათან კომუნისტიც, საფუდლინ ქიჩლუ.

განთქმული ქიჩლუ, ვითარცა კაცი ფიქრიანი, ინდოთა ფერადოვან და უკიდევანო სამყაროს მცოდნი და ახალგაზრდა სამშობლო-რესპუბლიკის მოწყობისთვის მეცადინე, წინა დღეებში ექვს საათს მჯდარიყო ამხ. სტალინის ახლო აგარაკზე და ფიზკულტურელთა, მწერალთა, მწონავთა, მფრინავთა, მესაბანჯრეთა და სხვათა ხელობიანთა საუკეთესო მეგობართან ესაუბრა მიმდინარე ვითარების ცხოველ საკითხთა გამო.

ხალხური რენვის ნიმუშების გამოფენაზე ვითომ შემთხვევით შეხვედრილ სანდო კაცს ინდოეთის საელჩოდამ ჩაეკაკლა სოლსბერისთვის, რომეო, ამნაირი სახემოქცეული და განზე მაყურებელი ბატონი ქიჩლუ იმ საუბრამდე არავის ენახაო და გაენდო ერთადერთი წინადადებაც, ქიჩლუს რომ დაეგდო ზოგად საუბარში: იმან ერე სთქვა, ბრიტანია, სამყაროს ბოროტების წყარო, მალე აღარ იარსებებსო.

ინდოთ უპირობოდ გახარებოდათ, თუმცა ქიჩლუს წამხდარ იერის კი მაინც დაეფიქრებინა, ბრიტანიის გაქრობა რას უნდა ნიშნავდესო.

მოკალმე სოლსბერიმ სხვაც ბევრი ათასი იცოდა და მტკიცედ გადაეწყვიტა, ჟურნალისტურად მოენადირებინა ქიჩლუ იგი სახელოვანი, ოლონდაც ნამდვილ შემტევი და პირდაპირი ილეთებით და არა საელჩოში რეკვით და ათი წუთის დათმობის ღრითინით, რაიც შედეგს არაფერს მოსცემდა.

II-III



ყარამან ჯიქურაული

*

რას იტყვიან ჩემზე თუ უდროოდ გარდავედი (წავედი),
რომ ეცოცხლა, კიდევ ბევრს მოასწრებდა,
ბევრს გააკეთებდა,
დიდი ნიჭი დაიკარგა უკვალოდ!
სინამდვილეში, —
გავასწარი, რომ
ვერავის გაეგო ამ ნიჭის არარსებობის შესახებ.
ამ ქვეყნად არაფერი გამოვიდა და
წავედი იმ ქვეყანაში.
მექნება რამე —
გამოვგზავნი —
ნიშანს მაინც, რომ საზღვრებს მიღმა რამე არსებობს,
რომ მოზღუდული არ ვართ მხოლოდ ჩვენივე თავით.

IV-V

ნინო მშვიდობაძე

სურვილობანა

მეტიჩარა რომ ვიყო,
ავიბზუებდი ზედა ტურს მოხდენილად და ისე ვივლიდი...
ყანაც არ მოგვიტეხია,
შეშაც არ დაგვიჩხვია,
გავითანამედროვეთ ცხოვრება,
მაგრამ მონატრება მკლავს:
ბუხართან მიმჯდარი ქალების მონატრება,
სიმილს რომ სახელდახელოდ დამზადებული
საფშვენელათი ფშვნიდნენ.
ეზოში წამოსკუპებულ ზვინებს მაინც ეტყობოდა,
ქალმა რომ დადგა,
დედაჩემის ხელებს კი მოთიბული ბალახის სუნი
დღემდე ასდის...
შემოდგომასავით მსუყე იყო ჩვენი ძროხის რძეც,
მაგრამ მიკარებისაც მეშინოდა,
კუდს ისე გამალებით იქნევდა...
სულ ჩხრიალ-ჩხრიალით ავსებდა დედა სათლს და
სულ წუნუნ-წუნუნით ვსვამდით რძეს და-ძმა.
სადღაა ის სუნი, ის ფერი, ის ხმები...
ბავშვობამ გაიყოლა თან და თავადაც გადააჰყვა.
ოდესლაც ქმარიც მყავდა და ცოლიც ვიყავი.
სამჯერ დედობისთვისაც გავემზადე და
ყველიანი ნაყინის გემოც გავიგე,
მაგრამ ბედისწერამ ისე მწარედ დამცინა,
სულზე დასმული დაღვით დავატარებ თან...
ვერგაჩენილი შვილების დარდი გადამიყოლებს...
არადა, ვინ იფიქრებს,
რომ ცისხელაა ტკივილი და უფრო უსასრულოც...
იყო დრო,
ცხოვრების ავზნიანობას ბავშვური სიცილეჭით რომ ვჯობდი...
იყო ეზოში წამოსკუპებული ზვინების,
სათლში ჩაღვრილი რძისა და შეშის სუნი...
იყო...

და ახლა, როცა ასე ძალიან გავიოლეთ ცხოვრება,
მე —
ოდესლაც ვილაცის ცოლი
და სადედოდ სამჯერ გამზადებული უშვილო ქალი,
კლავიატურაზე სიცივე შეპარული თითებით ვწერ,
რომ
ცხოვრება დედაჩემის ამოყვანილი ყველივითაა —
ოდნავ მარლიანი და მშობლიური...
ამასობაში კი კოცნის გემოც გადამავიწყდა...
მივატოვებდი ამ თანამედროვე სამყაროს,
გავექცეოდი ყველა ქუჩას და ყველა შესახვევს,
გავექცეოდი ჩემსავ თავს და
ჩემი ბავშვობის სანახებიდან გამომხობილ
თმაანენილ და კანჭებმალ ბიჭს
მხარზემოდან გადავძახებდი:
ნეტავ კი ამიშვატებდე,
ჩემო გაჯგუშულო ბიჭო...

VIII-IX

დასაწყისი პირველ გვერდზე

მეტროპოლიში შესაღწევად საჭირო იყო საშვი, ან მინვევის ქაღალდი, ანუ იგივე საშვი. ამ საჭირო ქაღალდის გარეშე სასტუმროს თუნდაც საჯარო ფეხსალაგში ვინმეს არავინ ჩამოაჯენდა. საჭირო იყო მოსანვევი იქ მაცხოვრებლისგან, ანდა წინასწარი ჯავშანი რესტორნის მაგიდისა, ანდა რაიმე ჭამა-ყლაპვის ფრონცკ ღონისძიებისა, რომელთაგან ერთ-ერთზეც მსოფლიო ომის ახალდამთავრებულზე კაი კონფუზოზა კი მოხდა, როცა ბრიტანიის და ამერიკის საელჩოებმა ერთობლივი სტოლი გაუმართეს ომის გმირ საბჭოთა გენერალთა, რომელნიც კი იყვნენ თავიანთ სამხედრო სამოსში გამონკეპილინი, მაგრამ მეუღლენი თვისნი უმეტესად გერმანელ ფაშისტ მდიდართა ოჯახებიდან ნაკონტრიბუციოდ კაბებში გამოენყოთ და როგორც იმ თვალჩათვალს ინგლისელ არისტოკრატის მცოდნეებმა და გამოცდილმა ამერიკელმა დაღესის ჯეილებმა დასთვალეს, ას სამოცდაორ გენერალთა ცოლთაგან სამოცდაცამეტს პენუარი ჰგონებოდა საღამოს კაბა, ვთქვათ ლუჩია დე ლამერმურზე დასასწრები და იმითვე შემოსილიყო, ოცდაჩვიდმეტს კი ფაშისტურ თანამეცხედრეთა ლამის პერანგი ჩათვალა ასეთად და იმით ინონებდა თავს. ამა ყოველ ბოგანობას, თუ საბრალობელ მდაბიურობას, თავის ნაპერწკლით ჩრდილავდა მესამ რაიხიდანვე წამოზიდული თვალ-მარგალიტებით შემკულობა ამ ასეთქმულ ბანოვანთა სხეულთა ზედა, მაგრამ დამნახავმა დაინახა და საუკუნო ამბადაც შემოინახა, როგორც კიდევ სხვა, პარიზსა შინა მყოფ საბჭოთა მოღვაწეთ გაოცებისა, რომელთაც ფრანგული რამ დასაბანი სადგამი რალაც ადგილთა, სახელით ბიდე, საჯაროდ წყლის სასმელი მცირე შადრევანი ეგონათ და ოხუნჯობდნენ, დახე, რა უცნაური ხალხია ეს კაპიტალისტები, რად უნდათ, წყლის სალევი უბორნიასა შინა რომ გაუმართავთ და თან ასე დაბლადო. ერთი-ორჯელ დაუჩოქნიათ კიდევ იმის წინართ, რომ დასწვდომოდნენ, რა წყალია ასეთით. ეჰ, განა იმ წყულ რუსეთის იმპერიაში არ იყო ბიდენი? მაგრამ რახან მხოლოდ რჩეულთათვის, თითქო გალინბა-ბოგანობას ბანვა არა სჭიროდა, ხალხმა არ იცოდა, რა მონყობილობა ყოფილიყო, ბალსუნიკებმა კი ეს გამოიყენეს: ყოველივეს, რაც გასცდა კომუნალური ბინის საერთო ფეხსალაგს და ნიავიან სასოფლო ჩეჩმას, ფუფუნება ეწოდა, თუმცაღა მხოლოდ სახალხოდა.

თქმულია დიადისაგან: ჩვენ, ბოლშევიკები სხვანაირი ცომისგან ვართ ნაზელნიო. მაგრამ განა ცომს უნყლოდ მოზელ? ხოლო საცა წყალია, იქ იტყვიან ხოლმე, მანდ არაფერია, წყალიაო. წყალწყალაო. ამასობაში კი, მთელ მოსკოვის არასამთავრობო ნაგებობათა და სახალხო აბანოთა გამოკლებით, ეს მეტროპოლი საუცხოო იყო ცხელი წყლისა და საუკეთესო შხაპის მხრივ და იქ ბიდეებიც მოიძებნებოდა. უთუოდ. ასეთივე იყო მეორე ოტელიც, ნაციონალი, სადაც ოდესღაც ლენინსაც კი ეცხვოვრა და სოლბერიც მდგარიყო საბჭოეთში ყოფნის პირველ დროებში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, სანამ დი წარმოითქმოდის იმ დამანგრეველი სიტყვა ფულტონში და მსოფლიო ხალხებს დეენახებოდა, რომ ესესერი მხოლოდ იგივე სპეტაკი ფაშინთან ომში გმირ-გამარჯვებული გარდაქმნა კი არაა, არამედ დიდ პირშავობასაც იმოქმედებს ერთ მშვენიერ დღეს, მოკავშირეთა წერა-კითხვის ოსტატნი მოინვეოდნენ ხოლმე ესესერსა შინა და იმათ შორის უცნობილესია ჯონ სტიენბეკი თავისი რუსული დღიურით, მაგრამ აქვე იყო ჩამოძახებული ინგლისელი ჯონ ბოინტონ ფრისტლიც, რომლის პიესებიც ამ ამბებიდან ოცი-ოზდახუთი წლის შემდგომ კინოებდაც კი გადაიღებოდა უკვე ცოტა სხვანაირ საბჭოთა კავშირში, ვითარცა ბურჟუაზიულ წყობის მხილება და თან დახვეწილი ანგლიწური დრამატურგია და რომლის რომანი ჩამოხნელება გრეტლიში ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია მეორე მსოფლიო ომის ჯამშურ ბრძოლის შესახებ. ჰოდა, თავის დღიურში ფრისტლი პირველს იმასა სწერდა, ვიმ, რა ქაფქაფა ცხელი წყალია თბილისის სასტუმრო ინტურისტის სააბაზონებშიო, ჩვენსა ჯერ არ არიო.

ახლა გაშინჯე, რომ თუკი თბილისის ერთადერთ საცნობილუცხოელო სასტუმროში დაუნანებელი ცხელი წყალი მოე-

აკა მორჩილაძე
კონდრატი



ვითომ
ისტორიული წიგნაკი

ფრაგმენტი
მომავალი
წიგნიდან

დინებოდა, როცა თბილისელები მხოლოდ აბანოში დაიარეობდნენ იმ განთქმულ პატარა ჩამადნებით ოციანი წლების მოდისა, იმასთან შედარებით რალა სიქაფაფე ითქრიალებდა მოსკოვის მეტროპოლის და მეორე საფუფუნებოს, ნაციონალის სააბაზონებში.

შესენებია: ჰარისონ სოლსბერმა იცოდა სუნი მეტროპოლის სააბაზონებისა: იქ ერთი-ორ კაცთან სასაუბროდ სწორედ სააბაზონაში ჩამოძვდარიყო ერთ ალაგას, რახან თანამოსაუბრეებს სცოდნოდათ, რომ ოთახში ლაპარაკი საუცხოოდ მოისმინება, ხოლო თქრიალ-ჩქაფანი, განსაკუთრებით ცხელი წყალისა, თუ იმას დაუნანებლად გამოუშვებ საბანაო ვარცლში და თან ხმადაბლა იტყვი რამეებს, თავისი ჩანჩქერობით დაიცავს შენს ნასაუბრებს და იმას მალევე, თანამედროვე სიტყვა რომ მოვიშველიოთ, კრებსად ვერ მიუტანენ ბოროტ დიდმოხელეს, მისი ხელქვეითი შავძალეები, შეწირულნი, ანდა ფეიცისკაცი შიშიანი და ბოროტი ერთგულებისა, რომელნიც კი იცვლებოდნენ ჟამითი ჟამად, მაგრამ არსით და ფოსტალიონობით იგივენი რჩებოდნენ და მიუძღვნდნენ საკუთარ და სხვათა ცხოვრებას იმას, ვინცა ხედავს თავს უპირველესად.

მეტროპოლის საშვის ერთი თავისებურებათაგანი კი ისიც იყო, რომ ცალკე ქაღალდი სჭირდებოდა სტუმრის საკუთარ ოთახებში, ანუ ნომერში ლამის თერთმეტ საათამდი ყოველგვარ უფლებას. ამ საბჭოთა ოტელის ყოველმა საზრიანმა სტუმარმა იცოდა, რომ ნომერში თავისუფლად ლაპარაკი არ შეიძლებოდა, რახან ნახსენების დაკვალად, ესე ოთახები გამოტენილი იყო იმ დროის პირობაზე შეუმჩნეველი ხმის ჩამწერი მონყობილობით. ჯერჯერობით დამნახავი და დანახულის ჩამწერი ხელსაწყობი საქმეში არ ჩაეყენებინათ, თუნდაც იმიტომ, რომ ამხ. სტალინს მეტად არ მოეწონა ტელევიზორი და საბჭოთა ხალხის საჩუქრად აკრძალა, მაგრამ ამ უპირველეს სასტუმროში შემალულმა მუშაკებმა ხმისა ყოველივე იცოდნენ. გინდა დაიჯერე, მომსმენთა შორის იყვნენ თანაყოფაშეცნობის ხმათა ნიჭიერებით შემგრძებნი და მერე მეგობართა წრეში სახუმაროდ გამჟღერებლნიც, რაიც ამ ამბებიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ კვლავაცა რჩებოდა სამშობლოს უსაფრთხოების მომსმენ მუშაკთა წრის პირადი ხალისობის, სა-

ჭიროებისა მიხედვით კი, მათგანვე განსაზღვრების საგნად, რახან ესესერი კი დაირღვა, მაგრამ მისი ბევრი არაფერი მომსპარა და თუ მიემატა, მხოლოდ ელექტრო-წინსვლა და საყოველთაო დიდი უნამუსობა, რახან ესესერის დროს ტეხოლოგია რჩეულთა საჩუქარი იყო, ხოლო დიდი უნამუსობა ძლიერთა ამა ქვეყნისათა უფლება და ვლადებულება. არაძლიერთაგან, მხოლოდ ზოგიერთი ეცდებოდნენ ხოლმე დიდ უნამუსობას შესწვდნოდნენ — დიდს. თორე ისე, ვინ ოხერი ერიდებოდა.

ესა სთქვი, განა ამხ.სტალინს ოდესმე ფიქრად მოუვიდოდა, რო რაც რამე ესმინა იმის ფიცისკაცებსა და მისთვის ეამბნა, ის რადიოსთვის დეეძახებინა? იქვე, შიგნით დაჭმუჭნიდა ამის გამფიქრებ კაცს უსაზღვრო და მათხოჯ ნითელ თავისუფლებაში, მაინც აზროვნულ ოცნების თავისუფლებაში.

მაგრამ, ფიე, აბა, ვილას შეაშინებ შიგნით ოთახში დაჭმუჭვნი და მიტომ გარეთ უნდა გაუუთავო სული და გამოაცალო ძალა, ვითარცა დევსა მას კოპალესგან შურდულცემულსა. ვაჰ, დრონი დრონი, ნაგემნი მტკბარადო, ორასი და კიდევ ორმოზდაათი წლის წინეთ დასწრეთა ერთმა ლენერალმა. არ იყო ურიგო კაცი, დაბადებით კი დეებედა, რო ყოფილიყო იმათკენ, რუსობაში დატკბილული, მარა კაი კაცი იყო. თუმცა, ეგ სხვა ამბავია.

მაგრამ კი უნდა დევეთხოვოთ ზენონ კოსილოვსკის ფიქრებსა, რადგან იმ ყინვიან დღიდან, ჰარისონ სოლსბერი რომ დიდი სასტუმროს ალაყაფთან შედგა, დღემდე იმდენი სულიერი ვერსტია, რომ ერთი კაი ცხოვრებაც იზეიმებდა, თუ გამოუვიდოდა.

მაშ, სოლსბერის ესაუბრა ხოლმე მხოლოდ მეტროპოლის სააბაზონებში, სულ ნოტიო, ორთქლიან და ცხელ ჰაერში, რადგან რესტორანსა და ბუფეტებში ყოველ მაგიდს ქვეშ შეემაგრებინათ მონყობილობა ჩამწერ-სასმენელი და იქ სულ ნამცეცა გულახდილობაც საქმეს კი არა და, ცხოვრებასაც ნააახდენდა და. ესეც ყველამ იცოდა.

ისევე ქაღალდებს რო მოვხედოთ, ესესერ გახლდათ ქვეყანა იგი რთული საშვის საკითხში. განსაკუთრებით, თავის ყველაზე ცნობილ დროებში ყოველივე ზეპასუხისგებისა, რაიც ასევე აღაშენა ისევე ამხ. სტალინმა უახლოეს ხელქვეითებითურთ.

რაგინდარა დანესებულებაში, გინდა პატარა, გინდა დიდ ადგილას შედნევის საბუთს მრავალნი სიზუსტენი სჭიროდა და აქედან გამომდინარი, რომელი ოცი დღის წინადეული სავახშმო საშვი გამოადგებოდა ჰარისონ სოლსბერის დილის სისხამზე, გინდა იქ ბუფეტი ყოფილიყო ჩანერილი, გინდა სხვა?

მეტროპოლის მაცხოვრებელი ბუფეტებში სურვილისამებრ მოიღებდნენ ხოლმე საუზმეს, სანინალმდეგოდ დიდი დარბაზისა და თუ რესტორანი არ უნდოდათ, დღის განმავლობაში უფრო მსუბუქ ტრაპეზეზე იქ მოინვედნენ ხოლმე სტუმრებს.

სოლსბერი არ იყო უცხო და მეკართანენი ცნობდნენ, როგორც უცხოელს, რომელიც შემოვიღის ხოლმე და მას ამათ შორისაც აერჩია სასურველი. ისე როგორ. თანაც, სასტუმროში შესვლა-გამოსვლისას მეკართანე მთავარი არ იყო, მაგრამ იყო ხოლმე გადაწყვეტი.

სოლსბერის ძველ მოსანვევში იღბლიანად ეწერა 8/2/1953 და მან შესაფერი საბჭოთამელინანი კალმისტრით, იმ რვიანს წინ ორიანი მიუწერა იმ დროის საბჭოთავე ციფრთწერის იერით, რაიც აჩვენებდა, რომ სწორედ ამ შაბათ დღეს შეუძლია სასტუმროში შესვლა. მაგრამ თუკი საბუთს ჩაუკიკრიტებდნენ, სულ იოლად აღმოაჩნდნენ, რომ ის ნაყალბევი იყო, რადგან იქვე აღნიშნული გახლდათ სტუმრის მორძანება-მოპატიუების მიზეზიც, „ვახშამიო“, რაც ქაღალდს აცუდებდა. საშვის ამ ადგილებს სოლსბერი რამეს ვერ მუხერხებდა და ამიტომ საეჭვო იყო, როგორ უნდა გაძლო იმ ქიჩლუს დანახავამდე.

თითქოს ჯობდა, თუნდაც ძველი, მაგრამ ნომერში შესასვლელი პირადი მოსანვევი ჰქონოდა, რომელიც სულ სხვაგვარი ქაღალდი იყო და სოლსბერი ასეთებს ინახავდა კიდევ, სწორედ იმავე მიზეზით, რომ საჭირო სიჩქარისას გამოდგომდა, მაგრამ ახლა შესაფერისი ვერ აღმოაჩინა და თანაც, იმან არ იცოდა, რომელ ნომერში დამდგარიყო ქიჩლუ.

წარმოიდგინე, რომ მოგინვია ვინმე ჯავარლარ მაფარლარმა, სტალიწური პრემიის ვინმე საერთაშორისო ლაურეატმა და ისინი ხომ იქვე შეამომებენ, რომ არავითარი ჯავარლარ მაფარლარი იქ აღარა ცხოვრობს. ჰაას ჰოოსი, კომუნისტი საიდანამე — არ ცხოვრობს. თანაც, ამგვარი მოსანვევეტი მხოლოდ გასული წლისა მოიქეცა ამ ამერიკელმა მოკალმემ და იფიქრა, რომ 1952-ის 1953-ად გადაკეთებას ისევე რვიანისთვის წინ ორიანის მიწერა ჯობდა. ყველა შემთხვევაში საქმე სახიფათო და საწვალელები იყო, არა იმიტომ, რომ თუკი სიყალბეს აღმოუჩნდნენ, სოლსბერის სადმე ჩააჯურღმულდნენ, არამედ იმიტომ, რომ გაანვალდნენ და კიდევ მეტ თვალყურში მოაქცევენ, ხოლო მეტროპოლიში შესვლა ეგებს საერთოდაც აკრძალათ. მეთვალყურე იმას არ აკლდა: მანქანაც დაჰყვებოდა, მაგრამ ჩაჯინებული მეთვალყურე ხომ უარესია, ვიდრე მეთვალყურე რომელსაც მოშვიდა, ან სულაც საპირფარეოდ მოუნდა და მხოლოდ ზიზლითა ფიქრობს სათვალყუროზე და არა ზიზლითა და გაჯიქებული მონდომებით.

სოლსბერი მოთვალა ასე, რომ ბაქონი ქიჩლუ, ვითარცა კაცი მეზრძოლი, დილის ძილს არ გააბამდა და ადრიანადე ჩავიდოდა სასაუზმოდ. მაგრამ ესეც იფიქრა, რომ სასტუმროს ჰოლში მას უკითხავად დიდხანს არ გააჩერებდნენ და ამიტომ, იმგვარად უნდა შესულიყო იქა, რომ დიდად ცდაც არ დასჭირვებოდა და ისიც შეეცნო, რომ ეს ქიჩლუ ორ სიტყვაზედ შეეყოვნებინა და გასაუბრებაზე დაეთანხმებინა.

ამგვარი ფიქრის ხარვეზად სოლსბერი იმას ხედავდა, რომ სასაუზმოდ ქიჩლუს ჩამოსვლის ზუსტ დროს ვერაფრით გამოითვლიდა, თუნდა ის უკვე ჩათვალა სისხამზე წამომსტომ, სპარტელ კაცად. იმასაც ფიქრობდა, ეგებს ნომერშიც ისაუზმოს, როგორც სახელოვანმა კაცმაო, თუმცა იმედოვნებდა, რომ მეტროპოლის საპატრიო ნომრების სააბაზონო ოთახი ამნაირ კაცსაც მოხიბლავდა თავისი ცხელი წყლით და ეგებს დაუნანებელი ზომის ვარცლში ნებივრობას მეტი დრო წაელო, ვიდრე ამას ხსენებული შორეთელი კომუნისტი წარმოდგენდა თავის კომუნისტობაში.

კომუნისტიც მოტრფილვა ცხელ წყალში დგაფუნისა და განრბილებისა! ქაფქაფას მერე, თუნდა დაბანის ფუფუნებად ქცევის მოშიშარი კომუნისტი ერთი ხნით

კეთილ ადამიანად გარდასახება და ხორციელი მნიშვნელობაც გამოეზრდება. რაც გინდა თქვი და, ცხელი წყალი ერთი რამ მაინც ფუფუნებაა, როცა ის პირდაპირ ონკანიდან მოდის.

ის სააბაზანო კარგი ნომრებისა სოლსბერის ადრევე ენახა: დაუნახებლად მოთქრიალდა, რაიც განსაკუთრებულად აღატაცებდა ხოლმე დატაკ ან დანგრეულ მხარეთაგან მოსკოვში ჩამოსულ სხვადასხვა მოღვაწეთ, პარტიზანთ, თუ ამფეთქებელთ, ანდა ადრე მწერალთ, რომელნიც თავიანათ ქვეყანაში საბჭოთა წყობის დამკვიდრებას მცადებდნენ და მეტროპოლი კი იმათთვის მგონი წარმოადგენდა სწორედ საბჭოთა წყობას.

იმ დროებაში მეტროპოლის სასტუმროს კარში დღეგამოშვებით, მონაცვლეობით და კენტიად იდგა ოთხი შვეიცარი და ყოველი ამათგანი სოლსბერიმ გვარ-სახელთი იცოდა. ასე იყო, რომ ოთხთაგან ორი იშვიათად მეკართანეობდა, ორი კი, ხშირად.

ხშირთაგან ერთი, ოცდაათს მიტანებული ახალგაზრდა და უხიაგი, მეკართანის ხელობის დიად უმცროსობის და წარმომადგენლობით ქლესობის სრულყოფილ არა-მცოდნე, ზიზილ-პიპილეზიანი მოსახსამის და ქუდის ულამაზოდ მომრგები, გახლდათ ვინაი სიტყვით, სინამდვილემ ემგებეს პირდაპირი ლეიტენანტი, დროებითი შვეიცარობით ორგანოში რაღაცის გამო დაჩაგრულ-დასჯილი გარკვეულ ვადით და სოლსბერი ფიქრობდა, რომ იღბალი აცდენდა ამ სიტყვოს. ეს კი შეუშვებდა, მაგრამ შიგნით თვალს მისცემდა მორიგე ემგებეშნიკებს, აი, შემოვდა ნაცნობი ამერიკელი. ვინმეს ეგებ გაუკვირდეს, მაგრამ სოლსბერისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ მეკართანის თვალთა დუმის შიდა მზირთაგან პირველ შემჩნევამდე საჭირო დრო ეჩუქებინა. თუ შეუყოვნებლად შევიდოდა პოლში, ამერიკელს შეეძლო, იქ ქიჩლუს გამოჩენამდე გაეტანა თავი, რადგან როგორც უცხოელს იერი უცხოელისა ჰქონდა და ეგებ სასტუმროში მაცხოვრებლადაც ეფიქრათ შიდა შემომწმელებს. უპირატესად ასეც მიიღებდნენ, ოღონდ კი მეკართანის თვალი არ გაჰყოლოდა, ვინაიდან სურათი იმგვარი იყო, რომ პოლში მორიგეობდა რამდენიმე, შეძლებისდაგვარად კარგ კოსტუმში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი. ესენი, ძველი სიტყვით რომ ვთქვათ, მცირე ნოდების, ახლადფეხადგმული ემგებელები იყვნენ და ევალბოდით შემჩნევა-ამოცნობა-შეჩერება-შეკითხვა.

სულ ასეთი შვიდი მორიგეობდა მეტროპოლის დარბაზში სამ ცვლად და გამოდიოდნენ ოცდაერთნი. თუკი მეკართანე ალაყაფს გარეთ იდგა და წინასწარი ზერელე შემონმება-შეთვალთვრებით გამოულეებდა კარს მოსულს, პირველი ახალგაზრდა მზირი კარიდან ერთ ნაბიჯში მოდგებოდა და გამჭოლ მზერით მიაცქერებოდა ხოლმე შემომსვლელს, თუმცა ამ გამჭოლობას ნამით გადისროდა მეკართანის მზერის შესახვედრად და ეს უკანასკნელი კი ან თავს დაუქნევდა, ან შემოსულის არასაიმედოობას და არაკანონიერებას მიანიშნებდა მზერით. კარგი სახიობა კი იყო, ოღონდ ამ მორიგე ბიჭებმაც იცოდნენ, რომ გააჩნდა მეკართანეს.

მეკართანის შემონამზერის კვალად ალაყაფის პირველ ბიჭს შეეძლო, შეეყოვნებინა სასტუმროში შემოსული კაცი შეკითხვით: თქვენი მოსაწვევი? და გაება მისთვის ჩამჭრელკითხვიანი საუბარი, იმასობაში კი დარბაზში მორიგე მისი ორი ამხანაგი მოუახლოვდებოდნენ მოსაუბრეთ და თუკი შემოსული გაძლიანდებოდა, მკლავზე ჯერ მსუბუქი, მერ კი შეუმჩნეველი, მაგრამ ღონიერი, ნასწავლი ხელის მოვლებით ნააჩიქრიქებდნენ სანახევროდ შემინული ოთახისკენ, რომელიც მდებარეობდა დარბაზის შეუმჩნეველ კუთხეში და თავიდან საჩუქრების მალაზიის გამგის სამყოფი ეგონებდა კაცს, იქ კი იჯდა ამ სამჯერ-შვიდეულის უფროსი, რომელიც სკამსაც მისთავაზებდა მასთან შემოყვანილ არმოსანონ უცხოელს, თუ საბჭოელს და მისი წარმომავლობისდა მიხედვით და საჭირო ენის მორგებით, ნამდვილ, რბილმომუბარ დაკითხვას გაუმართავდა.

იმხანად ამ ჭაბუკთა უფროსად და მალაზიურად შემინული ოთახის გამგებლად გახლდათ ვსეკლოდ ვლადიმირის ძე ვლადიმირი, ძველი ჯაშუში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სადღაც გადა-

კარგულიყო, მერე თავად მოეძებნა საბჭოელი და შინ ჩამოყვანილი ციხეშიაც იჯდა და დახვრეტის წიკბზეც იყო, მაგრამ როგორღაც ამოეთრიათ იმ ლუბიანის სიღრმეებიდან და ამხანაგებს მეტროპოლის მზირთა უფროსის თანამდებობა გაეხერხებინათ მისთვის, ამდენი ენა იცის, უცხოელეზში საუკეთესოდ ერკვევა და უკეთესი ვინ გასწევს მეტროპოლის შიდა მოხაზულობის მზირთა მეთაურობასო.

ეს ვლადიმირი იყო კაცი, რომელსაც თავისი არაპროლეტარული იერისა გამო, ზურგს უკანა ვინრო წრეებში ვაიმარის რესპუბლიკის კაბარეების პიდორად მოიხსენიებდნენ. თუმცა, იმავდროულად, სახელიც დიდი გავარდნოდა: ლენინის ორდენები და საბჭოთა კავშირის გმირობა დაუსწრებლად მიეღო, თუმცა ეს ჯილდოები მისგან მათ უნახავადვე ჩამოერთმიათ, ისევე, როგორც პოლკოვნიკის წოდება.

ახლა, იმკლებიდან ჩამოვარდნილი, ხშირად თავის ამ მცირე კაბინეტშიაც კი რჩებოდა ღამის გასათევად, რადგან შინ აღარავინ ელოდა. ისედაც ოცდაათ წელიწადს უნახავი ცოლი შურორკა გავრილინა ციმბრის იქით რომ ქვეყნაა, იქ ჩამწყვდით ბანაკში და ასევე სრულიად უნახავი ოცდაათსავე მიტანებული ვაჟიც: რასაკვირველია, იმის გამო, რომ თვითონ ვლადიმირი ჩათვალათ ვილაცის ჯაშუშად და მისადმი ნდობა სულ დაკარგულიყო პარტიის მხრივ, თუმცა, ალბათ, პარტიაში მისი ხუთიოდე კაცმა თუ იცოდა კერძოდ მისი არსებობის შესახებ.

ასე იყო თუ ისე, ვლადიმირის ხელქვეით ყოველ ცვლაში მყოფი შვიდი ახალბედა დარბაზში განანილებულიყო შემდგნაირად: ერთი კართან მყოფი, ერთი რესტორნის შესავალთან მორიგე, ერთიც ბუფეტთან და ოთხნი კი საკუთრივ დარბაზში, მოძრავ-მომთვალეირებლებად, რომლებიც კარებთან მდგომთ ნახებარებოდნენ ხოლმე, როგორც კი რომელიმე ამათგანი ვინმეს შეაყოვნებდა, უამისოდ კი, ევალეზობდათ დარბაზში მჯდომი სტუმრებისა თუ მაცხოვრებლების მოუღლები თვალთვრება და მათ გადაადგილებზე თვალყურის დევნება წინასწარ დახაზული შემონმების არეებით. სხვათა შორის, ეს წინასწარ დახაზული, მთელი დარბაზის, ლიფტებისა და კიბეების უცდომელი ერთდროული ცქერის ნახაზი სახალმოდ შეედგინა სწორედ ვლადიმირი, რომელიც წინა ნახაზი დაუხვეწავად მიეჩნია და ეს ახალი ბიჭებსაც მოსწონებოდათ, ჭადრაკსავით არისო. ერთულეობდათ, მაგრამ უხილავ ფანდებ-

ის სწავლებლაში აუცილებლად ეგრძნოთ. შურისგარევი კი უხერხულობდნენ, რომ ვლადიმირი მსოფლიოს ყველა ენაზე ლაპარაკობდა, თვითონ კი ჯერჯერობით მხოლოდ ერთზე, მაგრამ ეს გარკვევით და ზუსტად მეტყველი კაცი უფროსად კარგი იყო და თანაც, გრძობდნენ, რომ უჩინართა ნამდვილი მუშაკობის მსურველი მისგან ბევრს ისწავლიდა. საერთოდ არაფერი იცოდნენ მის შესახებ, გარდა იმისა, რომ მათი მეთაური იყო ამ სასტუმროში და სასტუმროს გარეთ კი არასდროს ენახათ.

სურათი დარბაზისა და მის მზირთა უფროსისა ზოგადად, ვინაობათა გარეშე, იცოდა ჰარისონ სოლსბერიმ და ამიტომაც სასტუმროში იღლიანად შესვლის საუკეთესო გზად დაენახა, რომ ამ დილით მეკართანედ მდგარიყო არა რომელიმე დაჯარიმებული ემგებელი, არამედ უცხოელთაგან მეტროპოლის პირისახედ დამახსოვრებული, წინა საუკუნეების საიმპერიო ქილგამ-წვერობით განთქმული, ხარლამპ ისაიჩ კრიუკოვი.

კრიუკოვი გახლდათ კაზაკი; ოდინდელი დამალული იასაული და მონაწილე ატამან კალედინის ჯანყისა. როგორც ჩანულ რადიოს ხმით ამბობდნენ იმ გარემოში, არაერთი ნითელარმიელი აჩეხა ან სადღაც გადამალული ძველი სახაზინო ხმლით რუსთა სამოქალაქო ომისას.

ამ ზამთრის დღიდან ოცდაცამეტოდ წლით უადრეს კრიუკოვი მეკართანედ მოხვედრილიყო ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ქვეყნად არავითარი ინტურისტი არ არსებობდა და საბჭოთა მინებზედ უცხოელ მოგზაურის შემოსვლას განაგებდა საკავშირო სააქციო საზოგადოება ოტელი. რუსულში ხომ ან ფრანგული სიტყვაა ბევრი, ან გერმანული და ეს ოტელიც იქედან შემორჩენილიყო. კრიუკოვი იოლად მიელოთ, რახან, ვითარცა კაზაკს, არა მხოლოდ კაცის კვლა ეადვილებოდა, არამედ განთქმული რუსული სიტყვის ქვეშ დამალულ უნარიც, ხიტრაჟობა რომ ეწოდების, რაც ჩვენებურად ეშმაკტრაკიანობა გამოდის, ანდა მთლად თბილისქალაქურად რომ ითქვას, შემნრეულობასაც.

კრიუკოვი კარქა ფლობდა კაზაკის გმირ-ჩათლახურ-წმინდაულვამობის ოსტატობას და რაღაცით ჰგავდა განთქმულ როპშინის წიგნის გმირ ჯალათა-კაზაკს, რომელსაც ერთ დროში იოლად მოურგია ახლა ცხიზრებაზედ თავისი სისხლისმღვრელი წარსული, თორემ, საზოგადოდ იმფერ კაზაკებს, კრიუკოვი რომ იყო, საბჭოთა ხელისუფლება 1917 წლიდან 1965

წლამდი ისე ხვრეტდა, როგორც ქვეყნის მტრებსა.

კალედინის ჯარებიდან გამოსვლის შემდეგ კრიუკოვი გაუშო წვერი და განსაკუთრებით კი, უღვაში და სწორედ ამ ბიბლიურ ნაზარდის წყალობით წარსდგა სასტუმროთა სამსახურის უფროსთა წინაშე ტყუილი ცნობებით, რომ ოდესღაც ყირიმის დიდგვაროვან ბოჰემურ კლუბებში მდგარიყო მეკართანედ. რახან სააქციო საზოგადოება ოტელი ჯერ კიდევ ნების დროს მოქმედებდა, ხოლო ნეპი აცოცხლებდა წარსულის სახეხატებათა სურათებს ფულისათა და ლატაკთა თვალში, იგი მიიღო მეკართანედ, ხოლო თვალმე, როცა ოტელი ახალ საბჭოთა დაწესებულებას, ინტურისტს შეუერთდა, მანამდე რაღაცრამ სასტუმროების კარში მდგომ კრიუკოს წვერ-ულვაში შეუმომწეს და პირდაპირ მეტროპოლის მეკართანედ დააყენეს: აჰა, ატყუე უცხოელთა მზერაო.

აქ, ნაკლებმცოდნეთათვის გასარკვევია სიტყვები ნეპი და ინტურისტი. მეორე, საბჭოთა ტურიზმის მონოპოლია იმ დროიდან, როცა ამხ. სტალინმა და იმისმა მორჩილმა ამხანაგებმა, ალტაცებულმა აზრით, ჩვენ ვიქნებით, ჩვენი ნააზრევი ამპრთავსო, ძალაუფლების მოგდება იწყეს 1929 წლიდან, რისთვისაც ადრევე ემზადებოდნენ. სწორედ ამ წელიწადს გაუქმდა ნეპიც, რომელიც არს ქართულ სიტყვათთარგმანებით ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის არსიც ის იყო, რომ ხალხს გეხსენა დუქანი, მცირე საამქრო, რაღაცის აშენების ფოდრავი მიელო და ასე დაუსრულებად, რაიც ჰგავდა კაპიტალისტურ წყობას ბალშევიკურ ოცნებაში მხოლოდ იმისთვის, რომ ბოლშევიკთა მთავრობას ფეხი როგორღაც წამოდგა და უცხოთა თვალშიც მეტ-ნაკლებად აღამიანად გამოჩენილიყო. ამან გასტანა ლენინურ მცირედ აზრზე ყოფნიდან სწორედ ხსენებულ წლამდი და მერე კი, გაუქმდა, თუმცა დასტოვა ფესვი ნაირგვარ ქვე-კულტურათანი, აღუნიშნავნი საბჭოურ მატიაწები და ასე თუ ისე დარჩენილ ლაპარაკებში: ძნელად აღსადგენი და დასახანი, მაგრამ განსაკუთრებული.

ჰოდა, ამ ისტორიულ ვითარების იღბლიანობით სდგა კარსა შინა მეტროპოლისასა კრიუკოვი ხარლამპ ისაიჩი, რომელისთვისაც არაერთხელ ჩაეკუჭა ფული ჰარისონ სოლსბერისი. საბჭოთა ასიგნაცია იმ დროისა, უკვე შეცვლილიც, საკმაოდ ძნელად დასაკეცი იყო, გინდა ის დაგეყეცა, გინდა სარაგოსაში ნაპოვნი ხელნაწერი, ანდა წესდება ვარდის და ჯვრის საზოგადეებისა. უშველებელი იყო, ვითომ სიდიდე განსაზღვრავს ძალასა.

ბოლომდე ლიებმეკრულ პალტოს უკვე გაჩვეულმა ამერიკელმა დაინახა, რომ სწორედ გრძელწვერა კაზაკი დგას კარში. სოლსბერი იყო შემომტანი ორი სერთა-შორისო საბჭოთა სასტუმროს კარში შესვლისას ფულის ჩაკუჭის ამერიკული ოსტატობისა, როცა ეს საბჭოთა ცვალებდ-ზიმიანი ფული დოლარიანის მსგავსად უნდა გაეკო, დაიდო ხელის გულზე და ჩამორთვა ნაკეცფულიანი ხელი რაგინდარა მეკართანეს. ეს ამბავი იცოდა თავის მრავალფეროვან ცხოვრებიდან და ხანძისშემდგომ ჩიკაგოდან, მგონი, ყველა ამერიკელმა და სოლსბერისაც გაეზიარებინა ამგვარი დაქრთამვა კაზაკ კრიუკოვისთვის.

სოლსბერი ახლაც მზად იყო და ექვსჯერ გადაკეცილი ლენინისთავიანი ასიგნაცია გზადგა ზა გაემზადებინა კიდევ იმ დღის ყინვებში სასტუმროს სველად თამბაქოსფერ კარისკენ მიმავლს და ოდეს შემოეგება კრიუკოვი, რომელმაც მოულ-ოდნელად ქუდიც კი მოუხადა და ამერიკელისთვის აქამდეც გაუგებარი თავყანისცემითი მოძრაობაც მოასრულა ქუდის მოხდითა და ცრუ ცალ მუხლზე ვითომ დაცემით, სოლსბერი შეცბა, მაგრამ რახან კრიუკოვი ფულიანი ხელიც ჩამოართვა, შეექლესა კიდევ, კარიც გამოუღო და სოლსბერიმაც შეაბიჯა თამამად იღბლის ბუნდოვან სამფლობლო მოსკოვის სასტუმრო მეტროპოლში, იქ პირველ შემომხვევლად მას არ დაუხვდა მორიგე ბიჭი, არამედ თავად ვლადიმირი ვსეკლოდ, რომლის არცა სახელი, არცა გვარი ამერიკელს არ მოეხსენებოდა და არცა ეჭვად სცოდნოდა, მაგრამ შებიჯებისთანავე კი მიხვდა, რომ ელოდება ვილაც უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე უბრალოდ სასტუმროს შემომწმელები.





**ყარამან
ჯიქურაული**

*
ყველაზე მეტად წყლის დანყვეტა მაშინებს.
ზოგჯერ,
ბედნიერი დამთხვევით,
მიჯრით დაუწყვეტელი დღეები
თვეს რომ გადასცდება,
უნებურად გამეფიქრება: ვა, რა ხდება,
რატომ არ წყდება ნეტავ?!
და მეორე ან მეხუთე დღეს
წყალი აუცილებლად წავა/დანყდება.
არ მინდა, ჩემო მშობლებო,
თქვენს წასვლაზე ფიქრი,
ვაითუ ერთ დღეს წყალივით დამიწყდეთ.

*
პირველი ცდით კი ვერ გადმოიღებ თაროდან
„გზაზე ერთი კაცი მიდიოდას“,
იმდენად მასიურია.
დამწერის ახალგაზრდობის ფოტოსავით.
ოთარის ჯველობის ფოტო — ჰერაკლე დგა
და ვიცი მისი ბოლო —
ჩირივით გამხმარი შემოქმედი,
რომელმაც დიდი აფეთქება მოახდინა
და ისე დაინვა,
ფერფლიც არ დარჩა საკმარისი,
ფენიქსივით აღმდგარიყო.

*
დიდმა და გრძელმა ზამთარმა
გადაიარა წამებით.
ზაფხულმა მომაკვდავ იმედს
სულზე მიუსწრო წამებით.

*
დედა რომ კლინიკაში იწვა,
მწვეთავი ონკანის ქვეშ მიდგმული ჭიქა გაივსო,
რომელსაც ის
დროდადრო ღვრიდა ხოლმე და
თითქოს წყალმა წაგვიღო მთელი ოჯახი.

*
ახლობლებმა სანახავად გაუარეს და
მისი მდგომარეობა გა უ ა რეს და.

*
ქალს უწევს ბავშვი,
ქალს დედობა უწევს.

*
ქართული არ არის
არც მინა,
არც შუშა.
ქართული არის არშუშა.

*
სიყვარულგადატანილს
იისფერმა სევდამ გადაუარა.
თითქოს ნანგრევებზე ისეთი ბალახი მოსულიყოს,
მნახველებს ეთქვათ:
ვინ იცის,
იქნებ ეს ყვავილები
იმ შენობაზე ლამაზები იყვნენ,
რის სანახავადაც ამხელა გზა გამოვიარეთ.

*
იმ უსახლკაროსთვის
რას აღარ შესთხოვ ხოლმე ღმერთს,
და როცა ჩაუვლი, გაგეფიქრება: ნეტა არ დამიძახოს...

*
ვისაც უნდა, რომ ახალწელს
შეხვდეს არხილოსკალოში,
წრიაპნი უნდა ჩაიცვინეს,
გაიმარხილოს კალოში.

*
კვილი მორთო — მუნკის ნახატს წვიმები ჩამოკიდა.

ბორელი მინალი

— ვისაც ქალამნები ამოვუსხი,
ჩემმა შვილმა ყველა ერთ გზას გაუყენა.

ბატაჰის მწყემსი

ბაკში ბატები შეულაღია,
დაღლილი არი ეულაღია.

*
სიკვდილის მერე დაფასება —
მარაო ფანჯრის რაფას ება...
ვეცადოთ და ნუ მოვიქცევით სუყველა კაიაფასება.

*
ჩიჩენ იცას ჩეჩენ იცავს.

*
ახლა დიდი გვინდა კანოე,
სხვა კიდობანი და სხვა ნოე.

*
პოეტის მშობლები:
ვწერეთ ვარდნი და ვწერეთ იანი
შედეგი — დავით წერედიანი.

*
ეს სიბრძნე მუდამ იბზინებს,
თუნდა დაედოს მტვერი —
დახედავ — მეგობარია,
გადმოაბრუნებ — მტერი.

*
ქრისტემდე 612 წელს
ორი ხელმწიფის ჯარმა
წინეგია აილო და ასურეთი დაეცა...
ბაბილონის მეფეს ნაბოფალასარი ერქვა,
მიდიისას — კიაქსარი.
ეჭვი არაა,
მიდიელი იგივე ფხოელთა ხატია,
ავისგორს დაბძანებული.
მოსაზრება ეყრდნობა
არა ევფონიურ მსგავსებას,
არამედ ბარელიეფის ერთ დეტალს —
როგორ სწევს
ტაბლასთან მჯდომი მიდიის მეფე
სასმისს შუაფხოელი ხევისბერივით.

*
ასე მგონია ქუთისია
ეს დანყველილი ბირობიჯანი,
პრაგულკაზე რო გამოგვიყვანენ,
მესალმებიან: ბარო, ბეჟანი!

*
თუ გინდა კიდე შეგვეძლოს,
ზეცისად თვალის შევლება,
ხორცს ნუ შევასხამთ სიყვარულს,
წანალიმც შემოგველება.

*
Men of quality, don't fear equality —
კაცებს ხარისხიანებს სხვა არ არისხვიანებს.

ქართული არმიის შუალედურ გამოცდაზე

ქართული სამხედრო სკოლის
შხარა და კილიმანჯარო!
მინიშნებასაც მოგართმევთ —
განირა შვილი მან, ჯარო...

*
ევროინტეგრაციაზე
დავწერე საბაკალავრო,
ნატოში მაინც შეგასწრებთ,
იყეფე, საბაკა ლავროვ...

ქვეითს მანქანა დაჯახა ქუჩაში.

მე შემიშინდა და

გზა გავაბრკავე

**ფშაური ხმით ნატორლის
საზომით გლოვნა
თავის თავისა**

კაც პირქვე ეგდო,
არ იძვროდა.
მე შევხედე და გავიარე.
ბევრი არ მივლავ,
შემოვბრუნდი,
ანდა რა გული გამიძღვდა,
ანდა სინდისი — ზეცის შიბი,
ხო განყდებოდა სიმძიმითა (სიმძიმითა).
მივე. კვლა ვნახე —

წამოესვათ,
მოგონებულს სულს იქცევდა
(იმ სულს, წელან რო მიფუფურთხე).
პირზეთ სისხლი მოეწმინდათ,
ცხვირზედა სჭირდა ნატყვიარნი
(ორი მარცვალი ნახშირით
ასფალტისაგან ანაყოლი).
პოლიციაციც მოსულიყო,
სასწრაფო მაჯას უსინჯევდა —
კარგა დაეკრა წნევის ლენტი
და იქვე იდგა ორი მენტი,
არვი — რას რარა თათბირობდენ...
ჩვენს კითხვებზე კი პასუხობდენ
(მე, მეც კი ვკითხე ორი-სამი).
მეფონებოდა დამწვარ გულზე,
როგორც სასაზე „ჰოლისალი“...
მე კაი კაცად გამოვჩინდი,
თითქო წელან არ მივატოვე
გატანილიც და გამტანელიც,
ხალხის შევლას რო თხოულობდა...
თანდათან ჩქარში გადავიდა
გასაუბრება სამთა ნელი,
გულსკენ გზას რო პოულობდა...

*
 ეკლესიის ეზოში
 თეთრი ქალი ისვენებს.
 დანანებით დასცქერის
 მის ფეხებს და მის ვენებს.

კლიმაქსი

ორი წლის წინ რა მიჭირდა,
 სუნთქვას ხრწნილის გემოს არ ვაყოლებდი.

*
 იმიტომ რო ბებიაჩემს
 დავუკრიფო ციტრუსები,
 ნოემბრის დღე ფეხებს მაზრობს,
 სთველის მზეზე ვიტრუსები.

რამინისცანცია

სილაში ეჩრება სილაჩრე.

*
 მომენატრება, მარიამ,
 შენი ჭკვიანი სიტყვები,
 და ისიც მომენატრება,
 უბრალო ამბავს ვით ყვები.

ვიიონური

თეთრი მაიკით ამ თუთის ქვეშ გამვლელი არ ვარ,
 ასევე ვინდობ მის ამხანაგს — ხაკისფერ შარვალს.

*
 რა ძაან მომძალეობია
 მოგონებები ბავშვური,
 იდილიაში გავლილი
 ტაოური და შავშური.

*
 და გეყოლება თუ ქმარი
 და გეყოლება two ქმარი,
 შენი პრობლემა იქნება
 სუ სიყვარული უკმარი...
 რადგან გზა კაცის გულისკენ
 კვლავ კუჭზე გადის — Cook Mari!

*
 მთელი ცა ფეხად ჩამოდის,
 გვახრჩობს ლეშხი და ლეშტერი,
 და მიკვირს კიდე, ცის გახსნას
 რო ველოდები მე შტერი.

ფიქრები განათხროვრებულ და მონატრებულ ლეკვზე

მე იმდენს ვფიქრობ შენზე,
 ლამის შეგეხო კიდეც,
 ძილშიც ბრძანებებს გაძღვევ:
 ჩუსტი დააგდე! სიდეც!

17 მარტის რეპივივი

ამ დღეს გავიდა ქართული სული ზღვით.
 ამავე დღეს — 38 წლის შემდეგ
 გაფრინდა ქართული სული
 (1921 წლის 17 მარტს საქართველოს
 დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დატოვა
 ჩვენი ქვეყნის საზღვრები და ემიგრაციაში წავიდა.
 1959 წლის 17 მარტს კი გალა
 ფანჯრიდან მარადისობაში გადავიდა).

*
 ივინისმა ლამეს კაბა მუხლსზევით აუწია —
 სამზე გათენდა.

*
 ქარია,
 27 მაისია,
 ქუჩაში გამოვიდა ტაისია...

*
 შენი გული ხო არ მწყევლის?
 შენი გული ხო მლოცავსა?
 ამას მე ყოველთვის ვგრძნობ,
 განსაკუთრებით, როცა ვსვამ...

*
 არის ძალიან უდროო,
 რასაც გვიყვება ვუდროო.

*
 მკვდარივით ვარ —
 ვიცი წარსული და ვხედავ მომავალს,
 მარა ჩემ გარშემო რა ხდება,
 წარმოდგენა არ მაქვს.

პაატაური

საზოლადოება — ღადო მასტების კრებული.

ტარიელისაუპრი

ჩემო იელენა ბლავაცკაია,
 ისე იცხოვრე, რავარც კაია.

*
 ცაზე საიდუმლო სერობაა —
 მთვარე ხმიაღვივით შუაზეა გადატეხილი.

*
 არა, არა!
 ის ხომ დორაისმყოფელის დედაა,
 მასზე სხვაგვარად ფიქრი არ შეიძლება!
 თან ამის გაფიქრების აკრძალვას ის უიოლებდა,
 რომ მისი პირიდან ერთხელ ცუდი სუნი შეამჩნია.

*
 ფილმებზე ვტირი,
 მკვდრებზე არა,
 რადგან ვიცი —
 მათი ამბავი ნამდვილად
 კარგად დამთავრდა.

*
 მზერის გადმოტანის ხელოვნება.
 მისი გადმოტანისას ფრთხილად იყავით,
 როგორც ერთი საგნიდან მეორეზე.
 საგნიდან ადამიანზე.
 ადამიანიდან ადამიანზე.
 ის შეიძლება გატყდეს ან
 დაიმსხვრეს გადმოტანისას.

მგელიკა TREPANATOR

მგელიკა აღებს უჯრებივით ხევესურთა თავებს.
 აღებს და ხურავს.
 ბევრჯერ დაუკრავს
 კონვერტივით ამოჩრილ ტვინზე
 ხარისხის ლოგო — „აქ იყო მგელა“.
 ჭდედაჩნეულნი რიალებენ, როგორც ლანდები,
 და მაინც — არ იციან დანდობა.
 ერთ ხევესურს თურმე,
 ჭკვათსაკითხავს და კაცად საჩნევს,
 ზარდახმასავით გადაუხსნა ძვირფასი სკალპი.
 მათი თავების გასაღები მხოლოდ მას ჰქონდა —
 არასდროს ახდელ თავის ქალის
 ერთ ბნელ კუთხეში გადანახული.
 და როცა წარდგა სამსჯავროზე ასოთამწყობი
 და დათოვლილი
 გრძელი კენჩხა კრძალვით დახარა...

... ..
 ამ ლექსის ლოგიკური დასასრული
 გამოსთხოვა ავტორისათვის.

*
 რამდენ შარს გადამარჩინე,
 შენ ჩემო კაპიუშონო,
 ქვეყნისთვისაც რო გეშველა...
 შეძლებ რო მაპი უმოვნო?

*
 იქ ველარავის ველარ ნახავ,
 მუხლთაც ვერავის მოექნები,
 თუ მაინც ნახე, მოგრიდებენ
 (რომც ნახო, პირს მოგარიდებენ)
 ვეჭვობ, რომ შენთვის დრო ექნება
 იმას, ვინც უნდა გაპატიოს
 და კიდეც ერთი შანსი მოგცეს,
 ეგებ გადარჩე ჯაფათიო.

*
 სადღაც მსრბოლავმა ჩემმა სულმა
 ამ პლანეტაზე შეიქაქანა,

ღმერთი იმერულს ძრახვიდა:
 „ნათელი შეიქ აქანა!“

*
 სისტემატური ნიღბებისა და
 კარნავალური წარმოდგენებისას,
 ზოგჯერ ჩემს თავსაც ჩავრევე ხოლმე
 (ანუ როცა აღარვის ვბაძავ)
 და ვარ ერთობ მოსანყენი და უინტერესო.

*
 კაცი ქალიდან გამოდის (ედემის დაკარგვა).
 კაცი ქალში შედის (ედემის დაბრუნება).

*
 ეს ცხოვრებაც არაა უსაფრთხო —
 შეიძლება სასათბურე პირობები მოიწყო,
 იჯდე შენთვის
 გაზაფხულის ლურჯ-ნაცრისფერ სიმყუდროვეში და
 უბრალო წამოხვევებისას
 ნერწყვი გადაგცდეს სასულეში...
 შენც ნერწყვს გადაჰყვები სასულეში.
 ნერწყვა გამოთრია სასულეში,
 ჩიჩერონესავით მიმეგზურა.

*
 მე მოკლე ჭკუა მაქვს.
 სულ უნდა ვიკითხო,
 რო მახსოვრობის ჯაჭვი არ დაირღვეს.

*
 ბატკანივით თვინიერო,
 რად არა გაქვს ტვინი, ერო?!

*
 ყველაზე იოლი სიკვდილია —
 ყველას გამოუვიდა ყველა დროში.

*
 შენ უკვე რალაცას ხვდები,
 რაც უფრო დიდი ხდები...
 ალბათ კარტებსაც გახსნიან,
 როდესაც მოხუცდები.
 და თუ ბოლომდე გაიგი,
 სიტყვის უთქმელად კვდები.

*
 შუა თითივით საუკუნეები.

*
 მოზაგრე გოგოები,
 ლელვის ნახარშით მოზაგრე,
 მოსაგრეობის ახალი სახე —
 ახალმოზაგრეები.

*
 დავბერდი, ემოციასაც
 ველარ ვიკავებ შარდივით,
 ის დრო წავიდა, რო ვიყავ
 განელბული დარდივით.

*
 ვერ მოვუარე შეყვარებულს.
 ვერ მოვუარე ჯანმრთელობას.
 ვერ მოვუარე დედას.
 ვერ მოვუარე ჩემ დას.
 ვერ მოვუარე მამას.
 ვერ მოვუარე მეგობრებს.
 ბოლოს დავრჩი მარტო და
 რაკი აღარავინ დამრჩა ამის გამზიარებელი,
 მევე სამჯერ შემოვუარე თავს —
 გულზე ხელებდაუკრეფავს
 და უკვე ძალიან გვიან,
 მაგრამ ბოლომდე თვალეზახელილს.

*
 შეძახილი ლუდის პახმელიაზე:
 „გობლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“.

*
 მას მერე,
 რაც გულის მოძრაობის თვალეზით გადაცემა ვისწავლე,
 ცხოვრება გაიოლდა და გართულდა.



ყარამან ჯიქურაული

ტრისტან მასაუს

ყველაზე მეტად სიკვდილი ტიტემ გამიიოლა — ისე მსუბუქად წაიყარა მისმა სულმა პატარა სხეული, თითქოს მისი არასდროს ყოფილიყოს.

* Eye contact — აი კონტაქტი!..

* ზაფხული ამბობს:

ღამეო, გული გაგიტყდა, ჩემგან რა მალე მიდიხარ, ჩემთან ასეთი პატარა — ზამთართან ისე დიდი ხარ.

* იმისთვის, რომ შეეღწია რაინდს სატრფოს ფანჯარაში, ყველა მხრიდან უტრიალა, მთელი ღამე ტანჯა რაში.

* გოგომ ჩურჩხელა მომყიდა თავად ტურდაბადაგულმა, მადლიერების სანაცვლოდ ღიმილი დაბადა გულმა... სხვა რა ვთქვა აბა დაძვარმა, სხვა რა ვთქვა აბა დაგულმა... ჰო მართლა, არ დაგავინყდეთ ამა პოსტის ქვეშ დაგულვა.

გლოზალური დათოგვა

ადამიანები ისევ სიცივით იხრცებიან.

* სულს არ შეუძლია შეიბილნოს — მაგალითად — ანევიზმის სისხლით მოთხვრილი ხეობის უკან გამოვლა და სხეულში შებრუნება მას უკვე აღარ შეუძლია. მამაჩემის სალოცავ იახსარივითაა — აბუდელაურის ტბაში ჩავარდნილი, დევი ფსკერზე რომ მოკლა, მისი ბინძური სისხლით ხელ-მხარი გაება და იქიდან ველარ ამოაღნია.

* მე ისე ხშირად ვფიქრობ შენზე, როგორც სხვენზე გატარებულ ბავშვობაზე.

* ცოდვაც ხელმისაწვდომია, მადლიც ხელმისაწვდომია, ცალ-ცალკე გამოსდიოდა ორივე, ვისაც სდომია.

* ჩემს საქორწინო ასაკში სანამ კუდს იქნევს „ოცდა-“, მანამდე მისი გულისთვის ჯერ კიდევა ღირს მოცდა.

* მე მინახავს ცხოვრებაზე ხელჩაქნეული კაცი (ქვეითად მავალი), რომელიც მანქანის დამუხრუჭებისას გვერდზე ისე გამხტარა, თითქოს პატარა ბავშვი ჰყოლოდა გადასარჩენი.



ზამთრისპირული

ამ ქალაქის მოსმენა მაშინ შევწყვიტე, როცა შენ ის სიმშვიდე იპოვე ჩემში, რომელსაც ვეძებ მეც, გამუდმებით. და აი, ასე, სრულიად მოულოდნელად იქეცი ყველა განცდის გამტარად, ყველა შეგრძნების აღმომჩენად. მერე მოვიდა გულზე ფიქრი — როგორ მომეფუთნა ჰიპოქსიური მარტოხელობა, ან როგორ გავყოლოდი შენი წარმოსახვის წრენიან და რა შეიძლებოდა, წამომელო ჩვენი ერთად ყოფნიდან... სიტყვა?

რომელიც მზესავით ზამთარს ეფიცება, რომელიც იცლება სხივებისგან, რომელსაც აღარ აქვს პიკი წვის... და მერე ისევ, ვითომ გულწრფელი ქალაქის ფეთქვა, ლამპიონებში გარინდებული. მე ვწყვეტ ყველა სხვა ხმის მოსმენას, როდესაც შენ და სიმშვიდეს გულის შრიალით გელოდებით.

*** შენ ბევრს არ საუბრობ, უმეტესად დუმის ირჩევ, ჩემს თმებში გართულს და მზერას — მუდამ წინ. ის იმას ნიშნავს, რომ მე ჩემს მუხლებზე ისევ გავოცდე, უფრო ხშირად რომ წარსულის წამებს ეჯაჭვებიან. იქნებ ამიტომ ვიხრებ ზურგში, როგორც ხეები სამხრეთის ქარის დროს. ეს არაა ბუნებაზე დამორჩილება, ესაა სივრცული სივრცე, რომელიც მსხვერპლს მოგაგონებს. მსხვერპლის ადგილზე არასდროს თბილა, სითბოს ვერ იტანს ჩვენი სიყვარულიც. ამიტომ, მე ყოველთვის არ მიყვარხარ და როცა არ მიყვარხარ, მაშინ ვბედავ, სამყარო ისეთ სიტყვებზე წამოვავო, რომელიც ამხელს, რომ ზამთრიდანაა ჩვენი სიყვარული, ვერ იტანს სითბოს. და როგორც რამდენჯერმე თოვლის ხსენება უცვლელად ინარჩუნებს სითეთრეს, ასე არ ხუნდება განცდები შენზე. სითეთრე შეიძლება ნიშნავდეს წაშლასაც, მაგალითად, მესხიერების, ან ყალბ წერილებსაც, მხოლოდ საკუთარ თავს რომ ვუგზავნით, მაგრამ მზერა?

შენზე მზერის გამოკიდება იქნება წინ — ხვალეს ლოდინი. ზამთრიდანაა ჩვენი სიყვარული, ჩვენ ზამთრის პირს შევხვდებით...
*** სახლში დაბრუნებისას, ჩემს ნაცვლად დაგხვდება თოვლი და ხელზე დნობის ტემპერატურით გიაბობს, სათითაოდ როგორ უნდა დავტოვოთ ჩვენი შეუძლებელი სამოთხე, რომ გზაში ყოველთვის მოიძებნება სიყვარული.

ის სიყვარული არაა, რომელიც ვერ გაგიგეს, არც ის, ფოთოლცვენის დროს უხერხულ კითხვებს რომ აჩენს... ის სიყვარული, რომელიც არის საჭიროება შიმშილის წრედში, სიცივის წვეთში... ზოგჯერ მგონია, შეგნებულად შემატოვე უამინდობა, დრო გადაფარე ბასრი შეგრძნებით. და ამ დროშივე მომეკედლნენ სიტყვის ჩრდილები, იცავენ საჭირო სიყვარულს, იცავენ ჩემგან, შენგან და ისევ ჩვენთვის... მე კი, რომელმაც კარგად ვიცი, რას ნიშნავს ამაო ცდა, როცა ყველაფერი წასაღებია, პირველსავე ტალღებს ვუვარდები, რომ ნაპირზე ჩამოთოვისას, ნაფხურებმა აღარ გა(მ)თქვან უხმო ლოდინი.

*** სხვა რომ არაფერი, შენ შეიძლება მიგზავნო ზღვის ხმა, რომელმაც ყველა სხვა ტალღის სიხშირე უნდა ჩაახშოს და სმენის ჩიხში გამომამწყველოს. ჩიხს ყოველთვის აქვს გასასვლელი, მთავარია პირისპირ ვიდგე. ის გულწრფელია, მაჩვენებს, როგორი სევდა აქვს ზამთრისპირზე ზღვის ნაპირს. ზღვა ვერ იტანს ზურგშექცევას. ის შეიძლება ხშირად დუმდეს, მაგრამ სასურველ დროს ამაღლვოს, დამცალოს და ისე მიმისაკუთროს, თითქოს სხეულში შეეცურებინოს სიტყვა „გიბრუნებ“ და ამ მიმოქცევას ჰქონდეს წრიული სახე, რომლის მიმართულება ზამთარს გულისხმობს. ზამთარში გვინდა რამე თბილი მოსაგონარი — შენ შეიძლება მიგზავნო ზღვის ხმა და ერთხელაც მას გამოჰყვეს შენი სურნელიც.

*** ის ამხელს, რომ მთებსა და მალალ მთებში ყოფნას შორის განსხვავებაზე მეტად გაძლება გმართებს, რომ სიტყვა იმედი არის ხვალისდელი ხმა, რომ სხვენს კი და საკუთარ თავს არ უნდა აპატიო, რომ უნდა გაუშვა ადამიანი, ის იმას ნიშნავს — მასზე მეტად, შენ იგემო თავისუფლება — კონტექსტიდან ამომხტარი ეპიზოდებით.

რომ უმეტესი ჩემი სიზმარი სქესით ქალია და ნავის ხვრელშიც რომ გაძვრება მზე, თევზის ფარფლებში გაიკაშკაშებს. რომ კადრი, სადაც არ ხარ, არის ჩავარდნილი საფეხურები და შენი სიტყვები ზუსტად ასე მისხლტებიან ლექსიდან.

რომ ჩვენს სახეებზე ერთად გათენდება...

რომ მეგობარი გეგმიურად მახსენებს ჩემს სისუსტეებს და ასე მაძლიერებს. რომ დიაგნოზი წერა-არწერაა, რომ ამდენი „ქარი ქრის“ და უნდა გადავრჩე.

რუსთაველის გამზირს მიუყვებოდა. ნირვა გაესრულებინა და ახლა საავადმყოფოში მიიქაროდა — ავადმყოფი უნდა მოენახლებინა. ციოდა და ცოტას ჟინჯულავდა კიდეც, თუმცა მეტრომდე ავტობუსით მისვლას, რატომღაც, ისევ ფეხით გასიერება ამჯობინა. ავადმყოფი კი ძალიან მძიმედ იყო და უკურნებელი სენი ტანჯავდა. იმედოვნებდა, რომ ზიარება შევებას მოკვრიდა. თან დიდი დღეც იყო, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანას აღნიშნავდნენ.

ოპერის შენობას არ იყო გაცილებული, მისკენ მიმავალი ახალგაზრდების ჯგუფი რომ შენიშნა. ხმაურითა და გამაყრუებელი შეძახილებით მოდიოდნენ. მგონი, რაღაცას კიდეც მღეროდნენ. როცა გაუსწორდნენ, გაუღიმა და თავი დაუკრა. იფიქრა, თუ სალამზე ვინმე გამეპასუხა, პირჯვარსაც გადავწერო. ისეთი მწყრალი მზერა შეაგებეს, გულს შემოეყარა. არ მოელოდა ახალგაზრდებისგან ასეთ ზიზზას და გაუტანლობას.

გული დაუმძიმდა. ბევრ სხვა რამეზეც ამჩნევდა, რომ დროება იცვლებოდა და ხალხიც მეტად შეუწყნარებელი ხდებოდა, თუმცა ახალგაზრდებში ეს აქამდე არასდროს შეუნიშნავს.

ფიქრებში გართულმა ვერც კი შენიშნა, ერთ-ერთი ახალგაზრდა როგორ წამოენია და გვერდით ამოუდგა. უცნაურმა ყმანვილმა ცბიერად გაუღიმა და ყურში ჩაუსისინა, უსაზღვროდ მძულხარო. მოულოდნელობისგან კიდეც შეცბა და გაქვავდა. იქნებ მომესმა, განა ასეთი რა დავეუშავე, რომ ეს ჩემთვის ეთქვაო. ახალგაზრდამ კი თვალი თვალში გაუყარა და გამოთქმით დაუმარცვლა, ჰო, შენ მეზიზღებიო. ღმერთო, შენ მიშველეო, პირჯვარი გადაიწერა და პირი დაალო, რათა ეკითხა, რატომ, შვილო ჩემოო, თუმცა სიტყვა გაუწყდა. ახალგაზრდა შეტრიალდა და მოურიდებლად ზურგი შეაქცია.

ისე ეტკინა გული, ისე ძლიერ, რომ ტირილი მოუნდა. ასე ცუდად თავი არასდროს უგრძნია. ასეთი ზიზღით აღსავსე მზერას ჯერ არასდროს გადაჰყრია. რა თქმა უნდა, არც ასეთი საშინელი სიტყვები მოუსმენია ოდესმე. თავბრუ დაესხა და მიწისქვეშა გადასასვლელის პარაპეტზე ჩამოჯდა. სისხლი მხუილით დაუდიოდა ძარღვებში და ყურთასმენას უხშობდა.

— რატომ ღმერთო ჩემო, რატომ? — თითქმის ხმამაღლა წარმოთქვა ეს სიტყვები და საკუთარმა ხმამვე შეაკრთო. უფრო კი უძლურებამ განა ღვთის დაშვების გარეშე ხდებოდა რამე ამ წუთისოფელში? არც არაფერი. ერთხელაც გადაიწერა პირჯვარი და, მაღლობა, ღმერთო, ყველაფერისთვისო... ალბათ სადღაც შევცდი, ლოცვისას მხურვალეა დავეკარგე და ამისთვის მომეფლინა ეს განსაცდელიცო.

ის იყო, წამოდგომა დააპირა, რომ უეცრად იგრძნო, ქუდი როგორ მოხადეს. გაცუბულმა მოავლო თვალი არემარეს და გაგრა. ისევ ის ახალგაზრდები იყვნენ. ერთ-ერთი განიხარებულად მიუღიმა და ამჯერად სხვა და მის ქუდს ხელში უტიფერად ათამაშებდა. იცინოდა და სხვებსაც აცინებდა თავისი მანქანა-გრეხითა და ტაკიმასხარობით. ჯერ ბრაზი მოერია, რამდენს მიბედნიერებს ეს თითისტოლა ბავშვებო, თუმცა, რომ დაინახა, იმ ერთმა მისი ქუდი როგორ გადაუდგო მეორეს, მეორემ კი მესამეს, მიხვდა, ამათთან დავიდარაბით ვერაფერს გახდებოდა. წამდვილად უფრო მეტად გააპამპულავებდნენ და მეტადაც დასცინებდნენ. ანეწილი თმა გაისწორა და გზა მშვიდი ნაბიჯით განაგრძო. გარშემომყოფთა გულგრილობამ კიდეც უფრო მეტად დაუმძიმა გული. ხალხი ისე მიდი-მოდიოდა, თითქოს არც არაფერი უჩვეულო მომხდარიყო და თითქოს კაცის გაპამპულავებაც ძალიანაც ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყო. არადა, დაუმაღლავდებოდა ებრძოდნენ და მის გამონეგვასაც ვულდასმით ცდილობდნენ. დროზე უნდა გასცლოდა იქაურობას, რათა ამ უთანასწორო ბრძოლაში უფრო მეტად არ დაზარალებულიყო. თუმცა, ვის გაუბრბოდა? ბავშვებს? შეჩერდა და ახალგაზრდებისკენ შებრუნდა.

სწორედ ამ დროს რაღაცამ ზუზუნით ჩაუქროდა ყურთან. მას მეორეც მიჰყვა და თავში, საფეთქელთან რაღაც მოხვდა. ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. თავი ეტკინა და დაბლა დაიხედა. ფეხებთან ქვა ეგდო, რომელსაც სისხლის პატარა წვეთები ეცემოდა. სისუსტე იგრძნო და მოსვლამდე დაემუშა. საფეთქელთან ხელი მოისვია და სისვე-

ლემ შეაკრთო. სისხლი სდიოდა თქრიალით. შეეშინდა და გადაწყვიტა, ვინმესთვის საშველად მოეხმო. ვერ შეძლო, რადგან მოულოდნელობისგან საერთოდ დამუნჯდა და კანკალი დაანყებინა. ახალგაზრდები სათითაოდ მიდიოდნენ მასთან, სახეში აფურთხებდნენ და ათას სისაძაგლეს ეუბნებოდნენ.

— სად არის შენი დიდი შავი ჯიბი, შე დამპალო? — არადა, მას ვერცხლისფერი პატარა სედანი ჰყავდა, რომელიც უკვე თითქმის ოცი წელია, ერთგულად ემსახურებოდა. ეს მანქანაც თავის დროზე ბანკის ვალით ჰქონდა ნაყიდი.

— სად არის შენი ანტიკვარებით გამოტენილი სასახლე, შე ღორო? — არადა, ქალაქის ძველ უბანში ოთახნახევრიან მი-



გიორგი შერვაშიძე

წრეზე მბრუნავი ამბავი

წურში ცხოვრობდა მეუღლესა და ორ სრულწლოვან შვილთან ერთად. ეს სახლიც გაუთხოვარი და უძირო მამიდისგან ერგო, რომელსაც მის გარდა სხვა ნათესავი არ ებოდა და სახლიც ამიტომ უანდერძა.

— სად არის შენი გაუმადლარი უფროსობა, შე მართლა ბენიო და სატანის მოციქულო? — ნეტა, რომელ უფროსობას აგინებდნენ? კი იყვნენ მის გარემოცვაში მდიდრებიც, შავჯიპიანებიც, სასახლეების მესპატრონებიცა და იმხელა ქონების გამკარგავნიც, მას რომ არ დაესიზმრებოდა, თუმცა მათთან რა ესაქმებოდა? განა ის ფლობდა მომგებიან ბიზნესებს, სანთლის საამქროებს, ხატების მალაზიებსა თუ პურის საცხობებს? ის უბრალო იყო და, აბა, რა მისი საქმე გახლდათ, ვის რა ჰქონდა და თავს რით იჩინებდა?

თითქოს განსაცდელად გატყეხილი თავი და სისხლში ამოსვრილი ანაფორა არ ეყოფოდა, თავს კიდეც უფრო მეტი უბედურება რომ არ დასტყდომოდა. ერთი წითელთმიანი და სახემოხატული გოგო მიუახლოვდა, წვერით დაითრია და ისე მძლავრად მოქაჩა, ერთი პირი ისიც გაიფიქრა, ალბათ თავსაც წამადრობსო. არა, თავი არ წაუძრია, თუმცა წვერით თრევა რომ მოჰხვებოდა, სახე აუწია და შიგ ტუჩებში ურცხვად აკოცა. მერე კი ალქაჯივით დასტყევიდა და ცხვირ-პირში მუშტები დაუშინა. უმაღლესებშიც მისცვივდნენ და ძირს დააგდეს.

კაცი მიწაზე იწვა, თავზე ხელებს იფარებდა და გრძნობა არ ტოვებდა, რომ ეს ამბავი ადრეც გაეგონა და ან კი ნანახი ჰქონდა. მართალია, არც ის იყო პირველი, ვინც რწმენისთვის განიდევნა და არც უკანასკნელი, ვისაც ამავე „დანაშაულისთვის“ მოჰკითხეს, თუმცა აქ კიდეც რაღაც სხვაც იგრძნობოდა. რაღაც ბევრად უფრო ნაცნობი... ბავშვობისდროინდელი მოგონებებიც სწორედ მაშინ დაიძრნენ, როდესაც ახალგაზრდებმა ცემით გული იჯერეს, თავი მიანებეს და გამარჯვების აღსანიშნავად კმაყოფილებმა ისევ სიმღერა წამოიწ-

ყეს. მართალია, არც მათ ღნავილს ეთქმოდა სიმღერა და არც მათი წამოსროლილი სიტყვები იყო ლექსი, თუმცა ღმერთს მანაც ერთგვარ რიტმში გამოდნენ.

ყველაფერი გაახსენდა და კინოკადრებად დაუდგა თვალწინ. მაშინაც აქ, ამ ქალაქში, მამიდასთან სტუმრად გახლდათ. სხვა ეზოს ბავშვებთან ერთად ქუჩაში იყო გავარდნილი. მთელი დღეები შუკა-შუკა უპატრონო ძაღლების ხროვასავით დაძრწოდნენ და პურსა თუ სანახაობას დაეძებდნენ. ომი ახალი დასრულებული იყო და სიღარიბე არავის უკვირდა. არც უპატრონოდ თუ უმეთვალყურედ ქუჩაში დატოვებული ბავშვების ხილვა იყო უცხო ხილი. რა თქმა უნდა, არც მათი თავგასულობა და სისასტიკე უკვირდა ვინმეს. იმ დღესაც

გაბრაზებული ჩიფჩიფებდა და სუსტ მუშტებსაც უმისამართოდ იქნევდა. კაცს არაფერი უთქვამს და არც წყალი დაუღვია. შეძლებისდაგვარად მოინსერიგა დაგლეჯილი სამოსი და აწეწილი თმა-წვერი. ერთი ცას ახედა და მერე მძიმე, დაღლილი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. წითელსახვევიანი გოგო-ბიჭები კი სკვერიდან ქვებს ესროდნენ, ევლანებოდნენ და უწმინდური სიტყვებითაც ამკობდნენ. იმის შემდეგ ის კაცი აღარ უნახავს, თუმცა აღარც ქალაქში გაჩერებულა დიდხანს, რადგან მისი ოჯახი შიმშილს სოფელში გაექცა.

ამ მოგონებამ ბოლო მოუღო. იფიქრა, ალბათ ვეღარც წამოვდგები და სულსაც აქვე დავღვავო, თუმცა რაღაც ძალამ მაინც წამოაყენა. ძალიან უცნაური იყო, თუმცა

ეკლესიასთან ახლომდებარე სკვერთან იდგნენ, როდესაც ვარსკვლავებიანი ეპოლეტებითა და ნაირ-ნაირი ჩინ-მედლებით დამშვენებული კაცი მიუახლოვდა და ორი ცალი ცხელ-ცხელი პური მიანოდა. მერე კი გაუღიმა და თვალი ჩაუკრა, ახლა აქ ერთი წვერებიანი კაცი გამოივლის და, აბა, თქვენ იცით, როგორ ყოჩაღადაც დახვდებით, რადგან ეგ კაცი ხალხის მტერი არისო. ამათმაც პიონერული შემართებით დასცხეს, ყოველთვის მზად ვართო... ცხელი პური და ეს ორი ჯადოსნური სიტყვა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რათა მოძალადეთა ამ პატარა რაზმს გაუგონარი სითავხედე გამოეჩინა და მოხუც წვეროსანსაც სასტიკად გამკლავებოდა.

იქ მყოფთა შორის ის ყველაზე პატარა იყო და ამიტომაც ახალ წამოწყებებშიც დიდად ვერ აქტიურობდა. უბრალოდ ფეხში მისდევდა თავისზე უფროსებსა თუ ძლიერებს და ცდილობდა, პურის ყუას მაინც გამოეჩინოდა. პიონერებმა კი შენიშნეს თუ არა მათკენ მომავალი წვერებიანი კაცი, წითელი ყელსახვევები შეიბეს და ტურებივით კვალში ჩაუდგნენ. მერე კი ერთ-ერთმა, ყველაზე ყოჩაღმა და მოხერხებულმა, დაუსტვინა და დასტყევა — „დაკა ხალხის მტერს“. ხროვაც შეესია კაცს. მოხვერივით წამოაქციეს და ზედ ფეხებით შედგნენ. თან იცინოდნენ და თან უმოწყალოდ სცემდნენ. ისიც მათ შორის იყო. იმანაც გამოიღო თავი და რამდენჯერმე კიდეც მისწვდა ძირს დავარდნილს. რამდენიმე წიხლიც უთავაზა და მერე გამარჯვებულის ყიყინით უკან მიჰყვა უფროსებს, რომელთაც თავი სკვერს შეაფარეს.

სანყალი, გალახული კაცი კი ძლივს წამოდგა და ტანსაცმელი გაიფერთხა. არავინ დახმარებია და არც გულსწყნარობა გამოუხატავს ვინმეს. პირიქით, გვერდს ისე უქცევდნენ, თითქოს კეთროვანი ყოფილიყოს. მხოლოდ ეკლესიასთან მჯდარი მოხუცი მათხოვარი ქალი გამოეხარწა. მტვერში ამოგაგლული ქუდი მიანოდა და წყლიანი ბოთლი შესთავაზა. თან რაღაცას

ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის წინ მომხდარი ამბავი, ისევ ცოცხლებოდა და მეორდებოდა. მართალია, ახლა აღარც პიონერები იყვნენ და აღარც ბოლშევიკები, თუმცა ამბავი მაინც იგივე იყო. ის და მისთანები ახლაც ხალხის მტრად მიაჩნდათ და ახლაც ისევე დასცინოდნენ თუ ავინრობდნენ, როგორც სოციალიზმისა თუ კომუნისტების დროს. თუმცა ეს ამბავი ალბათ კიდეც უფრო ძველი იყო და მის წინამორბედთაც ჯერ კიდევ ძველ რომშიც ზუსტად ასე სასტიკად სდევნიდნენ, როგორც დღეს... სწორედ იმ დროიდან მოყოლილი ეს გაცვეთილი ამბავი წრეზე ბრუნავდა და განუწყვეტლივ მეორდებოდა. ეს რომ გაიარა, მომხდარმა კიდეც უფრო მეტად დაზაფრა და დაასველიანა.

ღმერთმა თქვენც შეგინდოთ და მეცო, ჩაილაპარაკა და დამძიმებული სხეული საავადმყოფოსკენ წაათრია. იმ სწულს უზიარებელს წამდვილად ვერ დატოვებდა. აზიარა კიდეც და სიტყვითაც ანუგეშა, ასეთ დიდ დღესასწაულზე ღვთისმშობელი არ მიგატოვებს და აუცილებლად შეგენევაო. მომხდარზე არავისთვის არაფერი უთქვამს. კიბეზე წაიჭევიო, ასე იმართლა თავი. მხოლოდ დამძიმებამდე მეუღლეს უამბო მომხდარი და ცხარე ცრემლითაც ატირდა. მეექვსეა, ამხელა განსაცდელს გავუმკლავდეთ. ეს რა ვნახე და ეს რა დღეშია ხალხი ჩავარდნილი, რომ ბავშვებიც კი ზიზღით არიან შეპყრობილნი და აღარავის ინდობენო. როდის-როდის ჩაეძინა და, აი, გაღვიძებით კი ვეღარ გაიღვიძა. სასწრაფო დახმარების ახალგაზრდა ექიმმა კი, საკმაოდ ამაღელვებელი დატირების მოსმენის შემდეგ, თავი მოიფხანა და დაასკვნა, ალბათ გარდაცვლილის გულმა დარდს ვეღარ გაუძლო და გაილიაო. სანყალი მღვდელ-ღიაკონი ბაბუაჩემიც ხომ ზუსტად ეგრე მოკვდა დარდით, როდესაც პიონერებმა ქუჩაში საჯაროდ გალანძღეს, აფურთხეს და თმა-წვერიც დააგლიჯესო...



ნინო მშვიდობაძე

ანგალოზები და ხეები

იმ გოგოს,
ჩემს თანაკლასელს, მაღალს და შავგვრემანს,
გუშინ შვილი გარდაეცვალა...
სამყარო შეტორტმანდა და ნგრევა დაიწყო.
ასე ინგრევიან ადამიანებიც.
ხელებს მაღლა წევენ და იშლებიან —
თითქოს ლოცვად ადიან ზეცაში.
სულ არ ამძიმებდა ის გოგონა მინას...
ეგებ ამიტომაც გაფრინდა?
ფრთები ხომ არ უჩანთ ანგელოზებს?!
ჰოდა, რა გააჩერებდა მინაზე?
განა ჩვენსავით ფეხებზე ქვეტი ჰქონდა გამომბული,
სიარული რომ შეძლებოდა?!
ჩემი თანატოლი ახლა შვილმკვდარი დედაა,
დგას და ხელები ცისკენ აღუპყრია...
ხეს დაემსგავსა — უფოთლო ხეს...
სამყარო ჩამოეშალა...
ვერავინ ვუშველეთ.
სიტყვებს ვეძებ:
რა ვუთხრა?
რომელ სიტყვას აქვს აზრი?
თვალში სინათლე მოაკლდა და პირზე ღიმილი.
მე რაღა ვუთხრა:
რომ მეც მტკივა?
რომ ვხვდები მისი ტკივილის სიღრმეს?
მერე?
უშველის?
განა არ ვიცით,
რომ ყველას ჩვენ-ჩვენი ტკივილები გვაქვს
და სხვა ვერ მიხვდება, რა ბალღამი გვიდღულს სულში,
რა ცეცხლი გვიკიდა...
ანგელოზებს ფრთები არ უჩანთ,
შეილმკვდარ დედებს —
სულზე დაჩენილი ტკივილები...
ჩემი თანაკლასელი ხეს დაემსგავსა —
ტოტებად ქცეული ხელებით...
შენ არ შეშინდე, მეგობარო,
მეც ხე ვარ და არ დაგანებებ გახმე...
ანგელოზების დედები არ ხმებიან!..

მიძღვნა უმისამართოდ

შენ ხუმრობ, ვინძლო მე კი გეტყვი,
რომ მახსოვს, ნეკნი რომ ვიყავი...
ცას მისწვდები, რომ მოინდომო —
ისედაც ისეთი მაღალი ხარ —
სულით იზომები...
ქარს რომ სიტყვებს ატანდე,
თუნდაც ქვიშიან სანაპიროზე,
მიუვალ ციხე-კოშკს ააგებდა,
ძლიერია შენი სიტყვები და ხმა ისეთი,
მთები ზანზარებენ თითქოსდა...
შენი მახსოვრობა არ იწყება ადამს იქიდან,
ლილიტი არ გემახსოვრება,
არც ცარიელი ნეკნი შეგანუხებს,

რადგან თავისუფლად შეგიძლია
ტალახისგან შექმნა ქალი —
საკუთარი ნერწყვით და სული უბერო...
ქარს რომ სიტყვებს ატანდე,
მაგ შენი სიტყვებით გალავნებს ააგებდა,
მაგრამ ქარს კი არა,
სიტყვას საკუთარ თავსაც არ ანდობ ხოლმე,
თითქოს ქალია სიტყვა და
ისე მოზომილად, ისე ძუნწად იყენებ,
ვერ იმეტებ გამოსამზეურებლად —
აკი, ისწავლე, რომ სიყვარულს მალვა უნდა...
მე იმ ხნისა ვარ,
საკუთარი ნეკნობა რომ მახსოვს და
ამიტომ არ ვარ მორცხვი, კეკლუცი,
პრანჭია.
ამიტომ შემძლია გითხრა,
რომ შენი სიტყვები ზანზარებენ და ქალს კი არა,
ჩიტსაც დააფრთხობ;
გითხრა, რომ საკუთარი თავიდან გასვლა გჩვევია
და ყველაზე მართალი სწორედ მაშინ ხარ.
და რომ მოინდომო,
ცასაც კი შეწვდები,
სულიდან იზომები და იმიტომ...
სიტყვას ერთხელაც მოფერებდ რომ გადააქცევ,
ნეკნის ადგილას სიცარიელეც აგტკივდება და
სიტყვებსაც გამოამზეურებ,
რომ მიხვდნენ სხვებიც,
სიყვარულიც გცოდნია თურმე...
ახლა კი,
ახლა
ზანზარებენ შენი სიტყვები...

ბელურობანა

ნეტავ კი ბელურა ვიყო-მეთქი, ვფიქრობ და
ვხვდები, რომ
ვცოდავ...
ადამიანად ყოფნის
მთელი სიამტკბილობანი გამოვცადე,
თუმცა მგონია, რომ
ბოლომდე სავსე მაინც არა ვარ.
ხვატია აგვისტოს და
პოლკოვნიკ ბუენდიაზე მეფიქრება,
წვიმისფერ ქალაქში რომ ცხოვრობდა:
რა ძნელია, იცოდე საკუთარი მომავალი და
მაინც სიკვდილმისჯილის სიჯიუტით აგრძელებდე
სიცოცხლეს.
მე რა,
ბედისწერის ქარზემა ფოთოლივით
აქეთ-იქით იმდენ ხანს მატარეს,
სანამ სინდისისგან საბოლოოდ არ დავიცალე
და დამრჩა მხოლოდ ნერვები —
მეც...
სად ვნახო შვება?
ხვატი და პაპანაქება თავისას შერება და
ჩანჩქერიც არსადაა,
რომ ჩქერში ჩავდგე...
წარმოსახვით კი ნიაგარაზეც ვყოფილვარ...

სანამ აგვისტო ბოლო დღეებს ჩამომარცვლავს
ამ გადახრულ კრილოსანზე,
სანამ ბუენდიას ქალაქი ისევ წვიმიანია,
მანამდე ეგებ ჩემმა ბედისწერამაც
გამომხედოს ცალი თვალით
და უპირობო სიხარული მაჩუქოს...
ვინ იცის, რა ხდება...
სიხარულს კი, სიყვარულივით, პირობები არ უხდება...
ბელურა რომ ვიყო,
ყველაზე სევდიანი სახლის ერდოს ავირჩევდი
ბუდეს გასაკეთებლად...
სევდიანი სახლები კი
მხოლოდ პოეტებს და უშვილო ქალებს აქვთ...

სარჩული

განყდება-მეთქი,
სადაცაა,
ძაფი,
გავიფიქრებ,
ცას რითაც მივეკერე მარად...
მაგრამ წამომეშველება
ჩემი თაფლისფერთვალეზა ღმერთი
და ვდგები ფეხზე...
მყარდება მერე ძაფი,
არ წყდება...
ჩემი ხელები სუსტია და
ჩემი თვლები სევდაა და
ჩემი თითები — კლავიშები...
დავინყებ ხოლმე ჩამოთვლას ჩემივე დარდის,
მაგრამ იმოდენაა, ბოლომდე ვერც ჩავდივარ და
ვანებებ თავს,
არ მინდა, ძაფი განყდეს...
კალთას რომ დაიფერთხავს ხოლმე დედაჩემი,
სულ მგონია, ჩემი ბავშვობის ნამცეცხები მიჰყვება თან.
არადა, როგორ სიმნრით ვაგროვებ, ვინ იცის,
როგორმე რომ გადავარჩინო კიკინებიანი გოგო —
ყურებამდე გაცივებული და
სიცელქეჩამდგარი თვალებით.

მუხლები თუ მიმტყუნებს,
სიტყვებს ყავარჯნად გამოვიყენებ და
სვლას მაინც გავაგრძელებ,
სიტყვებს, ყველაზე სანდო ადამიანი რომ მეტყვის...
ახლა რომ ძაფით გამოვიკიდებვარ ცას,
თოკი იყო ადრე,
მსხვილი, გამძლე — ბაგირივით...
იმატა ტკივილებმა და ფიქრმა და
დანვრილდა თოკიც...
ძაფია ახლა და ტკივილები რომ დაგროვდა,
მაგიტომაც მეშინია არ განყდეს...
ფერთხილობ და ჩემ საკუთარ ღმერთს
შეფოფინებ თვალეზაში,
რომ გადარჩენის რწმენა და იმედი არ გამიქრეს.
ცას თუ მოვწყდები,
მერე რაღა იქნება, არ ვიცი,
რადგან არც მთლად მინის ვარ და არც მთლად ცისა...
სადღაც შუაში რომ ვარ, ამიტომაცაა,
ცაც რომ ძაფით მიჭერს
და
მინასაც რომ ჩავეზარდე...
წავალ ახლა,
ჩემს სევდიან ფიქრებს
საკერებელს ამოვუკემსავ ქვემოდან,
რომ ნამდვილი ტკივილები გადავმალო...
მე ხომ ქალი ვარ მაინც,
ოღონდაც კარგი სასარჩულე იყოს და
ტკივილებსაც ისე მოვიხდენ,
როგორც აბრეშუმის კაბას...

მეგობარო

შენ, მეგობარო,
როცა ზეცა ჩამოწურავს ღრუბელს,
ვაზის ჯიშის მტევანით,
მითხარი, რომ
ერთადერთი გარანტია სიკვდილია...
რომ არსებობას, მუქი ფერებით სავსეს,
სიყვარული ამართლებს მხოლოდ...
მერე დავლიოთ...
დემონების გასადევნად —
დავლიოთ ისე,
რომ ეს დღეები დაღამებას
გადავარჩვიოთ...
იმღერე, ჩემო მეგობარო,
ისე იმღერე,
ალარ შერჩეს სიმი გიტარას...
და მამაპაპურ ყანზე ღამე გადავამსხვრიოთ...
გადამსხვრეული ღამეები
გვეტკინოს მერე...
თითებშეჭრილი ღამეები,
სულელებშეჭრილიც...
ნოემბრის მზეზე ჩამოვწვროთ
ღრუბლები ციდან,
ცერებზე შევდგეთ, მეგობარო,
შევდგეთ ცერებზე და
ხელგამლილნი შევეგებოთ
მარადიულ ჭალს,

სამყაროს ჭალს — ზეცის თავანზე...
 მზის შვილები ვართ...
 შენ „ლილო“ უნდა იმღერო...
 დასჭექე მძლავრად, მეგობარო,
 დასჭექე მძლავრად და
 მე ვიცეკვებ
 ქვეყნად ყველაზე უცნაურ ცეკვას,
 არქაულ ცეკვას,
 ფეხშიშველი ვიცეკვებ დიდხანს,
 დღეები სანამ დაღამებას გადაიჩვევენ.
 შენ, მეგობარო,
 ტკბილი ნოემბრის ძმადნაფიცო და
 თანამდგომო,
 მოდი, დავლიოთ
 დემონების გასადევნად
 და მტევანივით ჩამოვწუროთ
 ღრუბლები ციდან...

გლოზისა

დღეს მე შვილი მომიკვდა...
 მერე რა, რომ არ გამიჩინია,
 არ გამიზრდია,
 არ მიზრუნია,
 დღეს მე მაინც შვილი მომიკვდა...
 სკოლიდან მომავალს
 ჩემალერსდანატრებული ხელები
 მოტეხილი ფრთებით დაეკიდა;
 ჩემთვალეზდავინწყებული თვალებით
 სამუდამოდ მიაშტერდა ზეცას და
 ველარაფერი დაინახა...
 უკანასკნელ ამოსუნთქვას სიტყვა
 „დედა“ ამოაყოლა და:
 გათავდა...
 ჩემი გამოტოვებული შვილი
 დასრულდა...
 ჰო, გამოტოვებული...
 რადგან წავედი და
 მისი შეყვარება გამოვტოვე;
 მისი დაკაცება გამოვტოვე;
 მისი პირველი ცრემლი გამოვტოვე...
 მე ჩემი შვილი გამოვტოვე...
 წავედი, რომ არ მომიბოძა;
 წავედი, რომ არ შესცივებოდა...
 სკოლიდან დაბრუნებული და მოშიებული დასრულდა;
 სამუდამოდ გამიცვივდა მაინც...
 დღეს მე შვილი მომიკვდა...
 ჩემი წილი მზე დაბნელდა და
 ჩემი წილი ცა ჩამოიქცა...
 არ დამიბადია,
 არ მიზრუნია,
 არ გამიზრდია...
 მაინც შვილი იყო ჩემი,
 ჩემი სისხლი და ჩემი ხორცი,
 კაცობისთვის შემზადებული და
 ვერ დაკაცებული...
 ველარ წავა ერთი კაცი გზაზე...
 ველარ დაკაცდა და გზამაც
 სხვაგან გაუზვია —
 უამკაცოდ,
 უფრო სწორად, დაუკაცებელი
 ამ ბიჭის გარეშე...
 მიწა მეჭამა და თვალწინ მყოლოდა;
 ხორცი მომეგლიჯა და არ მოვშორებოდი;
 სისხლი გამელო და მასთან ვყოფილიყავი...
 ჩემმოფერებადნატრებული ხელები
 მოტეხილი ფრთებით ჩამოყარა;
 ჩემთვალეზმოწყურებული თვალები
 სამუდამოდ გაუშტერა ზეცას,
 თითქოს იქ მხედავდა;
 უკანასკნელ ამოსუნთქვას სიტყვა „დედა“ ამოაყოლა და
 მე ვერ გავიგონე.
 დღეს მე შვილი მომიკვდა...
 არ მოვივდეს-მეთქი და წავედი;
 არ შესცივდეს-მეთქი და წავედი;
 მოშიებული დამისრულდა;
 სამუდამოდ გამიცვივდა...
 ბებო კი ელოდა...
 რა მოვუხერხო მოფერების ვერახდენილ სურვილს;
 ჩახუტების აუსრულებელ ოცნებას;
 რა ვუყო თვალებს, მისი დანახვა რომ სურთ...
 დღეს მე შვილი მომიკვდა...
 დღეს მეც მოვკვდი...

არ გავეთვალ

თოთო ბავშვივით გივლი, გპატრონობ...
 ყელზე ჯვარი შეგაბი და მაჯაზე — გიშერი...
 სულში ჩაგიკარი და ჩემთან ერთად დაგატარებ...
 ხალხს გარიდებ და მეც ვერიდები,
 სულშენანავსებს მეშინია შურის და ღვარძლის,
 არადა, ვიცი: რომ გამომიჩნდე,
 არ დამაკლდება არც ქვა, ტალახიც...
 ჰოდა, სულში ჩაგიკარი, სულთ გატარებ...
 და თვალებს ვხუჭავ, მაგრად ვხუჭავ,
 რომ: არ წამომცდე...

თოთო ბავშვივით გივლი, გპატრონობ...
 ისე გეფოფინები,
 როგორც გაუკვალავ თოვლს —
 ბავშვობაში
 და მიხარია, რომ სულში მყავხარ...
 ასე გატარებ -
 და თვალებს ვხუჭავ, სიყვარულო,
 რომ არ წამომცდე...

მარგალიტის ყელსაბამი

კაბის კალთა ავიკრიფე,
 ფონი იყო და გავედი...
 თვალი მოჭრა მამაკაცებს ჩემმა თეთრმა წვივებმა...
 არ მომრიდებია —
 გასვლა მინდოდა და გავედი.
 მორცხვი უნდა იყოო,
 ვერ ვარ...
 ჩემი მზერა მზეს ირეკლავს და
 თვალბმოჭუტული დავდივარ —
 არ მინდა, თვალებიდან გამექცეს მზე...
 რომ მიყურებ, ვიბნევიო და სულ გავთავხედდი:
 თვალს აღარ გაცილებდი,
 მინდოდა, მარგალიტის მარცვლებივით ამეკრიფე
 და მძივად შემები კისერზე...
 კაბის კალთა ავიკეცე და
 მზედაუკრავი წვივები გამომიჩნდა —
 შენ შეკრთი,
 მე — არა,
 წყალში შევაბოტე და ცხელი ტერფები გავიგრილე...
 გაზაფხულია...
 მდინარესაც გაღვიძებია...
 ფონს გასვლა მინდოდა და სიმორცხვე დავკარგე,
 თავი კი არა...
 მზეს თვალებით დავატარებ და ჯიქურ გიყურებ,
 დაბნეული სხვამ რომ არ წამოგაკრიფოს —
 მე უნდა შეგება ყელზე —
 მარგალიტის ყელსაბამივით...

წერილი მამას ღვინოში

მამა,
 შენ რომ ხარ,
 იქ ამბავი უცებ რომ მოდის,
 მჯერა,
 ჰოდა,
 გაგვეზარდნენ ჩვენი ეზოს საკუთარი მოლაღურები.
 არც ისე ცუდია სიცოცხლე,
 თუ გიყვარს,
 და,
 მართალია, ყოველთვის ვგრძნობდი,
 მაგრამ ახლა უფრო დავრწმუნდი,
 რომ ცხოვრების ყოველ ეკალს,
 ბარდასა თუ ძეძვიანს
 სიყვარული ამარცხებს მხოლოდ...
 სიმართლეს ამბობდა
 ყველა დროის მწუხარე სახის რაინდი:
 მდინარიდან მშრალი იმიტომ გამოვიდა,
 მთელი გზა დუღსინებაზე რომ ფიქრობდა...
 მამა,
 რთული საკუთარი სიბერის შეგრძნება კი არა,
 ის ყოფილა,
 როცა საჭიროებას ვერ უძებნი შენ არსებობას.
 ხანდახან მგონია, რომ მანდ იოლია...
 თქვენ გამიიოლებო...
 მამა,
 მე მინდა წამალი ვიყო:
 დედისთვის — რომ აღარ ტკიოდეს...
 ძმისთვის — რომ აღარ აწუხებდეს...
 რძლისთვის — მშვიდად რომ იყოს...
 მეგობრებისთვის...
 ჩემი სამშობლოსთვის...
 გამოგიტყდები და გეტყვი, რომ
 დედისთვის და სამშობლოსთვის უფრო მეტად...
 შენ იცი...
 შენ იხიცი იცი,
 რომ დაგვეზარდნენ
 ჩვენი ეზოს საკუთარი მოლაღურები,
 რომ დიდებებიან ჩვენეული ცის საკუთარი მზეები...
 და იცი, რომ
 დავილაღე...
 შენ იცი, მამა,
 რომ ხანდახან ბელურებიც იღლებიან...
 და საკუთარ სიბერეს რომ ვერ ვგუფები,
 მარადიული ახალგაზრდობა გამოვიგონე...
 მამა,
 დამილოცე, ვისთვისაც წამალი მინდა ვიყო...
 ყველაზე დიდ დედას შეავედრე და
 დამილოცე...
 სხვა არც არაფერი მინდა...
 ბელურები რომ იღლებიან,
 ჩამოსხდებიან სახლის ერდოებზე და ლოცვას იწყებენ...
 მამა,
 შენ ხომ გესმის ბელურას ლოცვა...
 შენამდე სიტყვები იოლად მოდიან,
 ვიცი...



გიორგი შერვაშიძე

აქტი

მიწმარს, როდესაც აქტი ღია სივრცეშია, რადგან
 დახურულში ყოველთვის სული მეხუთება. დღეს ბუნების
 ნიაღვრის წარმოდგენა. ხასხასა მწვანე მოლი, დატოტვილი
 ძლიერი ხე და ჩიტების ჰარმონიული ჭიკჭიკი. მართლაც,
 რომ იდეალური გარემოა.
 გამოდის კაცი და მოათრევს გასაშლელ კიბეს. დიდი,
 მაღალი და მსხვილძვალა კაცია. ას კილოზე ნაკლები არ
 იქნება. ტლანქად მოძრაობს და არ ჩქარობს. კიბეს დაბ-
 ლა დაშვებული, მსხვილი ტოტის ქვეშ შლის და მხარზე
 თოკის ხვეულას იკეთებს. საფეხურებზე ფრთხილად ადის,
 ხვეულას შლის და ერთ ბოლოს ტოტისკენ ისვრის. ცდილ-
 ობს, ბანარი ტოტს გადაატაროს. არ გამოსდის. მესამე
 ცდაზე თოკი ტოტს ეხვევა და ჰაერში გველივით იკლანქე-
 ბა. კაცი თოკის ბოლოს ხელს ჰკიდებს და ნასკვს აკეთებს.
 წვალობს, რაღაც ისე არ გამოსდის, როგორც უნდა. შუბლ-
 ზე მომდგარ ოფლს მკლავით იწმინდს. ბოლოს მეზღვაუ-
 რების მარყუჟის მსგავს კვანძს აკეთებს და თოკს მძლავ-
 რად ქაჩავს. ნასკვი იკვრება და ტოტისკენ მისრიალებს.
 ხის დაძარღვეულ მკლავს მჭიდროდ ებჯინება და კვანძიც
 ბოქლომით იკეტება.
 კაცი თოკის მეორე ბოლოს იღებს და მორიგი მარყუჟის
 გაკეთებას იწყებს. ისევე წვალობს. აშკარად არაა ეს მარყუ-
 ჟები და ნასკვები მისი საქმე. ცოტას იღლებს და ჩერდება.
 ხელებს დაბლა უშვებს და მკლავებს ავარჯიშებს. სისხ-
 ლის მიმოქცევა მალევე უმჯობესდება. კაციც თოკს
 უბრუნდება და მარყუჟის გაკეთებას ასრულებს. ნასკვს
 ფართოდ შლის და თავს შიგნით ყოფს. მარყუჟს ჰალსტუხ-
 ივით იჭერს კისერზე. ყოველგვარი შესავლის გარეშე კიბეს
 ფახს ჰკრავს და ასკილოინი დონდლო სხეულიც მახეში
 გაბმული ჩიტით იწყებს ფართხალს. ისმის ტკაცუნის ხმა
 და სხეულიც ზათით ეხეთქება მიწაზე.
 მოტეხილი ტოტი კაცს თავში ხედება. ის გაუნძრევლ-
 ად წევს. მართლაც ეფექტური აქტია. ყველანი გასუსული
 ვართ და ველით ფინალს. ფინალი კი არ დგება. კაცის
 ფეხები იწყებს მოძრაობას — ჯერ ერთი და მერე მეორე.
 ისმის ოხვრა. სხეული მძიმედ იწევა და კაციც ჯდება.
 თავიდან სისხლი თქრიალით მოსდის. ჩვენ ისევე გასუს-
 ულები ვართ. კაცი გაჭირვებით დგება ფეხზე. თოკი ისევე
 კისერზე აქვს შემოხვეული. იქვეა ტოტიც, რომელზეც ამ
 თოკის მეორე ბოლოა გამობმული. კაცი ჯერ ტოტს უყ-
 ურებს და მერე ხეს. ზევითაც იხედება და ხეზე შერჩენილ
 ტოტს გადანაჭერს ამტერდება. კაცი მხრებს იჩენავს და
 თავს მორცხვად ხრის დაბლა. სისხლი სახეზე თქრიალით
 ჩამოსდის. ისმის ჩიტების გამაყრუებელი ჟივილ-ხივილი.
 კაცი მძიმედ სუნთქვას. ცოტა დაბნეულიცაა. პირს ალბს
 და კეტავს. რაღაცის თქმა უნდა და ვერ ჩამოყალიბებუ-
 ლა, რისი. ბოლოს ხმის კანკალით ამბობს, რომ მეორედ
 იმავეს ველარ იზამს და ჩამოხრჩობის აქტსაც ველარ გაიმ-
 ეორებს. ეს მის ძალებს აღემატება. ძალიან სწუხს და იხ-
 დის ბოდიშს. ამბობს, რომ წარმოდგენაში გადახდილ ფუ-
 ლს აუცილებლად უკან დააბრუნებს. ნელ-ნელა დააბრ-
 უნებს... ამისი არავის სჯერა, რადგან სწორედ ვალების
 გამო გაყო თავი ნასკვში და ეს წარმოდგენაც ფულისთვის
 მოაწყო. არადა, ეტყობა, ვალები უკვე გაისტუმრა და აქტი
 კი ჩაეშალა.
 კაცს მხრები უცახცახებს. ალბათ ტირის კიდევ, მა-
 გრამ ნითლად მოთხვრილ სახეზე ცრემლები არ ეტყობა.
 კაცი სასონარკვეთილი ეცემა მუხლებზე და პატიებას
 ითხოვს ვერშემდგარი აქტისთვის. ჯერ ისმის დამუხტუ-
 ლი სიჩუმე და უხერხული შარბიშური. მერე კი ისმის ტაში.
 ჯერ მორიდებული და ცალკეული, ხოლო შემდეგ კი გაყუ-
 რი და ველური. დამსწრე საზოგადოება მალევე ხურდე-
 ბა. ყველანი ფეხზე ვდგებით და ტაშსაც ასე ვუკრავთ. მარ-
 თალია, თვითმკვლელობის აქტი ვერ შედგა, თუმცა წარ-
 მოდგენა მაინც ძალზედ ეფექტური გამოვიდა. ხანდახან
 ასეც ხდება ხოლმე...
 ნითელსახიანი კაცი იცინის და თეთრ კბილებს აჩენს.
 სახეს ღია ფერის ზოლები უსერავს. მგონი, ისევე ტირის...



ირაკლი ქასრაშვილი

ვასილი ბროსმანის „ცხოვრება და ბედი“

ვასილი ბროსმანის რომანის შესახებ პირველად მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში „ბი-ბი-სი“-ს რადიოგადაცემიდან შევიტყვე. სათაურით: „ცხოვრება და ბედი“ და დახასიათება — „სანგრებიდან დანახული სიმართლე“ კარგად დამამახსოვრდა. ამ წიგნის ისტორია ხრუსჩოვის მმართველობის პერიოდში აკრძალულ მეორე რომანზე — „ექიმ ჟივაგოზე“ უფრო ტრაგიკულია. 1960 წელს ჟურნალში დასაბუთებლად მიტანილი ხელნაწერი რედაქტორმა პირდაპირ უშინებდა და გააძევა. იქ კი მისი ნაკითხვის შემდეგ სასწრაფოდ დატრიალდნენ, ავტორთან ჩხრეკა ჩაატარეს და ნაწარმოების ყველა ეგზემპლარი ამოიღეს. მერე გროსმანი კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა, სუსლოვმა დაიბარა და განუცხადა, რომ რომანს აღარასოდეს დაუბრუნებდნენ და მას შეიძლება, მხოლოდ ორასი ან სამასი წლის შემდეგ ეხილა დღის სინათლე. ამ ბნელეთის მოციქულს, ალბათ, ეგონა, რომ იმ დროისთვის კომუნისტი მთელ მსოფლიოში საბოლოოდ გაიმარჯვებდა და მომავალი თაობები სამამულო ომის შესახებ სიმართლეს ისევე აღიქვამდნენ, როგორც ჩვენ აღვიქვამთ ჯვაროსნულ ომებს თუ ნაპოლეონის ლაშქრობებს. საბედნიეროდ, „ხელნაწერები არ იწვიან“ და ავტორის მეგობრების მიერ გადარჩენილი წიგნი ოცი წლის შემდეგ შევიცარიაში დაიბეჭდა, მერე ინგლისურად თარგმნეს, ხოლო „პერესტროიკის“ დასაწყისში რუსეთშიც გამოსცეს. ვინც ნაკითხავს, ვეღარასოდეს განიხილავს სტალინგრადის ბრძოლას, სამამულო ომსა და სტალინურ ეპოქას ისე, რომ გროსმანის რომანი არ გაახსენდეს. ეს უკიდურესად ზუსტი ნაწარმოებია, რომელშიც მწერალი ცდილობს, არა მხოლოდ ომი აღწეროს, არამედ გაიაზროს კიდევ ეს არნახული სისასტიკისა და არაადამიანური დანაშაულების ეპოქა და მას ორივე — საბჭოელებისა და გერმანელების მხრიდან დააკვირდეს. „სიმართლე ერთია. არ არსებობს ორი სიმართლე“ — ამბობს ავტორი, — „ძნელია, იცხოვრო სიმართლის გარეშე ან მისი ნამსხვრევებით, სიმართლის ნაწილებით, შემცირებული, შეკვეცილი სიმართლით. სიმართლის ნაწილი არ არის სიმართლე. ამ მშვენიერ, მდუმარე ღამით დაე სულში მხოლოდ სიმართლე იყოს — რაიმეს მიჩქმალვის გარეშე“. და ისიც სრულ სიმართლეს მოგვითხრობს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა — მეტისმეტად მძიმეს, ხშირად გაუსაძლისს და ზოგჯერ აუხსნელს. მისი სიტყვები იმ ადამიანებისადმიცაა მიმართული, ვინც დაიჯერა ოფიციალურ „ადიდ სამამულო ომის ისტორიის“ მრავალტომეულში მოთხრობილი ზღაპრები, ვინც საკუთარ მეხსიერებაზე მეტად შელამაზებულ ამბებს ენდობოდა, ვინც მისი წიგნი დააპატიმრა, ვინც დღესაც ქმნის მრისხანე კომისიებს, იღებს კანონებს „ომის ისტორიის გაყალბებისაგან დასაცავად“ და აპატიმრებს მათ, ვინც წარსულზე თუ აწმყოზე სიმართლის თქმას ბედავს. „ცხოვრება და ბედი“ ნაბიჯ-ნაბიჯ ანადგურებს მითებს, რომელთა შეთხზვაზე საბჭოთა და რუსი პარტიული თუ პატრიოტი ისტორიკოსების, მწერლებისა და მემუარისტების მთელი არმია ათწლე-

ულებია, მუშაობს. სახელგანთქმული მარშლები, რომლებსაც ეყოვის ჯალათები დაკითხვების დროს ჩაქუჩებით თითებს უმტვრევდნენ და ომის წინ სასწაულით დააღწიეს თავი სიკვდილის ბანაკებს, მოგონებებში საკუთარ პატიმრობას სიტყვითაც არ ეხებოდნენ და ამის შემდეგ მათ მონათხრობს როგორღა უნდა ენდო. კონსტანტინე სიმონოვის მსგავს ორთოდოქს კომუნისტებთან ნახევარ სიმართლესაც ვერ ნაანყდები, ხოლო ვიქტორ ნეკრასოვის „სტალინგრადის სანგრებში“ ოფიციალურად დამკვიდრებული სიმართლე უნდა ემეტია მოთხრობილი, ისევე, როგორც გროსმანის პირველ და ხელისუფლების მიერ მოწონებულ წიგნში სტალინგრადის ბრძოლაზე — „სამართლიანი საქმისათვის“, რომელიც ორმოცდაათიან წლებში დაიბეჭდა. რა თქმა უნდა, მწერალთა მთელი პლეადაც არსებობს, რომლებიც კარგად წერდნენ ომსა და მის სიმძიმეზე, მაგრამ მგონია, რომ მათ შორის ნამდვილად ეპიკური ნაწარმოები მხოლოდ ერთია — „ცხოვრება და ბედი“, მეორე მსოფლიო ომის თემაზე შექმნილი საუკეთესო რომანი.

ამ წიგნში ავტორი არასოდეს ეკითხება საკუთარ თავს, ვის მხარეს არის სიმართლე. მას, უშიშარ სამხედრო კორესპონდენტს, რომელიც მუდამ წინა ხაზზე იყო და ტრებლინკის სიკვდილის ბანაკიც აღწერა, ამ კითხვაზე ომის დანებებთან დაკავშირებით უტყუარია პასუხი — სიმართლე ნაციზმის მხარეს არ შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ მანვე, შესაძლოა პირველმა, აღმოაჩინა ძირითადი მსგავსება ნაციზმსა და ბოლშევიზმს, ამ ორ კაცთმოძულე მოძღვრებას შორის. მაღალჩინოსანი ფაშისტი ეუბნება საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილ ძველ კომუნისტს: „როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვუყურებთ, არა მარტო საძულველ სახეს ვხედავთ, არამედ სარკეში ვიყურებით. განა თქვენ ვერ ცნობთ საკუთარ თავს, საკუთარ ნებას ჩვენში?“ უმთავრესი, რაც მათ საერთო აქვთ, ეს ადამიანის, მისი ცხოვრების წესის, ინტერესების, სურ-

ვილების, უფლებების სრული უგულვებლყოფაა, სიცოცხლის არად ჩადგებაა. ორივე ამ იდეოლოგიისათვის პიროვნება არაფერია, ხოლო კოლექტივი — ყველაფერი. თუმცა სინამდვილეში ამ უუფლებოთა ერთობაც ისევე უუფლებოა, როგორც ცალკეული ინდივიდი და კოლექტივი მხოლოდ პრივილეგიებული მცირე ჯგუფის მიერ სხვების დამორჩილებისა და მათი მანიპულირების საშუალებაა. მიუხედავად ამისა, სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებისას ყოველი ადამიანი იძულებულია, აირჩიოს ერთ-ერთი მათ შორის. ფაშისტი ავტორისთვის აბსოლუტური ბოროტებაა, რომელზე უარესი საშინელება არ არსებობს, არც შეიძლება არსებობდეს. ამ რეჟიმმა ადამიანების სისტემატური ხოცვა მეცნიერულ დონეზე აიყვანა. გროსმანმა შიგნიდან, გეტოებიდან და გაზის კამერებიდან, დაგვიანაზა პოლოკოსტის კომშარი, რომელსაც არც ახსნა აქვს და არც გამართლება, გვიჩვენა მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევდა დამნაშავე ათასებს, უდანაშაულო მილიონები გაენადგურებინათ. ის საკუთარ თავს, ჩვენ, ყველას, მთელ სამყაროს ეკითხება: როგორ შეიძლებადა თითქოსდა ცივილიზებულ ევროპაში ეს საშინელება მომხდარიყო და რატომ მიდიოდა ასე მორჩილად, წინააღმდეგობის გარეშე, მათთვის გამზადებულ სასაკლაოზე ამდენი ადამიანი? მათ ხომ ვერ წარმოედგინათ, რომ სრულიად უშიშროდ, არაფრის გამო მოსპობდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ებრაელები, ბოშები, პოლონელები, უკრაინელები თუ რუსები იყვნენ. პანდორას ყუთის ძირში დარჩენილი იმედი, რომელიც კაცობრიობას ხსნის შანსს აძლევდა იმ დროს, როდესაც თითქოს ყველაფერი დაკარგული იყო, ახლა პირიქით, ხაფანგის გამო განწირული ადამიანებისთვის. არაფერი დაუშავებიათ და რატომ უნდა დაეხოცათ? არ ესმოდათ, რომ მათი არსებობა ნაცისტებისთვის უკვე დანაშაული იყო. გროსმანს ზუსტად აქვს მიგნებული ის მომენტი, როდის დაგვემეს ჰიტლერმა და მისმა

დამქაშებმა „ებრაელთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტა“. ეს გერმანიისთვის ყველაზე დიდი წარმატებების დრო იყო, 1942 წელი, როდესაც კონტინენტური ევროპა დააჩოქეს, რუსეთში ვოლგას მიაღწიეს, ხოლო ჩრდილოეთ აფრიკაში ალექსანდრია და კაიროს მიაღწენ დასაპყრობად, საიდანაც სუეცის არხისაკენ იხსნებოდა გზა. სწორედ ამ სამხედრო ტრიუმფის დროს გამოჩნდა კანიბალური რეჟიმის ნამდვილი სახე, თორემ დამარცხების პირას მყოფმა ნაცისტებმა ყოფილი ტყვეებისგან ჩამოყალიბებული „რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის“ შექმნაც კი დაუშვეს, რასაც მანამდე წლების განმავლობაში კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ.

1941 წლის ივნისში, ზუსტად საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინ, ემიგრაციაში მყოფი სტალინის ყოფილი პირადი მდივანი ბორის ბაჟანოვი, რომელიც ოკუპირებულ პარიზში ცხოვრობდა, ბერლინში, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის შტაბბინაში დაიბარეს და უამრავი კითხვა დაუსვეს კრემლში ძალაუფლების გადასაწილებისა და ბოლშევიკ ბელადთა შესახებ. ბაჟანოვი მიხვდა, რომ გერმანია რუსეთთან ომს აპირებდა და უთხრა როზენბერგს, ნაცისტების ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგს: „თუკი თქვენ აპირებთ ომს კომუნისტების წინააღმდეგ, ამ ომში გაიმარჯვებთ, ხოლო თუ რუსი ხალხის წინააღმდეგ — დამარცხდებით“. ეს ფრაზა ომის მოგების ზუსტი პოლიტიკური რეცეპტი აღმოჩნდა, რომელსაც გერმანული რასის უპირატესობის თეორიით თავბრუდახვეული ჰიტლერის მიმდევრები ვერც დაეთანხმებოდნენ და ვერც მიიღებდნენ. ფიურერს მთელი საბჭოთა კავშირის კოლონიად ქცევა სურდა, დაპყრობილი მრავალეროვანი მოსახლეობა კი ორმოცი მილიონით უნდა შემცირებულიყო, რათა გერმანელებისთვის „სასიცოცხლო სივრცე“ გაენიშნა. ამ გეგმების შესახებ კომუნისტური მმართველობით დატანჯულმა საბჭოთა ხალხმა არაფერი იცოდა და კარგად აწყობილი ნაცისტური სამხედრო მანქანის პირველი დარტყმისთანავე ნიუთონის უნივერსიტეტის უკანდახვევა, უმრავლეს შემთხვევაში კი თავქუდმოგლეჯილი გაქცევა დაიწყო. ომის პირველი თვეების განმავლობაში გერმანელთა უზარმაზარი წარმატებების საიდუმლო არა მარტო მათი სამხედრო მეთაურების პროფესიონალიზმსა და ჯარისკაცების საბრძოლო მომზადებაში იყო, არამედ იმ ფაქტშიც, რომ მოწინააღმდეგის არმიის დიდი ნაწილი, მათ, უბრალოდ, არ ეომებოდა. ჩვეულებრივი ადამიანები მათ კომუნისტებისგან განმთავისუფლებულ ძალად აღიქვამდნენ, ხოლო ნაციონალური რესპუბლიკები — ნანატრი დამოუკიდებლობის მომტანებად. ჯარისკაცები ტანკებსა და არტილერიას ტოვებდნენ, იარაღს ყრიდნენ — მილიონობით ადამიანი ჩაბარდა ტყვედ. მოსახლეობა ზარების რეკვით, პური და მარილით ეგებებოდა, ბოლშევიკებთან საბრძოლო ველად მზადყოფი მოხალისეებისაგან რამდენიმე არმიის ჩამოყალიბებაც კი შეეძლო. მაგრამ სულ მალე გაიჩვენა, რომ დამპყრობლები დაპყრობილ მოსახლეობას ადამიანებად საერთოდ არ თვლიდნენ და არც ექცეოდნენ, როგორც ადამიანებს — ტყვეებს ტრიალ-



მინდორში გაშლილ ბანაკებში შიმშილით, წყურვილითა და სხვადასხვა დაავადებებით ხოცავდნენ, დაკავებული ქალაქებიდან ხალხს გერმანიაში გზავნიდნენ მონებად, მცირე დანაშაულისთვის სოფლებს მოსახლეობასთან ერთად ძირფესვიანად წვავდნენ, ებრაელებს გეტოებში ათავსებდნენ და შემდეგ ანადგურებდნენ, კოლმეურნეობების მეშვეობით ძველებურად ყვლეფდნენ გლეხებს, ხოლო სტიქიურად შექმნილი ეროვნული მთავრობების წევრებს, რაც უნდა ლოიალური ყოფილიყვნენ ისინი, მაშინვე აპატიმრებდნენ. კომუნისტების ლოზუნგი — „დაგვემორჩილე ან მოკვდი“, მათ უფრო მაღალ ხარისხში აიყვანეს. საკუთარი ამპარტავნობითა და სისასტიკით ნაცისტებმა მტრად მოიკიდეს ყველა, ვისი გადამტერებაც კი შეიძლებოდა და სრულიად მარტო დარჩნენ თანდათან გონს მოგებული ნითელი არმიის, რუსული ზამთრისა და შეუბრალებელი ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლებმაც სასიკვდილო განსაცდელის ჟამს სწრაფად მიივიწყეს ინტერნაციონალური ლოზუნგები და რუსული ნაციონალიზმის დროშა ააფრიალეს. გროსმანის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერსონაჟი, ტიპური პარტიული მოღვაწე, რუსი ნაციონალისტი და პროფესიონალი დამსმენი გეტმანოვი ზუსტად აღნიშნავს: „ჩვენ ბედად, გერმანელებმა ერთი წლის განმავლობაში უფრო შეაზიზღეს თავი გლეხკაცს, ვიდრე კომუნისტებმა ოცდახუთი წლის მანძილზე“. სწორედ ნაცისტურმა იდეოლოგიამ და ჰიტლერის გეგმებმა — ექვია რუსეთის (და მთელი საბჭოთა კავშირის) მოსახლეობა საკუთარ მონებად, მისთვის დიდი წარმატებით დაწყებული ომი, მართლაც, სამამულო ომად გარდაქმნა საბჭოთა კავშირში მცხოვრები მრავალი (სლავი თუ არასლავი) ერისათვის. ალბერ კამიუნერდა, რომ ჰიტლერი, ალბათ, ერთადერთი ტირანია კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც თავის შემდეგ არაფერი დადებითი არ დაუტოვებია. „ცხოვრება და ბედის“ ავტორი, ალბათ, დასძენდა: ერთადერთი დადებითი, რაც სტალინმა დატოვა ისტორიაში — ეს სწორედ ჰიტლერის დამარცხებაა.

გროსმანი კომუნისტების მხარეს კი არ არის, ის ადამიანების მხარესაა — ებრაელების, ბოშების, რუსების, უკრაინელების, პოლონელების, თვითონ გერმანელების (ოლონდ არა — ფაშისტების) მხარესაც. მას რომ ისეთი წიგნი დაეწერა, რომელსაც საბჭოთა ცენზურა გაატარებდა და წინა რომანების მსგავსად, ოფიციალური წარმატება ხვდებოდა წილად, ომის შესახებ სრულ სიმართლეს, მისგან, ალბათ, ვერც გავიგებდით. ის შეულამაზებლად აღწერს სტალინური რეჟიმის დამთრგუნველ ატმოსფეროს, უნდობლობას, დასმენებსა და დაჭერებს. მისი რომანი არის წიგნი თავისუფლების შესახებ, უფრო სწორედ, თავისუფლების წყურვილსა და მის არარსებობაზე, იმაზე, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოში ის მხოლოდ სასიკვდილო საფრთხეში ყოფნისას შეიძლება, მოიპოვო. განწირული ძველი ბოლშევიკი, რომელსაც დაპატიმრებამ და ციხეებმა, ადამიანთა ტანჯვის გამუდმებულმა ყურებამ თვალები აუხილა, ბანაკში თვითიკვლელობის წინ მას ყოფიერების საფუძველთა საფუძველს უწოდებს. ყველაზე თავისუფალი ადამიანები კი გერმანელების მიერ ალყაშემორტყმული სახლის „ექვსი-წილადი-ერთის“ დამცველები არიან, რომლებმაც იციან, რომ დღე დღე გარდაული სიკვდილი ელით. მათი უშიშარი მეთაური, „სახლმმართველი“ გრეკოვი, ადამიანი ჩეხოსლავის მხრით, სწორედ ამ, თუნდაც შორეული და ჯერჯერობით მიუღწეველი თავისუფლებისთვის იბრძვის. ინტელიგენტების მცირე მრავალეროვანი ჯგუფის წევრებიც კი, რომლებიც ევაკუაციაში საღამოს შეკრებებზე „ანტი-საბჭოთა“ საუბრებით ერთობიან, ტროცკის იგონებენ, დიქტატურას აძაგებენ, ჩეხოვსა და სიტყვის თავისუფლებაზე მსჯელობენ, საბოლოოდ მაინც არ ენდობიან ერთმანეთს და თვეების განმავლობაში დღეაღწევენ, ხომ არ გახდა მათი აზრები ცნობილი „კომპეტენტური ორგანოებისთვის“. საეროები, ანტონ ჩეხოვის, ამ ყველაზე ევროპელი და დემოკრატიული მწერლის სახელი ხშირად გვხვდება გროსმანთან. ჩეხოვი არ მსჯელობდა თავისუფლებაზე, არავის მოუწოდებდა სიცოცხლე გაელო მის დასაცავად, არასოდეს უცდია ქვეყნიერება მაინცდამაინც



ახალი რელიგიური სექტის შექმნით ეხსნა, რუსი „ღვთისმტყობილნი“ ერის განსაკუთრებულ მისიაზე ექადაგა ან უბირი გლეხკაცი ელიარებინა სამყაროს ცენტრად. ის უფრო მცირე, ყოველდღიური, ჩვეულებრივი, ადამიანური სიკეთის კეთების, სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების მომხრე იყო, იმ მოძღვრების ადვოკატი, რომელსაც რომანში ემიგრანტი იკონნიკოვი აღწერს მოკლე, მაგრამ ავტორის შეხედულებების გასაგებად მეტად მნიშვნელოვან ტრაქტატში. იკონნიკოვს იმიტომ ზვრეტენ, რომ უარს ამბობს, იმუშაოს გაზის კამერის მშენებლობაზე, სადაც ადამიანები უნდა მოწამლონ. „ბოროტებაში მონაწილეობის მიუღებლობა“ იმ ადამიანის მხრიდან, რომელსაც ფანატიკოსი კომუნისტები ზიზღით უყურებენ, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე წინასწარ განწირული ბოლშევიკური შეთქმულების მოწყობა ან პატიმართა უდიდესი ნაწილის თვითგადარჩენის ინსტინქტზე დამყარებული მონური მორჩილება. ეს მარტოხელა, ბოროტებასთან უკომპრომისო მეტოქეობის თითქოს გვეუბნება: „ნაციზმის დროს ადამიანს იმისათვის, რომ ადამიანად დარჩეს, საკუთარი სიცოცხლის ხსნაზე უფრო იოლი არჩევანი აქვს — სიკვდილი“. მისი ბედი იმათ პასუხისმგებლობაზე დაგვაფიქრებს, ვინც თვითონ თითქოს არავის კლავდა, მაგრამ ვისი მდუმარე თანხმობითაც, ვისი შრომითაც შეიქმნა კაცთმოძულე სისტემა, დაპირექტა და აჟენდა საკონცენტრაციო ბანაკები და კრემატორიუმები. მათ მორჩილებას ზოგჯერ ჩინებთა და მედლებით, ზოგჯერ კი ერთი თვეში ბალანდით ყიდულობდნენ.

ტოტალიტარში უპირველესად ცდილობს, ადამიანური ჩაკლას ადამიანში. ის უბრალო გრძობებს — მეგობრობას, ერთგულებას, სიყვარულს, ტანჯვას, იმედს, მონატრებას, თავგანწირვას პოლიტიკური მიზანშეწონილობისა და უსიტყვო მორჩილების სუროგატებით ცვლის. სტალინურ საბჭოთა კავშირში პოლიტიკურის წევრებიდან კოლმეურნე გლეხამდე — ყველანი მონები იყვნენ. ბრმა ბედისწერასავით უეცარ რეპრესიას ნებისმიერი მათგანი ან მათი ოჯახის წევრი შეიძლება შეენირო. უზარმაზარი ქვეყანა შიშით იყო გათანგული. მილიონობით ადამიანისთვის გადაულახავ ამ მონურ გრძობას გროსმანმა მოსკოვის სტეფანოსვერ ცაში ანთებული შესაფერი სახელი მოუძებნა — „სახელმწიფო შიში“ (Госстрах) — საყოველთაო და უსაშველო. თუმცა, ნორმალურ ადამიანს არ შეუძლია, ფიქრის, აზრთა შეუზღუდავი გაცვლა-გამოცვლის გარეშე იარსებოს. შემთხვევითი არაა, რომ პროფესორი შტრომი სწორედ ევაკუაციაში, თავისუფალი საუბრებით შექმნილ შთამაგონებელ გარემოში აკეთებს თავის უდიდეს სამეცნიერო აღმოჩენას. არადა, ამგვარ ნებეირ მდგომარეობაში ყოფნა მეტისმეტად სახიფათოა იმ დაუნდობელი სისტემის პირობებში, რომელზეც ერთი ძველი, უკვე ციხეში გამოწყვედულ-

ლი ჩეკისტი ამბობს: „უდანაშაულოები არ არსებობენ. დამნაშავე ისაა, ვისზეც ორდერია გამოწერილი, ხოლო ორდერი ნებისმიერზე შეიძლება გამოიწეროს“. და ის მართალია — არაადამიანურ სისტემაში ყველა ადამიანი აპროორი დამნაშავეა. თუკი დღეს სახელმწიფოს ამოუცნობ ინტერესებს სჭირდება, შეიძლება სახლში სტალინმაც დაგირეკოს და წართმეული სამსახური და საყვარელი საქმე წაშლი დაგებრუნოს, ხვალ კი, თუ სასარგებლო აღარ ხარ ან ოდნავ ურჩობას შეგამჩნევენ — დაუყოვნებლივ „ხალხის მტრად“ შეირაცხები და გულაგში, აჩრდილთა სამყაროში გიკარავენ თავს. ამ ვითომდაც საყოველთაო თანასწორობის ქვეყანაში სინამდვილეში ყოველი ადამიანი ახალი ფეოდალური იერარქიის გარკვეულ საფეხურზეა მოთავსებული და მის მიხედვით იღებს საკვებ ტალონებსაც, ტანსაცმელსაც, ბინასაც და ჯამაგირსაც. „ცხოვრება და ბედი“ ყველაფერთან ერთად არის წიგნი სტალინური წყობის ბიუროკრატიულ, უსულგულო არსზე, იმაზე, რომ ნამდვილი გმირების თავდადებით, მათ მიერ მოპოვებული გამარჯვებებით სინამდვილეში პოლიტიკური ბიუროკრატები ხეირობდნენ, ისინი იღებდნენ მთავარსარდლის მადლობებს, ჯილდოებსა და თანამდებობებს. ჯარისკაცებისთვის, რომლებიც ყოველდღე ტყვიას უშვერდნენ მკერდს, რომელთა სიცოცხლესაც არავინ და არასოდეს უფრთხილდებოდა, ხშირად მედლებსაც ვერ იმეტებდნენ, ხოლო მარშლები და გენერლები, რომელთა სამეთაურო პუნქტები კოლომეტრებით იყო დაცილებული მონინავე პოზიციებს, ორგზის და სამგზის საბჭოთა კავშირის გმირები ხდებოდნენ. ომის ბიუროკრატის საუკეთესო გამოხატულება იყო, ალბათ, ლენინდ ბრეჟნევი, საშუალოზე საშუალო კაცი, რომელიც რამდენიმეჯერ თუ გასულა წინა ხაზზე და მაინც ოთხგზის გმირი და ყველა არსებული საბრძოლო ორდენის კავალერი გახდა. სწორედ ეს ნომენკლატურა, „ახალი კლასია“ რეჟიმის ძირითადი დასაყრდენი. მათი სახელმწიფოს მთავარი მიზანი და ამბოცი კარგად ჩამოაყალიბა გროსმანის ერთ-ერთმა პერსონაჟმა: „რუსები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით კაცობრიობას ჩაუდგებიან სათავეში“. სწორედ ეს იყო მსოფლიო რევოლუციის თეორიის თუ მესამე რომის მოძღვრების სტალინური ტრანსფორმაცია. საბჭოთა ჯარი ევროპის გათავისუფლებისთვის კი არ ემზადებოდა, არამედ მის ხელახლა დასაპყრობად, საკუთარი ბატონობისა და იდეოლოგიის თავზე მოსახვევად.

„ცხოვრება და ბედი“ საუბრისას ვერაფრით ავუვლით გვერდს სხვა ომის შესახებ შექმნილ პირველ დიდ რუსულ ეპოსს — ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობას“. გროსმანი არც მალავდა, რომ ეს რომანი მისი შთაგონების წყარო იყო. თუ მის გმირებს ტოლსტოის გმირებს შევადარებთ, აღმოვაჩინებთ, რომ რუსეთში ადამიანების ხარისხი, მათი დონე მეტისმეტად დაცემუ-

ლამ იმ ასოცდაათი წლის განმავლობაში, რაც ორ სამამულო ომს ერთმანეთისგან აშორებდა. ტოლსტოის გმირების სამყარო გაცილებით მრავალფეროვანი და ღრმაა. მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ახერხებს ყოველდღიურობაში მარადიულობა დაინახოს. გროსმანის გმირები კი უკვე აღარაფერს ეძებენ ამქვეყნიური ყოფის მიღმა. მათ შორის ყველაზე უკეთესი, ყველაზე წესიერი — ვიქტორ შტრუმი ინტელექტუალურად ნამდვილად არ ჩამოუვარდება, მაგრამ სულიერი განვითარების მხრივ ახლოსაც ვერ მივა ანდრეი ბალკონსკისთან და პიერ ბეზუხოვთან. ადამიანებმა უმთავრესი რამ — ღვთის რწმენა დაკარგეს და მას მალევე მოჰყვა არა მარტო მოქმედების, არამედ აზროვნების თავისუფლების დაკარგვაც. წარმოდგენილია, სტალინის რომელიმე მარშალს ფრონტზე გამგზავრების წინ კუტუზოვის მსგავსად რამდენიმე საათი ელოცა ეკლესიაში. ასეთი საქციელის გამო მას პატიმართა ბრიგადის მეთაურობა არ ასცდებოდა სადმე შორეულ აღმოსავლეთში. დარვინის თეორიის ძალადობრივმა დაწერვამ საბჭოთა მოქალაქეები კიდევ უფრო მეტად მიაჯაჭვა ყოველდღიურობას და ცხოვრების აზრის ძიება ბანალური თვითგადარჩენის სურვილით შეცვალა. ყოველი დღე იმდენად დამძიმებულია ლუკმა-პურსა და თვითგადარჩენაზე ზრუნვით, უაზრო და სახიფათო პოლიტიკური შეზღუდვებით, სიყალბითა და დასმენებით, რომ მის მიღმა გახედვის არც ნება აქვთ, არც უფლება და არც შესაძლებლობა. წიგნს ვამთავრებთ და მისი გმირების უმრავლესობას თითქოს შუა გზაზე ვტოვებთ, მათი ცხოვრება გრძელდება, ბედი კი გაურკვეველია ომითა და ტერორით მოცულ ქვეყანაში.




თვრამეტი წლის ასაკში ერნესტ ჰემინგუეი მსოფლიოს საუკეთესო მწერალი მეგონა. გვიანდელ საბჭოეთში ის ყველაზე პოპულარული უცხოელი ხელოვანი იყო. ინტელიგენტურ ოჯახში კარგ ტონად ითვლებოდა, თუკი კედელზე ჯემპრში გამოწყობილი დაღარულსახიანი წვერიანი კაცის ფოტოსურათი გეკიდა, საიდანაც მისი დაკვირვებული და ამასთან, მხიარული თვალები შემოგცქეროდნენ. ეს გამოხედვა თითქოს შორს, უცხო სამყაროში იხედებოდა, ადგილებში, რომელთაც უცნაური სახელები ერქვათ — ოუკ-პარკი, აიდაპო, კი-ვესტი, პამპლონა, კენია. იქ მოხვედრა შეუძლებელი იყო არა, მეტიმეტად ძნელი იყო. ყველამ, ვისაც მისი ბიოგრაფია წაეკითხა, იცოდა, რომ ჰემინგუეი მოხალისედ წავიდა პირველ მსოფლიო ომში, იტალიაში მძიმედ დაიჭრა, შემდეგ პარიზში ცხოვრობდა, ესპანეთში რეპორტიორად მუშაობდა, ფრანკისტებს ებრძოდა, მერე კი საფრანგეთის ფაშისტებისგან გათავისუფლებაში მიიღო მონაწილეობა. ამასთან, მოყვარულ მოკრივედაც იცნობდნენ, კორიდის დიდი მოტრფილე იყო და აფრიკაში ლომებსა და მარტორქებზე ნადირობდა. ახლა გამოჩნდნენ ბიოგრაფები, რომლებიც საკუთარი თავის რეკლამირებასა და ტრახახში სდებენ ბრალს, მაგრამ მაშინ ამაზე არაფერი ვიცოდით და რომც გვცოდნოდა, არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. ისე კი, ალბათ სასარგებლო იქნებოდა, მისი ზოგიერთი ბიოგრაფი ერთხელ მაინც თუ ჩამოიყვანდა დაჭრილებს მუხრუჭებში მოხილი ძველებური „ფორდით“ იტალიის მთების ციცაბო გზებზე, გააფთრებულ ხარს გზას გადაუჭრიდა ან მაღალ ბალახში დაჭრილი ნადირთა მეფის მოსაკლავად შეაბიჯებდა შემართული თოფით. ამის შემდეგ, იქნებ, უკეთ მოუხერხებინა იმ კაცის გაგება, ვისაც ეს ნამდვილად გაუკეთებია.

ისიც უნდა ვაღიარო, რომ ნებისმიერი დიდი მწერლის ბიოგრაფიის წაკითხვის შემდეგ შეიძლება გარკვეული იმედგაცრუებაც იგრძნოთ, რადგან მისი ფანტაზიით შექმნილი საოცარი სამყარო და მისივე ყოველდღიური ცხოვრება, ჩვეულებრივ, ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც „სულის პოეზია და ყოველდღიურობის პროზა“.

იმის ასახსნელად, რა იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჰემინგუეის სრულიად წარმოდგენილი პოპულარობის მიზეზი უზარმაზარ ტოტალიტარულ სივრცეში, სადაც ის ერთ-ერთ იშვიათ ნათელ ნურტილად იქცა, პირველი, რაც თავში მომდის, წერის მანერაა — ჟურნალისტიკას მიმსგავსებული, მრავალსიტყვიანობისგან შორს მდგომი და დაბალანსებული. მარტივი წინადადებები, მოკლე და ზუსტი დიალოგები, ფარული აზრი და ქვეტექსტები — ქვეყანაში, სადაც განსხვავებული შეხედულების დაუფარავად გამოქმნა სიცოცხლისთვის თუ არა, ჯანმრთელობისთვის ნამდვილად სახიფათო იყო, მწერლებს და ზოგადად, შემოქმედ ადამიანებს ასეთი მეთოდი, ალბათ, ყველაზე მისაღებად მიაჩნდათ, რათა სათქმელი მკითხველამდე თუ მაყურებლამდე ზედმეტი გართულებების გარეშე მიეტანათ. ასე ვახსენებთ განთქმული არა მარტო ჰემინგუეის ნაწარმოებები, არამედ მასთან მიმსგავსებული სტილიც, სადაც სტრიქონებს შორის უნდა ამოგეკითხა ბევრი რამ. დაწყებული ხელოვანისთვის, ერთი შეხედვით, ასე წერა გაცილებით იოლია, ვიდრე დიდი რომანისტების ზედმეტად დეტალური და თითქოს რთული სტილის მიბაძვა. თუმცა, მათ არავინ აფრთხილებს — ჰემინგუეის მსგავსად რომ წერო, ჯერ ცნობილი ამერიკელი რომანისტებისგან, ვთქვათ, ჰენრი ჯეიმსისა და სინკლერ ლუისისგან უნდა ისწავლო აზრის გადმოცემა. საერთოდ, ჰემინგუეის შესანიშნავი ლიტერატურული გემოვნება ჰქონდა და ამაში დასაწინააღმდეგებლად „აფრიკის მწვანე ქედების“ და „მარადიული დღესასწაულის“ წაკითხვაც საკმარისია. ფრანგებიდან განსაკუთრებით ბრწყინვალე სტილისტებს — სტენდალსა და ფლობერს აფასებდა, რუსებიდან ყველაზე მეტად ტოლსტოი და ტურგენევი უყვარდა. ამ უკანასკნელისგან ბევრი რამ ისწავლა. „მონადირის ჩანაწერები“ სამაგალითო წიგნად მიაჩნდა და მისი ზოგიერთი მოთხრობა მართლაც ნააგავს ტურგენევის ნაწარმოებებს. საუკეთესო ამერიკულ რომანად კი მარკ ტვენის „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალს“ თვლიდა, მისისიპიზე მოგზაურობის შესახებ შექმნილ ცოცხალ, თითქმის რეალურ ისტორიას. როცა მას კითხულობ, თითქოს თავადაც მიუყვებოდა, თითქოს მისი გულში მდინარის დინებას შეერთებული შტატების გულში. ამბობდა — მთელი თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა ამ წიგნიდან

ვალს“ თვლიდა, მისისიპიზე მოგზაურობის შესახებ შექმნილ ცოცხალ, თითქმის რეალურ ისტორიას. როცა მას კითხულობ, თითქოს თავადაც მიუყვებოდა, თითქოს მისი გულში მდინარის დინებას შეერთებული შტატების გულში. ამბობდა — მთელი თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა ამ წიგნიდან



გამოვიდაო. მე თვითონ ჰემინგუეი მგონია გაზრდილი ჰეკლბერი ფინი, რომელიც მამასაც გაექცა, ოჯახსაც, ტრადიციულ განათლებასაც, ამერიკულ საზოგადოებასაც, თავისით გაიკვალა გზა ცხოვრებაში და სახელიც საქვეყნოდ გაითქვა. და რაც მთავარია, ისეთივე თავისუფალ და გულითად ადამიანად დარჩა, როგორც ბავშვობაში იყო.

საზოგადოდ, ჰემინგუეის გმირებს შინაგანი თავისუფლების ისეთი უსაზღვრო განცდა აქვთ, რომელიც შეიძლება მხოლოდ ბავშვობისას შეითვისო გარემომცველი სამყაროდან, თავისუფალ ადამიანებთან ურთიერთობიდან — მათ საუბარსა და ქცევაზე დაკვირვებით, იმით, თუ რა თვისებები დაფასებული და რას ელიან შენგან. მას ან გრძნობ, ან — არა; ან გაქვს, ან — არა. ზღვაში მარტოდმარტო გასული მოხუცი მეთევზე სანტიაგო არა მარტო ბუნების განუყოფელი ნაწილია, არამედ ისეთივე თავისუფალია, როგორც მის გარშემომცურავი თევზები, ნავის ანძაზე შესასვენებლად ჩამოშვდარი ჩიტი ან ოკეანის ნაპირზე ბინდ-ბუნდში მოთამაშე ლომები. ფრენის მაკომბერმაც თავისი ხანმოკლე ბედნიერება სწორედ ყოველგვარი შიშისგან უეცრად თავის დაღწევაში მოიპოვა. ფრედერიკ ჰენრი არავის უთანხმებს გადაწყვეტილებას, კაპორეტოს საბედისწერო ბრძოლის შემდეგ მიატოვის ფრონტი და ორსულ ცოლთან ერთად ნეიტრალურ შვეიცარიაში გადავიდეს. ასევე თავისუფალია რობერტ ჯონსონი საკუთარ არჩევანში — დივერსიები მოახსოვს მტრის ზურგში და თავი სასიკვდილო საფრთხეში ჩაიგდოს. ჰემინგუეის პერსონაჟები ინდივიდუალისტები არიან. მათი არჩევანი შეგნებულ და დამოუკიდებელია — ის, რასაც მოლიანად მოკლებულია ადამიანი ტოტალიტარულ სამყაროში. აქ ხომ ერთადერთი სწორი აზრი მხოლოდ ხელმძღვანელს გააჩნია, ყოველი ადამიანი ზემდგომისაგან ელის ბრძანებებს, ინიციატივა კი სასტიკად ისჯება. ანდრე ჟიდი იხსენებდა, რომ ესპანეთის რესპუბლიკის ბრძოლა მხოლოდ მას შემდეგ ვახსენებდა სამართლიანი ნითელი ქვეყნის მრავალმილიონიანი მასისთვის, რაც

სტილინმა, მათმა უზენაესმა ბელადმა, გადაწყვიტა ასე, სავარაუდოდ, პოლიტიკური მიზანშეწონილობის გამო. ამერიკის მოქალაქეებს კი (თავად ერნესტ ჰემინგუეის, ან თუნდაც, მეორე ამერიკელი მწერლის, ჯონ დოს პასოსის მსგავსად) ამ ომში მტყუან-მართლის გარჩევისათვის არავის მი-

თითება არ სჭირდებოდათ და არც არავის დაუსჯია ისინი საკუთარი, გულის კარნახით მიღებული გადაწყვეტილებისთვის, დახმარებოდნენ რესპუბლიკას. მგონია, რომ თავისუფლების ის სული, რომელიც ასე უხვადაა განხეული ჰემინგუეის მოთხრობებსა და რომანებში, პარადოქსულად, კიდევ ერთი მიზეზი ვახსენებ მისი საოცარი პოპულარობისა საბჭოთა კავშირსა და რუსეთში, როგორც კუპრინი ამბობდა ერთ-ერთ მოთხრობაში, ამ „სამუდამო მონობით დამძიმებულ ქვეყანაში“. და აგრეთვე, იმის რწმენა, რომ „ადამიანი შეიძლება გაანადგურო, მაგრამ ვერ დაამარცხებ“. შეშინებული, თავგზააღრუელი, დაპატიმრებული, დათრგუნული, უკიდურესად დისციპლინირებული და დამორჩილებული ადამიანებით დასახლებული უკიდურეს ქვეყნის მცხოვრებთათვის ეს ფრაზა ძალიან მნიშვნელოვანი იმედის მომცემი, ზოგჯერ საკუთარი კონფორმისტული არსებობის გამამართლებელიც კი იყო. თუმცა, მათ ბოლომდე ნამდვილად არ ესმოდათ იმ უცნაური სამყაროსი, სადაც ყოფიერების უმთავრესი დანიშნულება მაინცდამაინც სახელმწიფოს, იმპერიისა და კოლექტივის მსახურება არ იყო, ადამიანს არც საკუთარი აზრის გამოხატვას უშლიდა ვინმე და არც თავისი შეხედულების მიხედვით მოქცევას. ჰემინგუეის გმირები, ყველაზე უცნაურებიც კი, პიროვნებები არიან და არა გოგოლის გმირის, აკაკი აკაკიევიჩის მსგავსი უპიროვნო არსებები, რომლის შინაგანი იდეა, როგორც ცნობილია, მთელი რუსული ლიტერატურა გამოვიდა.

 ჰემინგუეი უმთავრესად მსოფლიო ომების ეპოქის მწერალია და აგრეთვე, მათ შორის მოქცეული შფოთიანი, თუმცა შედარებით მშვიდობიანი ოცნებებისა. ხშირად მსჯელობენ, რა მოიხატა პირველმა მსოფლიო ომმა, ამ „ყველაზე საშინელმა, უზარმაზარმა, უხეიროდ მოწყობილმა სასაკლავო, რაც კი დედამიწაზე ყოფილა“. ტექნიკის განვითარებასა და მეტ თავისუფლებასთან ერთად მან ტოტალიტარული იდეოლოგიებიც გააძლიერა, რომლებმაც

თვით თავისუფლების ფასეულობაში შეიტანეს ეჭვი. ამასთან, ესაა „მასების ამბოხის“, ახალი დროის, ნამდვილი დემოკრატიის დასაწყისი, როდესაც უზარალო ადამიანები საკუთარი უფრთხილებითა და მოთხოვნებით ერთბაშად გამოდიან ისტორიულ ასპარეზზე და წინამძღოლებს უკვე საკუთარ პირობებს კარნახობენ. საბოლოოდ, ათასწლეული იერარქიული საზოგადოება ევროპაში სწორედ პირველმა მსოფლიო ომმა დაანგრია და დაასრულა თავის დროზე, საფრანგეთის დიდი რევოლუციისას დაწყებული საქმე. ამის შემდეგ ყველა ხელისუფლება უკვე ხალხის სახელით საუბრობდა — არჩეულიც, თავსმოხვეულიც, დემოკრატიულიც, მონარქიულიც, არისტოკრატიულიც, ავტორიტარულიც და ტოტალიტარულიც. უეცრად ძალამოცემულ კაციჭამია, მჩაგვრელ იდეოლოგიებს კი თავისუფლების კიდევ უფრო დიდი წყურვილი დაუპირისპირდა. სწორედ ამ ბრძოლებით აღსავსე, ტირანიასთან შეურიგებელი ჟამისა და იმ დროინდელი უშიშარი ადამიანების წარმომადგენელია ერნესტ ჰემინგუეი. საკუთარი გმირების მსგავსად, ის რეალურ ცხოვრებაშიც ყოველთვის თავისუფლების მხარეს იჭერდა, იმ დამოუკიდებელ, ლალ, შემოქმედებით ცხოვრებას გულშემატკივრობდა, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება ოციანი წლების პარიზიც იყო, ის პარიზი, რომელიც მთელი მსოფლიოდან იზიდავდა ნიჭიერ ადამიანებს და სადაც თვითონაც ჩამოყალიბდა მწერლად.

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, მსოფლიო ომების დასრულების შემდეგ, ევროპასა და ამერიკაში გმირული ხანა დასრულდა. დადგა შედარებით მშვიდი — მომხმარებლური საზოგადოების ეპოქა, სადაც ყველაზე მეტად სტაბილურობა, კომფორტი და მატერიალური კეთილდღეობა ფასობს. სამყარო უფრო წყნარი და თავისუფალი გახდა, შეზღუდვების რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა, ყოველდღიური ცხოვრება კი გაიოლდა და გამარტივდა. ის თითქოს გაცივდა, მოეღვარა რეკლამის დაემსგავსა, რომელიც ცდილობს, ადამიანის შინაგანი სამყაროც საკუთარ ანარეკლად აქციოს. საფუძველი ჩაეყარა ტექნიკით, მანქანებით, რკინა-ბეტონით, რადიოთი, ტელევიზიითა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაჯერებულ მსოფლიოს, რომლის მოსახლეობის სულ უფრო მზარდ ნაწილს მარტოხელა ჰომო ფაბერიკები შეადგენენ. გამოიგონეს მასობრივი განადგურების იარაღი, რომელსაც შეუძლია კაცობრიობა და მისი ყველა მონაპოვარი ერთ დღეში უკვალოდ გააქროს. ყოველდღიურად უფრო მეტი ნივთი იქმნებოდა მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოდამიც სხვაგვარი მწერლები შემოვიდნენ — გონებით რომ თხზავენ ნაწარმოებებს და არა — გულით. წიგნების წერა არ არის მაინცდამაინც სამყაროს ან საკუთარი თავის შეცნობის საშუალება, მათ საკუთარი სისხლით აღარავინ ქმნის და მწერლობაც უფრო გასართობი თამაშის ნაირსახეობად იქცა. ჰემინგუეის კარგად არ ესმოდა ამ ახალი, ამკარად უფრო ჰუმანური, მაგრამ ამასთან, გაცილებით პრაგმატული სამყაროსი, რომლის შექმნაშიც თვითონაც თავგამოდებით მონაწილეობდა და სადაც მისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებები თითქოს არცაა გაქრა, პირიქით, ოფიციალურადაც კია მოწონებული და აღიარებული, მაგრამ სწორედ ამ აღიარებამ აქცია ისინი უსიცოცხლო, რუტინულ საქმედ, საყოველთაო წესების კრებულად, რომელთაც ყველა ცნობდა და ეთანხმებოდა, მაგრამ რომელთა დაცვაც ვიღაც სხვების საქმე იყო და მათთვის თავგანწირვა, შეიძლება, აღარც იყო საჭირო. ამიტომ, ჰემინგუეი თითქმის არაფერს წერდა ახალ დროზე — ისევ ომს იხსენებდა, ძველ ამბებს უბრუნდებოდა, როგორც ეს „მარადიულ დღესასწაულში“, ან მოქმედება კუბასა და აფრიკაში გადააქონდა.

ზოგჯერ მგონია, რომ მისი თვითმკვლელობის მიზეზი არა მხოლოდ ავადმყოფობა და დევნის მანია იყო, არამედ ისიც, რომ შეცვლილ რეალობას აღლო ვერ აულო, ვერ გახდა მისი შემადგენელი ნაწილი. ახალი, სახეცვლილი სამყარო თითქოს გამჭვირვალე შუშის მიღმა არსებობდა მისთვის — მისი დანახვა შეიძლებოდა, მაგრამ მისვლა, შეხება და, მით უმეტეს, იქ ცხოვრება არ გამოსდებოდა. ამიტომაც, ასე იოლად შეეღია მას.

ამ კერპების გლუვი ქვის სახეების მიღმა არცთუ იშვიათად იმალება ბზარებისა და სიცარიელების ლაბირინთი, რომლებშიც ბუდობენ სხვადასხვა ჯიშის ფრინველები.

ჯოზეფ ლევინდერი, „აღდგომის კუნძული“.

რაც კი ახსოვდა, ვენაში ერთხელაც არ ყოფილა ასეთი ცივი ზამთარი. ყოველ ჯერზე, როცა კარი იღებოდა და კაფეში გათოშილი ჰაერის ღრუბელი იჭრებოდა, იგი ოდნავ იბუზებოდა. კარგა ხანს ახალი სტუმრები არ გამოჩენილან, და ზიგმუნდმა მოასწრო მსუბუქ ბებრულ თვლებში ჩაძირვა, მაგრამ აი, კარი ისევ გაჯახუნდა და მანაც თავი წამოწია.

კაფეში ორი ახალი სტუმარი შემოვიდა — ბაკენბარდიანი ბატონი და მალაშინი-ონიანი ქალბატონი.

ქალბატონს ხელში გრძელი ნვეტიანი ქოლგა ეჭირა.

ბატონს ქალის მომცრო ჩანთა მოჰქონდა, შავი მზინავი ტყავით განწყობილი, ოდნავ რომ დანაშაულიყო გამდნარი ფიფქებისგან.

ისინი საკიდართან შეყვინდნენ და გახდას შეუდგნენ — მამაკაცმა გაიძრო ლაბადა, დაკიდა კაჩხაზე, ხოლო შემდეგ სცადა შლაპა ჩამოეცო ერთ-ერთზე გრძელი ხის საკიდართაგან, კაჩხის ზემოთ რომ კედლიდან გამოჩრილიყვნენ, მაგრამ ააცდინა და შლაპა, ხელიდან გავარდნილი, იატაკზე დაგორდა. მამაკაცმა რაღაც ჩაილულულა, აიღო შლაპა, მინც დაკიდა და ქალბატონის ზურგს უკან დაფაცურდა, რათა მას ქურქის გახდაში დახმარებოდა. ქურქისგან გათავისუფლებულმა ქალბატონმა კეთილგანწყობილად გაუღიმა, ჩანთა ჩამოართვა, და უცებ სახეზე ხასიათნამხდარის გრიმასა გამოესახა — ჩანთის საკეტი გახსნილი იყო და მასში თოვლი ჩაგლეხილიყო. ქალბატონმა, ქურქისგან რომ თავი დაიხსნა, ჩანთა მხარზე გადაიკიდა, ქოლგა კუთხეში მიაყუდა, რატომღაც სახელურით ქვემოთ შებრუნებულად, კავალერს ხელმკლავი გამოსდო და მასთან ერთად დარბაზისკენ წავიდა.

— აჰა, — წყნარად თქვა ზიგმუნდმა და თავი დააკანტურა.

კედელსა და ბარის დახლს შორის, მაგიდის სიახლოვეს, რომლისკენაც გაემართნენ ბაკენბარდიანი ბატონი და მისი თანხლებები, იყო მომცრო ცარიელი კუთხე, სადაც მოკალათებულიყვნენ პატრონის ბავშვები — შავი რომბებით მოხატული, განიერი, თეთრსეიტერიანი რვა წლამდე ბიჭუნა და ოდნავ უმცროსი გოგონა, მუქ კაბასა და ზოლებიან შალის რეიტუზში. მათ სიახლოვეს იატაკზე კუბები და სანახევროდ დაჩუქული რეზინის ბურთი ეყარა.

ბავშვებს იშვიათი სიმშვიდით ეჭირათ თავი. ბიჭუნა გვერდებზე უცნაურნახატებიანი დიდი კუბების გორაკს უტრიალებდა — მათგან მეტად საკვირველი ფორმის სახლს აგებდა, გასასვლელით წინა მხარეს და ნაგებობა სულ ინგროვდა, რაკი გასასვლელი განიერი გამოდიოდა და ზედა კუბი გვერდითა კუბებს შორის სიცარიელეში ვარდებოდა. ყოველ ჯერზე, როცა კუბები იფანტებოდა, ბიჭუნა ერთხანს მწუხარედ იტრიალებდა ცხვირში ჭუჭყიან თითს, შემდეგ კი ხელახლა იწყებდა მშენებლობას. გოგონა მის წინ იჯდა, პირდაპირ იატაკზე, და განსაკუთრებული დაინტერესების გარეშე შესცქეროდა მძას — წვრილი ფულის გროვას ხან იატაკზე გაშლიდა, ხან მოაქუჩებდა და თავის ქვეშ მალავდა. მალე მოსწყინდა ეს გართობა, მოწყობებს შეეშვა, გვერდზე გადაიხარა, უახლოესი სკამის ფეხებს ჩაეჭიდა, თავისკენ მიიზიდა და აქეთიქით დაუნყო ჩოჩიალი, თან იმ ფეხებს მსუბუქად აჯახებდა ბურთს. ერთხელ ჯახი საკმაოდ ძლიერი გამოუვიდა, ბურთი ბიჭუნასკენ გავლოდა და მისი მყიფე ნაგებობა ჩამოიშალა იმ მომენტში, როცა ის ცდილობდა, ზედ წვერზე შემოედგა უკანასკნელი კუბი, რომლის გვერდებზეც ფორთოხლებიანი ტოტი და სახანძრო კოშკი იყო გამოსახული. ბიჭუნამ თავი ასწია და დაიკოს მუშტით დაემუქრა, რის საპასუხოდაც მან პირო გაალო და ენა გამოუყო — გოგონას ის იმდენხანს ეჭირა გამოყოფილად, რომ, ალბათ, ზედ ყველა წვრილმანის დათვალაიერება შეიძლებოდა.

— აჰა, — თქვა ზიგმუნდმა და მზერა ბაკენბარდიან მამაკაცსა და მის ქალბატონზე გადაიტანა.


მათ უკვე მიაღრვეს კერძი. ბატონი ხამანკებს ყლაპავდა, გულდაჯერებით ხსნიდა ნიჟარებს მომცრო ვერცხლის დანით და იმავდროულად რაღაცას ეუბნებოდა თანმხლებს, რომელიც ილიმებოდა, თავს უქნევდა და შამპინიონებს პირისკენ აგზავნიდა — იგი ორკბილა ჩანგლით სათითაოდ იღებდა მათ და დაკვირვებით ათვალიერებდა, მანამ, სანამ სქელ ყვითელ სოუსში ამოანებდა. შემდეგ ბატონმა ბოთლის ყელის

ლი დაავლო და ერთი მძლავრი მოქაჩვით გაალო ლუკი. დიასახლისი ოდნავ მოიღუშა და ფეხი მოინაცვლა. მიმტანმა კითხვის მზერა მიაგება — მანაც ენერგიულად დაუქნია თავი და ის ფორთხვით ჩაემვა ძირს. ეტყობოდა, იატაკის ქვეშ მოკლე კიბე უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ იგი შავი კვადრატის სიღრმეში მცირე რხევებით იძირებოდა, ყოველი რხევა უხილავი კიბის ყოველ საფეხურს შეეფარებოდა. თავი

ლილი გაყურდა თანამშრომლის დამამშვიდებელ ხვეწნაში.

— აჰა! აჰა! — ხმამალა თქვა ზიგმუნდმა და მაგიდასთან მსხდარ წყვილს მიაცივდა.

შინიონიან ქალბატონს მოესწრო დესერტზე გადასვლა — ხელში წაგრძელებული კრემიანი მილაკი ეჭირა, რომელსაც მცირე ულუფებზე კენჭდა განიერი მხრიდან. როცა ზიგმუნდმა მას შეხედა, ქალბატონი



ჭიქის კიდეზე რაკუნით დაისხა თეთრი ღვინო, დალია და სუფიანი თევზი მიიწია.

მიმტანი მივიდა და მაგიდაზე გრძელი შემწვარი თევზის ლანგარი დადგა. თევზს რომ დახედა, ქალბატონმა უცრად შუბლზე ხელისგული იტიკა და კავალერს რაღაც გადაულაპარაკა. ის მზერით ქალს მიაცივდა, ერთხანს უსმინა და უნდობლად დაიღრეჯა, შემდეგ კიდევ ერთი ჭიქა ღვინო დალია და პენენიკად დააგო სიგარეტი კონსულის ფორმის წითელ მუნდმტუქზე, რომელიც ნეკასა და უსახელო თითს შორის ეკავა.

— აჰა! — თქვა ზიგმუნდმა და დარბაზის შორეულ კუთხეს გაუშტურა თვალი, სადაც დანესებულების დიასახლისი და ჩაკურატებული მიმტანი იდგნენ.

იქ ბნელოდა, უფრო სწორად, უფრო ბნელოდა, ვიდრე დარბაზის სხვა კუთხეებში — ჭერზე ნათურა გადამწვარიყო. დიასახლისი ზევით იყურებოდა, თან სქელი მკლავებით დოინჯო შემოეყარა — ამ პოზიით სხვადასხვა ფერის ზიგზაგებიანი წინსაფრის გამო იგი ანტიკურ ამფორას წააგავდა. მიმტანს უკვე მოეკურა გრძელი გასაშლელი კიბე, რომელიც ახლა ცარიელ მაგიდასთან იდგა. დიასახლისმა შეამოწმა, კიბე მყარად თუ დგასო, დაფიქრებულმა მოიქექა კეფა და მიმტანს რაღაც უთხრა. ის შებრუნდა და დახლისკენ გაემართა, შევიდა მის უკან, დაიხარა და ერთხანს საერთოდ არ ჩანდა. ერთი წუთის შემდეგ ნელში გაიმართა და დიასახლისს რაღაც გამართული მზინავი საგანი აჩვენა. დიასახლისმა თავი დაუქნია, და მიმტანი მასთან დაბრუნდა, შემართულ ხელში მოძებნილი ფარანი ეჭირა და ის დიასახლისს გაუწოდა, მაგრამ მან უარყოფის დასტურად თავი გააქნია და თითით იატაკზე მიანიშნა.

იატაკზე ცარიელი მაგიდის სიახლოვეს დიდი კვადრატული ლუკი იყო. ის თითქმის შეუმჩნეველი რჩებოდა იმის გამო, რომ მისი სახურავი პარკეტის რომბებით იყო მოპირკეთებული, ისევე, როგორც მთელი დანარჩენი იატაკი და მის არსებობას მხოლოდ პარკეტის ჩახლართული ხაზების კვეთით გავლებული სპილენძის ორმაგი წვრილი ბორდიური და ხეში ჩაჭყკილი სპილენძისე რგოლი ამჟღავნებდა.

მიმტანმა შარფლის ტოტები მოხდენილად აიკაპინა და ჩაცუცქდა, რგოლს ხე-

ვიდან მას თვითონ ეკავა სახურავი, მაგრამ როცა ძალზე ღრმად ჩაემვა, დიასახლისი მიეშველა — წინ გადახრილმა ორივე ხელი ჩასჭიდა და დაძაბულად ჩააშტურდა ბნელ ორმის, რომელშიც მისი თანამშრომელი გაქრა.

ცოტა ხნის შემდეგ მიმტანის თეთრი ქურთუკი, უკვე ობობას ქსელითა და მტვრით საკმაოდ შელანძლული, ისევ გამოჩნდა იატაკის ზემოთ. გარეთ გამოსულმა ერთხანს დახურა ლუკი და კიბისკენ გაემართა, მაგრამ დიასახლისმა უხეტით შეაჩერა და უბრძანა, მისკენ შებრუნებულიყო. ქურთუკის საფუძვლიანად ჩამოფრთხვით შემდეგ ნათურა გამოართვა, დაიბრუნდა შუშის ბურთულა და მზრუნველად გადაუსვა ხელისგული რამდენჯერმე. კიბისკენ გააბიჯა და ფეხი პირველ საფეხურზე შედგა, დაყოვნდა, სანამ მიმტანი გვერდიდან მტკიცედ ჩაეჭიდებოდა კიბეს და ზევით აბობლდა.

გადამწვარი ნათურა ვინრო შუშის აბაჟურის შიგნით იყო მოთავსებული, რომელიც გრძელ სადენზე ეკიდა, ამდენად ძალზე მაღლა ასულა არ დასჭირდებოდა. ხუთ თუ ექვს საფეხურზე ავიდა თუ არა, დიასახლისმა ხელი აბაჟურში შუკყო და სცადა ნათურა ამოეხრახნა, მაგრამ ის ძალზე მყარად იყო ჩამაგრებული და აბაჟური სადენთან ერთად ტრიალებდა. მამინ მან ახალი ნათურა პირით დაიკავა, ცოკოლზე ფრთხილად შემოჭდობილი ტურჩებით და მეორე ხელიც შემართა, რომლითაც აბაჟურის კიდე დაიჭირა. ამის შემდეგ საქმე უფრო სწრაფად წავიდა. ამოხრახნილი გადამწვარი ნათურა წინსაფრის ჯიბეში ჩაიკვეხა და ახლის ჩახრახნა დაიწყო. მიმტანს ძლიერი ხელებით ეკავა კიბე და მონუსხული შეჭყურებდა დიასახლისის პუტკუნა ხელების მოძრაობას, დროდადრო გამშრალ ტურჩებს ენის წვერით ისველებდა. უცებ მქრქალი აბაჟურის ქვეშ შუქმა იფეთქა, მიმტანი შეხტა, თვალები მოჭუტა და წამით ხელები მოაღუნა. კიბის ფრთები გაიშალა, დიასახლისმა ხელები გაასავსავა და კინალამ გადმოვარდა, მაგრამ უკანასკნელ წამს მიმტანმა მოასწრო კიბის დაჭერა, დაუფერებელი სისწრაფით სამი თუ ოთხი საფეხური ჩამოწვივდა შემდეგ ფერწახული და დამფრთხალი დიასახლისი გადმოხტა პარკეტზე და ძალაგამოც-

ონი მოზრდილი ნატეხის მოსაკებრად ემზადებოდა — პირში ჩადებულ მილაკს კბილები მოუჭირა და სქელი თეთრი კრემი, სიფრიფანა ოქროსფერი კოლოფის გახეთქვით გამოიღვარა ღვეზელის უკანა ნაწილიდან. ბაკენბარდიანმა ბატონმა მყისიერად იმოქმედა და ღვეზელიდან გამოვარდნილი კრემის პროტუბერანცი, იმის ნაცვლად, რომ ტილოზე დატყუებულიყო, მის ნავივით შეტყუებულ ხელისგულეში ჩაიღვარა. ქალბატონმა გადაიკისკისა. ბატონმა კრემის გორაკიანი ხელისგული პირთან მიიტანა და რამდენიმეჯერ მოსრუტა, რითაც თავისი მხლებლის კიდევ ერთი სიცილის ტალღის მოვარდნა გამოიწვია — მას ღვეზელის მოთავებაც აღარ მოუნდა და თევზის ჩონჩხიან ლანგარზე დააგდო. კრემი რომ შეისრუტა, ბატონმა მაგიდაზე ქალბატონის ხელი დაიჭირა და მგრძნობიარედ დაეკონა. იმან კი მის წინ მდგარი ბოკალი ასწია და რამდენიმე მცირე ყლუპი მოსვა. შემდეგ ბატონმა ახალ სიგარეტს მოუკიდა — ჩაამაგრა რა იგი კონსუსის მაგვარი წითელი მუნდმტუქში — რამდენიმე ნაფაზი დაარტყა, შემდეგ კი რგოლების გამოშვება დაიწყო.

უეჭველად ის ამ რთული ხელოვნების დიდოსტატი გახლდათ. თავიდან ერთი დიდი დატალღულიკიდებებიანი ლურჯი რგოლი გამოუშვა, შემდეგ უფრო მომცრო რგოლი, რომელიც პირველში გააძვინა, ისე რომ პირველს არც გააკარა. თავის წინ ხელის გაქნევით ბოლის მთელი კონსტრუქცია გააქრო და ორი ახალი რგოლი გამოუშვა, ამჯერად თანაბარი ზომისანი, რომლებიც ერთიმეორეზე დაეკიდნენ და თითქმის ზუსტი რეიანი გამოსახეს. მისი თანმხლები ინტერესით აკვირდებოდა მომხდარს, მისდაუნებურად წვრილი ხის სარჭით ჩიჩქნიდა ლანგარზე დადებულ თევზის თავს.

ერთხელაც რომ დაიმარაგა მთელი ფილტვების საკმარისი ბოლი, ბატონმა ორი წვრილი გრძელი ნაკადი გამოუშვა, რომელთაგან ერთი ზედა, ხოლო მეორე ქვედა რგოლში გააძვინა, ბოლოს ნაკადები გადაიკვეთნენ და ერთმანეთს მღვრიე მოლურჯო ქულად შეერწყნენ. ქალბატონმა ტაში შემოჰკრა.

პოეზია

ირმა ბერიძე

მის ლექსებში ბევრი ქალია — შეყვარებული, მომლოდინე, სარკეში მაცქერალი, რიგში მდგომი, დაღლილი, სიცოცხლით სავსე, მამაკაცის თვლით დანახული, მეოცნებე და ასე შემდეგ. ათასნაირი ქალი შეგხვდებათ, რომელთა შორის შეიძლება საკუთარი თავიც ან სხვა, ვინმე კონკრეტული დალანდოთ.

მის ლექსებში ბევრი სიყვარულია, ომზე დანერვილებიც კი სიყვარულით ფეთქავს. დაიხ, სასტიკი ომი მძინვარებს იმ სტრიქონებში, მაგრამ იმედი არ გტოვებს, გრძნობ, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ბოლოს მაინც განათდება და გამოიღარებს.

მის ლექსებში ბევრი დედაა. ყოველი ჩვენგანის დედა სახლობს იქ, ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს იმ გაუხელებელი სიტოებით, ლექსები რომ ასხივებს.

ირმა ბერიძის ახალ წიგნზე გიყვებით ახლა. პოეტური კრებული „კაცმა დარეკა“ ცოტა ხნის წინ გამოიცა.

— ახლახან გაიმართა თქვენი კრებულის, „კაცმა დარეკა“, წარდგენა. პრეზენტაციამ როგორ ჩაიარა, რა შთაბეჭდილებები დაგიტოვათ?

— წიგნის პრეზენტაცია ზამთარში, თებერვალში დაიგეგმა. არ მიყვარდა თებერვალი, ჩემმა წიგნმა შემაყვარა. ღონისძიებისთვის მზადებამ, მხატვრულ თუ ტექნიკურ საკითხებზე ზრუნვამ მთელი თვე სასიამოვნოდ დამუხტა, შეამოკლა ზამთარი და მოახლოვა გაზაფხული. ხელოვნების სასახლის საგამოფენო დარბაზები, სადაც პრეზენტაცია ჩატარდა, უზარმაზარ სივრცეს წარმოადგენს. ვლელავდი, უხერხული იქნებოდა მათი სივრცე, სიხალვათე. თუმცა ცივი ამინდის მიუხედავად, ბევრი ადამიანი მოვიდა. ორი დარბაზი თითქმის გაივსო. მაღლობელი ვარ თებერვლის, თითოეული ადამიანის, ვინც დაესწრო საღამოს. რაც შეეხება მწერლებს, მეგონა, უფრო მეტი პოეტი მოვიდოდა, თურმე დიდი მნიშვნელობა აქვს, მწერალი მოვიდეს, მოგისმინოს. არც მე გამოვიჩინე აქტიურობით, იშვიათად ვესწრები მსგავს ღონისძიებებს, ეს შენიშვნა, უპირველესად, მე მეკუთვნის. ამის შემდეგ მეცოდინება, რომ ეს უზარმაზარი თანადგომია და თუ ობიექტური მიზეზი არ შემოიშლის ხელს, ყველა ახალი წიგნის წარდგენაზე მივალ. რა კარგი იქნება, მეტი სოლიდარობა გვექონდეს. ცალკეულ ჯგუფებად და სამეგობროებად დაყოფა და/ან სხვისი შემოქმედებისადმი გულგრილობა ცუდია. მე პირადად, კრიტიკასა და რეცენზიაზე მეტად თანაზიარობა მჭირდება, რა დაგწერე, როგორი გამოვიდა, იმ ადამიანისთვის როგორ ისმინება, ვინც თვითონაც წერს, აღქმების, განცდების გაცვლის პროცესი ძალიან მაინტერესებს, განსაკუთრებით ახალდანერობაზე — ეს მიხარება! ამით მხოლოდ შენ დანერვილ ლექსს კი არ მიხარებ, პოეზიას მიხარებ, თუ ნიჭიერად გამოგივიდა, ნიჭს მიხარებ. რაღაცას რომ ქმნი, აუცილებლად გჭირდება მაყურებელი, მსმენელი. ღმერთმა სამყარო სიჩუმეში შექმნა, ადამიანი ჩემად ვერ გაძღვება ქმნადობის, რაიმეს შექმნის პროცესში, ამიტომ ეძახის, მოიხმობს სხვას, რომ აჩვენოს, გაუზიაროს მიღწეული. მართლაც რაღაცის მიწვდომად ლექსის დანერვა. როგორც ჩანს, ჩვენს რეალობაში ეს ფუფუნებაა — დანერო, მერე შენი ემოცია, სასიამოვნო შფოთვა სხვას გადასდო და იმან მიიღოს, გიპასუხოს. არადა, აუცილებელია შემოქმედისთვის. თუ ნიჭიერად გაკეთებულია, შენც იზრდები და ვისაც უზიარებ, ისიც. გადამდებია პოეზიის ენერჯია, ახალ სივრცეებს შლის.

ხომ ძალიან უხერხულია რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ ამ საღამომ დამანახა, რომ არცთუ ცოტა ადამიანს ვუყვარვარ, ამიტომ ძალიან უნდა ვაფორთხილდე ამ აღმორჩენას. არ მიყვარს ჩემი ხმის მოსმენა, ჩახლენილი ხმა გენეტიკურად მერგო. მიჭირს ხმამაღლა ლაპარაკი, წერისას კომფორტულად ვარ — მესმის ჩემი ხმა სიტყვების ნაკადში, ის გოგოს ხმაა, 20-21 წლის გოგოს ხმა. მსმენლის წინაშე დგომა, საუბარი პანდემიების, იზოლაციების შემდეგ არ იყო იოლი, თუმცა წიგნზე მომუშავე გუნდთან ერთად გადაწყვიტე ასე: მე მელაპარაკა ჩემს თავზე, ჩემს ლექსებზე, გავძლოლოდი პრეზენტაციას, წამეკითხა ლექსები და სასაუბროდ მომენვია ადამიანები, ვინც დამეხმარა წიგნის გამოცემაში, აგრეთვე ავტორები, ვისაც რაიმე ემოციით ვუკავშირებ ჩემს ნაწერებს. მეგონი, ცუდი არ გამოვიდა.

წიგნი „წოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურულმა სააგენტომ“ გამოსცა. ქეთევან დუმბაძეს კულტურის სამინისტროში მუშაობის დროიდან ვიცნობ, ამიტომ გამომცემლის შერჩევაზე არ მიფიქრია. მიხარია, რომ „წოდარ დუმბაძის გამომცემლობის“ ძალიან კარგი ავტორები

ბის სიაში უკვე მეც ვარ. ჩემი კრებულის რედაქტორი თეა თოფურიაა. თეა თანამედროვე პოეტებს შორის ჩემთვის გამორჩეული ავტორია. ვენდე და გავეთვალისწინე მისი, როგორც რედაქტორის რჩევები. წიგნი დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „პალმოსანში“, ზვირა ყალბეგაშვილთან.

ჰარმონიული იყო ამ ადამიანებთან ურთიერთობა, რისთვისაც მადლიერი ვარ.

— თქვენთვის, როგორც ავტორისთვის, რას ნიშნავს ეს კრებული?



— როცა პრეზენტაციის ფოტოები მომანოდეს, ვნახე, როგორ ვდგავარ — მხრებში აწურული, თითქოს ვიძალეები ან თავს ვიცავ. არ გამეკვირვებია. სხეულის ენა ჰყვება ჩვენს. ვიცნობ ჩემს ბუნებას, იმ მორიდებულობას და სიმორცხვას, რაც არ მომწონს, მაგრამ ვერ მოვიშორე და მისგან გათავისუფლება ლექსებში შეეძელი. ლექსებში ის ვარ, ვინც ვარ, უფრო სწორად, ის — ვინც მინდა, რომ ვიყო. ასე რომ, ამ წიგნისგან ველოდები თავისუფლებას.

ამ წიგნით აღმოვაჩინე, რომ ჩემი ცხოვრება საინტერესოა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა ჩემთან, განსაკუთრებული კი არა, არაფერი ხდებოდა. რომ ვკითხვობ წიგნად დაბეჭდილ ჩემს სათქმელს, ვხვდები, შევმცდარვარ, თურმე სამყარო გულუხვია ჩემდამი, თურმე ვცხოვრობ, მეც ვცხოვრობ.

არ ვიცი, რას მოიტანს ეს წიგნი, მაგრამ ნაიღებს ჩემს თავდაუჯერებლობას. როგორც პიროვნულად, ისე შემოქმედებითი გააზრებით, მეგონია, ახალ საფეხურზე ავედი. ვნახოთ, რა იქნება ამის მერე.

— წიგნის გამოსვლიდან მცირე დრო გავიდა ჯერ, საინტერესოა რამდენად გრძნობთ მკითხველის რეაქციას? და ზოგადად, რამდენად მნიშვნელოვანია ეს კავშირი ავტორისთვის?

— როგორც უკვე ვთქვი, კავშირი ავტორსა და მკითხველს შორის არის უმნიშვნელოვანესი; ვიტყვი, ეს სასიცოცხლო, ბიოქიმიური პროცესია. ყოველი ახალი ლექსის გამოქვეყნების მერე, თუ მეგობარს, ახლობელს, ნაცნობ პოეტს ვერ ვუზიარებ, ვერ ვხვდები, ვერ პოეზიისგან სრულიად შორს მყოფ ადამიანებსაც კი. მინდა, ვინმემ წაიკითხოს და აზრი მითხრას, ამ დროს ერთი სიტყვა მჭირდება მისგან, მცირეზე მცირე თანაგანცდაც მყოფის. ეს რას შეიძლება შევადაროთ? დაბადების სიხარულს — როცა შენგან იშვა სიცოცხლე და გინდა, მაშინვე სხვამაც დაინახოს, გაიგოს, მოგილოცოს, გაუხარდეს. ფიქრობ იმაზეც, რომ არამომგებიანია სიხარულის ასეთი გულწრფელი გათქმა. იქნებ მკითხველს ურჩევნია, რაც დაწერე იმაში დარწმუნებულს, თავდაჭერილს გხედავდეს და არა ეიფორიაში მყოფს,

მაგრამ მარტო და ჩემად ვერ იქნები ბედნიერებაში. ეს გასხვიოსნება რომ შემეჩრჩეს, გამიხანგრძლივდეს, რასაც ლექსის დამთავრების შემდეგ განვიცდი, ხელთ მექნება ბედნიერების, პერმანენტულ სიხარულში ყოფნის რეცეპტი. ცხადია, ეს შეუძლებელია. ჯერ ერთი, არ ვწერ ბევრს, მეორეც — საკუთარი აზრებისგან დროში დისტანცირების შემდეგ ჩემი ლექსები აღარ მომწონს, თავიდან რომ ვწერდე, უკეთესად დავწერდი.

რაც „კაცმა დარეკა“ გაუშვი ჩემგან, სიმშვიდემი ვარ. არ ვშფოთავ. რატომღაც მეგონია, გაიკვლევს გზას. ჯერჯერობით პრეზენტაციაზე რამდენიც გაიყვია, იმდენი რეალური მკითხველი ჰყავს. მალე წიგნის მალაზიებშიც დაიდება. უკვე არის მისი ყიდვის მსურველთა სია, რაც მახარებს. შთაბეჭდილებებს, ძირითადად, სოციალური ქსელის საშუალებით მწერენ, ვისი პოეზია ჩემთვის გამორჩეულია, ისეთი ავტორებისგან მივიღე კარგი შეფასებები, მოკლე რევიუები. მცირე რეცენზია გამომიგზავნა პოლონელმა პოეტმა ანა-მარია გალოვსკამ — ლიტეუვის საერთაშორისო ფესტივალზე გაიცანით ერთმანეთი —

პოეზიის ენერჯია გადაგდება

ანა მალე ჩემს ლექსებს პოლონურ ენაზე თარგმნის, წიგნთან დაკავშირებითაც აქვს გეგმები.

წიგნზე სასაუბროდ, პრეზენტაციის წინა დღეებში სტუმრად ვიყავი მიწვეული რადიო „პალიტრის“ პირდაპირ ეთერში.

მაინტერესებს კაცი პოეტების აზრი წიგნის პერსონაჟ ქალზე, მაგრამ კაცები სდუმან. ჩემი ერთგული მკითხველები, ძირითადად, ქალები, გოგოები არიან. მგულშემამტკივრობენ, მეუბნებიან, რომ მათზე ვწერ, მათ ფიქრებს და განცდებს ვახმოვანებ, რომ შიშვლად, თამამად ვამბობ სათქმელს და მძაფრია ჩემი ნათქვამი. ეს ნიშნავს, გამომდის ნამდვილი ლექსების წერა.

— 2015-2022 წლების ლექსებია შეტანილი კრებულში. ვფიქრობ, რაკი სწორედ ახლა დადგინდათ ერთ წიგნში მოგექციათ თქვენი 7-წლიანი თავგადასავალი, ამით მიანიშნებთ, რომ რაღაც დიდი ციკლი, დიდი ამბავი დასრულდა და ახლა გზას აგრძელებთ, ასეა?

— კრებულში შევიტანე ბოლო 7 წლის განმავლობაში დაწერილი ლექსები. ეს შეიძლება პერიოდი ორ ნაწილად შეიძლება დავეყო. პირველი ნაწილი ყველაზე საინტერესო დროა ჩემს ცხოვრებაში. ყველა ქალს აქვს ასეთი სიმძლვე თავის თავში — ვიდრე დაბერებას დაიწყებ — როცა ყველაზე ლამაზი ხარ, როცა „აპატიე“ სამყაროს ისეთობა, როგორიც გამოგასახა, შენი გარეგნობა როგორც იქნა მოგწონს და მადლიერი ხარ სამყაროსი, შენდამი გამოსხატული სურვილების გამო, ისიც პასუხს არ აყოვნებს — შენს ირგვლივ ყველაფერი ლაგდება, ყველაფერი კარგადაა, ყველა უსიამოვნება ქრება.

თან სულ სიყვარულის საშობ ნაპირზე დადიხარ და სულ გიცდება ფეხი, გეპატიება ყველა არასწორი ნაბიჯი, მეტიც, მოგეთხოვება შეცდომების დაშვება. ვილაც გკარნახობს ყურში, რომ მალე დაბერება იწყება და ყველაფერი მოსასწრებია.

როგორ ლექსებს დანერს ამ დროს ქალი?

შეიძლიან ციკლის მეორე ნახევარს კი დაღმართზე სვლას შევადარებ. ფრთების ნელ-ნელა დაშვებას.

რა დამავინყებს, ერთ დილას სარკეში ჩავიხედე და გავოგნდი.



ირმა ბერიძე

კაცმა დარეკა

ვლდანაცემმა მეგობარ პოეტს დავეურეკე, მიშველე, თვალები მიბერდება-მეთქი! იცინოდა. მე საუბრის დროს უკვე ვიცოდი ახალი ლექსის დასაწყისი და ფინალი.

დაბერებაზე ბევრს ვფიქრობდი და ვწერდი. რას გრძნობ, როცა კანი მოეშვება და შენი სახე, სხეული ყოველდღე სხვანაირი ხდება. პანიკაში ვიყავი. აქედან რომ ვუყურებ მაშინდელ ჩემს თავს, ვხვდები ადრე იყო ის პანიკა. მე გავასწარი ბიოლოგიურ პროცესებს, პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე განგაში ავტყებ. პრინციპში, ასე განგაშით ვხვდებოდი ყველა მოვლენას, რაც ხდებოდა ჩემ გარშემო. მეგონი ეს ახალგაზრდობას ახასიათებს. როცა ტკივილების არიდებას, მართვას იწყებ, თავს ზოგავ, მაშინ იწყება სიბერე. ახალგაზრდა სულს არ ახსოვს სიბერე, სიკვდილი. მისი სილალე ეწინააღმდეგება ამ ორი გარდაუვალი მოვლენის გათვალისწინებით ცხოვრებას. ვერ იჯერებს, რომ სახე დაუნაოჭდება, სმენა დააკლდება, თვალეში სინათლე ჩაუქრება, ვიდრე ეს თავად არ დაემართება, მან არაფერი იცის სიბერეზე, გარდა თეორიისა. სიკვდილიც ასეა — ჩვენ ვამბობთ, რომ გარდაუვალია სიკვდილი, მაგრამ ჩვენი გული ამბობს, რომ ყველა მოკვდება ჩვენ გარდა.

ამაში დედის გარდაცვალებამაც დამარწმუნა. დედაჩემი გარდაიცვალა ზუსტად იმ დროს, როცა უნდა გარდაცვლილიყო. როცა ვიყავი სულიერად მზად, როცა სიმშვიდე ვისწავლე. სამყარო სულ გვინდობს, ნუგეშისცემით გადავალახვინებს განსაცდელს — ამის დასანახავად ცნობიერება უნდა დაინიშნოს. ესაა რწმენა ჩემთვის. აი, გითხარით ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების შეიძლიანი თავგადასავალი, უკვე წიგნად ქცეული. უფრო ხშირად მოკლე ლექსებს ვწერ, ორსტროფიანი ლექსები ხან ძალიან გრძელი ამბავი მაქვს ჩაკეცილი. რაც უახლოეს ადამიანებს ვერ გაუშვებ, ვერც შეყვარებულს, ვერც მეგობრებს, ვერც დედას, ამ წიგნში მოყვები.

— თქვენი კრებულის ინტერნეტანოცაიციებში, ასევე წიგნში დაბეჭდილ რედაქტორის წინათქმებაში ლაპარაკია წარმოსახვაზე, უფრო სწორედ კი იმაზე, რომ ბევრი და ბევრნაირი სინამდვილე არსებობს, როგორც ჩვენგან დამოუკიდებელი, ასევე წარმოსახვითი. და რომ ჩვენს წარმოსახვაშია სწორედ წარსულის სსოვაცია, ანმოს ალქმაც, ხოლო მათი კომბინაციით ან გადასხვაფერებით იმის მიღება შეიძლება, რაც ძალიან გინდოდა, მაგრამ არ გამოვიდა. მამ, თქვენი წიგნის სურათხატები წარმოსახვითია?

— ეს წიგნი ავტობიოგრაფიულია. მასში სინამდვილე — დიდი თუ მცირე ისტორიები და ყოველდღიურობაა აღწერილი. მაგრამ მომხდარს, განცდილს ახლანდელი ალქმა ასხვავებებს, უკარგავს ან უმძაფრებს მნიშვნელობას, გონება არსებულთა გარდაქმნით მოიხილავს ახალ სინამდვილეს, სასურველ, მისაღებ, საოცრებო სინამდვილეს. ეს გარდაქმნა შემოქმედებით პროცესია, პოეზია სინამდვილის გარდაქმნაა, ხილვებია. მშვენიერია წარმოსახვა. არსებულთა გარდაქმნით ის სიზმარცხადმი გვამყოფებს, სადაც სინამდვილეს ველარ მოიხელთებ, ამიტომ ზუსტად არ იცი, მართლა ინთება თუ გეჩვენება წინა

კორპუსის უცხოვრებელ ბინაში შუქი შუაღამისას? არ გახსოვს, მართლა დარეკა კაცმა თუ არა? მართლა მოვიდა შემოდგომის იმ საღამოს? მართლა არსებობს ეს კაცი?

— სამი მთავარი თემაა გამოკვეთილი, სამ მნიშვნელოვან სათქმელზეა აგებული წიგნი, პირობითად, ესენია სიყვარული, ომი და დედა. სიყვარულით დავიწყეთ. ძალიან შთაბეჭედავი ნაწილია, სიყვარულზე ლექსის წერა ალბათ ძალიან რთულია, რთულია დაუსხლტე უგემოვნობას, წყალწყალა სიტყვებს, გაუბრალოებას, თქვენ საუკეთესოდ შეძელით ეს.

— დიდი მადლობა ასეთი შეფასებითვის. დიას, ლექსების სამი ციკლია კრებული. რედაქტორმა ასე გადაწყვიტა. როგორც გითხარით, წიგნი დედაჩემს ეძღვნება, ჩემი ცხოვრების მთავარ ადამიანს, მაგრამ რომ გადაშლით პირველად კაცი შემოგხვდებათ, კაცით ვინყვებ, კაცის სიყვარულით.

როგორც გითხარით, წიგნი ავტობიოგრაფიულია. ყველა ლექსში რეალური ამბავი და ცხოვრებისეული მომენტი გახსნილი. სხვანაირად წერა მე არ შემიძლია. ვთვლი, რომ პროზის მსგავსად ლექსშიც რადეც უნდა მოჰყვეს, ოღონდ დროისა და სივრცის საზღვრები უფლებდელს, მატერიის ეს ფორმები არივ-დარიოს და ახალ, შეთხზულ არსებობაში იდინოს, სადაც უნდა მოვახერხო და ჩემი თავი მოვყვე, ჩემი განცდილის — სიყვარულის, კარგვისა თუ მიღების შესახებ მოვყვე.

— ისმის ამ ლექსებში მკვეთრად ქალის ხმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქალურობის ხმა. როცა ვკითხულობდი, ქალს ვუსმენდი და ვხედავდი კიდევ, ძალიან ნახსა და დაუცველს, მაგრამ ამავე დროს ძლიერ ქალს.

— მარტო მე არა ვარ ამ ლექსების პერსონაჟი ქალი. რამდენ ქალსაც შევხვდები ვარ, ვინც რაღაც ფორმით ან ენერგიით კვალი დატოვა ჩემს მხსიერებაზე, ვინც რაღაცით მომეწონა, ყველა ის ქალი ჩემთან ერთად არის ამ წიგნის გმირი, პერსონაჟი. ამას დაურთეთ წარმოდგენა, თუ როგორ გვიყურებს, ალგვიქვამს კაცი, როგორ ვჩანვარ კაცის თვალებიდან, თუ არ ვიცი, რომ კაცი მიყურებს? მაგალითად, როცა გადასასვლელზე გადავბიჯებ და ლაბადა მიფრიალებს, როცა შუქს ვაქრობ, ვიხდი და ვწვები, ყველა ამ მოძრაობას კაცი რომ ჩუმად ადევნებდეს თვალს, რას იგრძნობს? როგორ გრძნობს კაცი, რას ფიქრობს ჩემზე? აი, ამ წარმოდგენას ვამატებ შტრიხად და ქალი ჩემს ლექსებში არის, ჩანს ისეთი, როგორცაა. ხან მარტოა, ხან მრავალ კაცს შორის ყველაზე ლამაზს ეძებს. დიას, ასეა მისი კაცი „უნდა იყოს ლამაზი, ძალიან ლამაზი“.

— თქვენი კრებულის პრეზენტაცია გაიმართა საქართველოს ხელოვნების სასახლეში, რომელსაც სიყვარულის სასახლესაც უწოდებენ მასთან დაკავშირებული ცნობილი ისტორიის გამო. თქვენი წიგნის ლირიკულ ნაწილს სწორედაც რომ ეს სივრცე შეესაბამებოდა. საგანგებოდ შეარჩიეთ ეს ადგილი?

— პრეზენტაციისთვის სივრცეს რომ ვეძებდი, ხელოვნების სასახლის ცნობილი, ლამაზი და ტრადიციული ლეგენდა სიყვარულზე არ გამხსენებია, ამ ნიშნით არ ამირჩევია ლონისძიების ადგილი. ივენით რომ გამოქვეყნდა, ლოკაცია მივანიშნე, იქ დაფიქსირდა მისი მეორე სახელი — სიყვა-

რულის სასახლე. მჯერა სამყაროს მხარდაჭერის, ვენდობი მის მიიწმენებას და რეკომენდაციებს, ხან იცით როგორაა, შენ აბსოლუტურად არაფერს აკეთებ, თვითონ მიეძინება მოვლენები ისე, როგორც პარალელურ სამყაროს შენს სასიკეთოდ სურს.

მართლაც, სიყვარულის სასახლის სილამაზე და იდუმალება კარგად მოიხდინა ჩემმა წიგნმა.

ზოგადად კი, პოეზია თავისუფალი და დამოუკიდებელია, პოეზიას შეესვლება, დაედგომება, როგორც მინისქვეშა გადასასვლელზე, ისე სასახლის დარბაზებში. მადლობა კიდევ ერთხელ გიორგი კალანდიას სასახლის სივრცის დათმობისთვის.

— ძალიან იმოქმედა ომის ციკლში გაერთიანებულმა ლექსებმა. როგორც მიხვდით, უმეტესი მათგანი ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაიწერა. პანდემიისა და ლოკდაუნების კვალიც ამჩნევია იმ ნაწილს.

— რუსეთ-უკრაინის ომი ახალი დაწყებული იყო. კაფუში ვისხედით მე და ჩემი მეგობარი. ყავას ვსვამდით. აღმაშენებლის გამზირს გამოვყურებდი, უცებ წარმოვიდგინე, რომ ომი ამ ქუჩაზეა, ძალიან ცხადი წარმოდგენა იყო, შემადრწუნებელი. გავხსენი მობილური და დავინყე წერა.

გავედი ბოლოში და მეგობარს ნავუკითხე, ალბათ ხმამაღლა მომივიდა, რადგან რომ დავამთავრე, წამიერად დუმილი ჩამოწვა და მერე დიდხანს ისმოდა ტაში. ეს იყო პანდემიას გადარჩენილი, იზოლაციაში მყოფი, დათრგუნული, შემინებული ადამიანების რეაქცია კიდევ ერთ ახალ განსაცდელზე — ომზე. ლექსი მეორე დღესვე ითარგმნა რუსულ, თურქულ, ინგლისურ ენებზე ფეისბუქმომხმარებლების მიერ. მას „ბოლო ჟამის ომი“ ჰქვია და შეტანილია ომის თემაზე გამოცემულ გერმანულენოვან ანთოლოგიაში „დათესე ხორბალი, უკრაინა“.

— დედა — ეს ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა, თემასაც ვერ დავარქმევ, იმდენად ცოცხალი ნაწილია წიგნის. დედას ეძღვნება თქვენი კრებული. მიაშბეთ დედაზე.

— „შენ მარადის მწყალობ და მე განგარისხებ... შენ მხადი და მე გელტვი, ესრეთ ყოვლითურთ წინააღმდეგომ შენდა არს ცხოვრება ჩემი“ — ეს ლოცვა ღვთისადმი, უზუსტესად გამოხატავს დედასთან ჩემს ურთიერთობას. მე მას ხშირად გაეურბოდი, არაფერს ვუყვებოდი, მას მოლაპარაკე, ამბების მომყოლი შვილი უნდოდა ვყოფილიყავი, პოლიტიკაზე, თანამშრომლებზე, ლიტერატურულ სიახლეებზე მომეყოლა სამსახურიდან დაბრუნებულს. მე ასე ვარ ვიქცეობდი. როცა რამეს მეკითხებოდა, ვგრძნობდი, დედის გუმანიტი, ალღოთი ყველაფერი იცოდა ჩემზე — ეს მალიზიანებდა. ჩვენ სხვა, უფრო მნიშვნელოვან არსებობაში ვიყავით ძალიან ახლოს, ჩვენ ერთი ვიყავით, ერთი სიცოცხლის ორი მხარე, დავიბადეთ, რომ ერთმანეთი გვეყოლოდა.

ძველ სახლში სააბაზანო ოთახი ეზოში გვექონდა. 4-5 წლის ვიქნებოდი. საღამოობით დედა მბანავებდა, დიდ პირსახოცში მხვევდა, ხელში ამიყვანდა და ასე ავდიოდიტო მეორე სართულზე დასაძინებლად. ის გზა, ის კიბე ზეპირად ვიცოდი, მაგრამ თვალედახეჭული, პირსახოცში გახვეული, დედაზე ჩახუტებული, მის სითბოში ჩამლვავალი და ძალიან ბედნიერი გონებას ვთიშავდი, რომ არ მეფიქრა, არ გამომეც-

ნო, რა მონაკვეთზე ვიყავით — ვითომ უცნობ გზაზე მიყვავდი დედას ღამეში. სიბნელეში არაფერი ჩანდა, დროსაც ვერ საზღვრავდი, ხან დიდხანს ავდიოდიტი კიბეზე, ხანაც მოულოდნელად იტყოდა დედაჩემი: მოვედი.

მე მგონია, რომ ჩვენი დედაშვილობა ასეთი მინდობა იყო, ასეთი იდუმალი, თვალდახუჭული სიყვარული. ასე მატარა თავის არსთან შერთული. ასეთი უნდა იყოს ღვთისმშობლის ნიაღში ნეტარება.

როცა მითხრეს: დედაშენი გარდაიცვალა, იცით, რა განცდა მქონდა, თითქოს ჩემი სიკვდილის ამბავი გვიცევი.

დედამ დამანერინა ლექსები, რის გამოც გადავწყვიტე კრებულის გამოცემა, დამასიზმრა და მიმანიშნა გარეკანის ფოტოდ თავისი საკაბე. ის იყო ძალიან ლამაზი ქალი. მტერი არ არსებობს, უნდა გიყვარდეს ყველა — ასე გვეუბნებოდა. და როცა მტრებთან ვმარცხდებოდი, მე ვბრაზობდი მის გულუბრყვილობაზე. მისი ნასვლის მერე მიხვდით, რომ ძლიერი ადამიანი იყო.

დედას არ დაუტოვებია ტკივილი და სიცარიელე, სინათლე და სისასვე დამიტოვა.

— ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრეთ, მაშინაც წერდით? თქვენი პირველი გამოქვეყნებული ლექსი თუ გახსოვთ?

— პირველად ჩემი ლექსი ეროვნული სასახლის გაზეთში გამოაქვეყნა, სადაც შემოქმედებით წრეზე დავდიოდი, ვიყავი 10 წლის. აგისტი — ვნერდი იმ ლექსში და სწორედ ამ წინადადების გამო დაბეჭდეს, დანარჩენი წყალწყალა სტრიქონები იყო.

მიშა გოგუაძესთან შემოდიოდა ხოლმე ერთი შუახნის კაცი, მიშა მასნის მეგობარი, იმან მირჩია — ჯობს, თავი დაანებო წერასო. ვინ იყო, ნეტავ ვიცოდე, მაღლობს ვეტყვი, სულ პატარამ ვაევი, რომ ყველაფერი არ იწერება, ყველამ არ უნდა წეროს, ცუდად არ უნდა ვწერო. ასე გავაგრძელე წერა და სტუდენტობის წლებში „პირველ სხივში“ ვიბეჭდებოდი.

— კარგია, რომ წერა გააგრძელეთ და პირველი ლექსები ბავშვურ გატაცებად არ დარჩა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე. სტუდენტობის წლებშიც წერდით, არა?

— სტუდენტობისას „პირველ სხივში“ ვბეჭდავდი ლექსებს.

— და მერე პირველი წიგნის დროც დადგა. რომელ წელს გამოიცა თქვენი „ვარდისბალი“?

— „ვარდისბალი“ გამოცემლობა „საარმა“ 2012 წელს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცა. წიგნი აერთიანებს პოეზიას, რამდენიმე მოთხრობასა და საბავშვო ლექსებს. სახელზეც მიხვდებით, რომ ახლანდელი ნაწერებისგან, ნააზრებისგან შორს არის ეს ბალი, სავეს სურნელით და გალობით. მაგრამ საიდანდაც უნდა დაინყო. იმ ბალიდან გამოვედი დიდი ხანია... აღარ დავბრუნდები. ვეღარ...

— „თბილისი-2017“ ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის ფინალისტი იყავით ნომინაციაში წლის საუკეთესო ნაწარმოები. რა ნაწარმოები იყო?

— ჩემი ლექსი „სიკვდილი ლიმონათის ქარხანაში“ კონკურსის ფინალში წლის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებად დასახელებდა ვახტანგ ჯავახიძის „ელეგის“ გვერდით. გამარჯვების შეგრძნება მქონდა. სწორედ იმ პერიოდში, უწყებამ, სადაც წლებია, ვმუშაობდი, უსამართლო გადაწყვეტილებით, გამათავისუფლა სამსახურიდან. ეს ლექსი იყო პროტესტი, მისი პერსონაჟი 19 წლის გოგოა, რომელიც იბრძვის გადარჩენისთვის, შრომის დაცვისა და თავისუფლებისთვის.

— როგორც ზემოთ თქვით, 7-წლიანი ციკლი დასრულდა და გზას აგრძელებთ, საით მიდის ახლა თქვენი გზა, რა გეგმები გაქვთ?

— ხვალინდელი დღის გეგმა არასოდეს მაქვს. „კმა არს დღისა მის სიბოროტე თვისი“. წარმატებულია ის, ვინც წინ იყურება, გვარწმუნებენ ფსიქოლოგები. მე უკან ვიყურები, ამიტომ ეს სწავლება ჩემთვის არაა. გეგმებს ვერა, მისრულებს გეგმავთ: ავტორი ცოცხალია მის ტექსტთან მკითხველის ურთიერთობის პროცესში. ასეთი სიცოცხლე მსურს.

საინტერესოა, რა გეგმები აქვს თვითონ სამყაროს ჩემთან მიმართებაში.

ვიქტორ პელევინი ზიგმუნდი კაფუში

დასასრული

— აჰა! — შესძახა ზიგმუნდმა და ბატონმა მზერით აწონ-დაწონა იგი.

ზიგმუნდმა ისევ ბავშვებს მიაპყრო მზერა. ეტყობოდა, რომელიც მათგანმა მოასწრო სათამაშოების ახალი ნაკრების მოსატანად გაქცევა. ახლა მათ გარშემო კუბებისა და ბურთის გარდა შელანძღული თოჯინები და მრავალფერი პლასტიკის უფორმო ნაგლეჯები ეყარა. ბიჭუნა უწინდურად კუბებს უტრიალებდა, თუმცა ახლა მათგან სახლს კი არა, არამედ გრძელ დაბალ კედელს აგებდა, რომელზეც თანაბარი დაშორებით მაღალი წითელი ბუმბულით მორთული კალის ჯარისკაცები იდგა. კედელში რამდენიმე გასასვლელი იყო დატოვებული, რომელთაგან თითოეულს სამ-სამი ჯარისკაცი გუშაგობდა — თითო გარედან, ორ-ორი შიგნი. კედელი ნახევარწრიული იყო, მისგან შემორჩეული სივრცის ცენტრში კი ოთხი კუბისგან კოხტად მოწყობილ სადგარზე იდო ბურთი — იგი კუბებს ეყრდნობოდა და იატაკს არ ეხებოდა. გოგონა იჯდა ძმისკენ ზურგშექცეული და დაბნეულად კბენდა კუდზე კანარის ჩიტის მომცრო ფიტულს.

— აჰა! — შეჰყვირა შემფოთებულმა ზიგმუნდმა, — აჰა! აჰა!

ამჯერად მისკენ გაიხედეს არამარტო ბაკენბარდიანმა ბატონმა (ის და მისი თანმხლები უკვე საკიდართან იდგნენ და იცვამდნენ), არამედ დიასახლისმაც, რომელიც გრძელ ჯოხით ფარდებს ასწორებდა ფანჯრებზე. ზიგმუნდმა დიასახლისზე გადაიტანა მზერა, დიასახლისიდან კი — კედელზე, სადაც რამდენიმე სურათი ეკიდა — ბანალური მარინა მთვარითა და შუქურით და კიდევ ერთი, უზარმაზარი, გაუგებარი იყო აქ მისი მოხვედრა, ავანგარდული ტილო — ზემოდან დახატული ორი ღია როიალი, რომლებშიც ინვანი მკვდარი ბუნიუელი და სალვადორ დალი, ორივე უცნაურად გრძელი ყურებით.

— აჰა! — მთელი ძალის მოხმობით შეჰყვირა ზიგმუნდმა, — აჰა! აჰა! აჰა!!!

ახლა მას ყველა მხრიდან გაჰყურებდნენ — და განა მარტო გაჰყურებდნენ. ერთი მხრივ უახლოვდებოდა დიასახლისი გრძელი ჯოხით ხელში, მეორე მხრივ — ბაკენბარდიანი ბატონი, რომელსაც შლაპა ეკავა. დიასახლისს სახე ჩვეულებრივად მოლუშული ჰქონდა, ბატონის სახე კი, პირიქით, ცხოველ ინტერესსა და სინაზეს გამოხატავდა. სახეები ახლოვდებოდნენ და მალე მთელი ხედვის არე დაფარეს, ასე რომ, ზიგმუნდმა თავი რამდენადმე უჩვეულოდ იგრძნო და ყოველი შემთხვევისთვის ბენეიანი ბურთივით მოიბუზა.

— რა ლამაზი თუთიყუში გყავთ, — უთხრა დიასახლისს ბაკენბარდიანმა ბატონმა, — კიდევ რომელი სიტყვები იცის? — საკმარისად ბევრი, — მიუგო დიასახლისმა, — ა-ბა, ზიგმუნდ, თქვი კიდევ რამე.


მან ხელი ასწია და კოტიტა თითის წვერი მავთულებს შორის შეჰყი.


— ზიგმუნდი ყოჩაღია, — თავმოწონედ თქვა ზიგმუნდმა და ყოველი შემთხვევისთვის ხარისხზე ადგილი შორეული კუთხისკენ მონაცვლა, — ზიგმუნდი ჭკვიანია.

— ჭკვიანი ჭკვიანად, — თქვა დიასახლისმა, — აი, გალია კი ერთიანად მოუოხრებია. სუფთა ადგილი არ არის დარჩენილი.

— ნუ იქნებით ფრინველის მიმართ ასე ულმობელი. ეს ხომ მისი გალიაა და არა თქვენი, — თქვა ბაკენბარდიანმა ბატონმა და თმაზე ხელი გადაისვა, — იქ მან უნდა იცხოვროს.

მერე, ეტყობა, თავი უხერხულად იგრძნო იმის გამო, რომ ვიღაც ვულგარულ ბარმენ ქალს ესაუბრებდა. მას შემდეგ, რაც სახე გაიქვავა და შლაპა დაიხურა, იგი შეტრიალდა და კარისკენ წავიდა.





„ქამთა-ალმწერლობაი ჭეშმარიტების მეტყუელები არს და არა თულახზმა ვისამე“ — ქართული მატინის კონცეპტი.

„ქართლის ცხოვრება“ (გრიგოლ რობაქიძის დეფინიციით, „დიდი ეპოსი დიდი ხალხის“) ქართველთა სულისძვრათა მატინაა, ჟამთუწინარიდან გვიან შუასაუკუნეებამდის. ლეონტი მროველის, ჯუანშერის, სუმბატ დავითისძის, ბასილი ეზოის-მოძღვრის, დავითისა და თამარის ისტორიკოსთა, ლაშასდროინდელი მემატინის, ჟამთააღმწერლის, ბერი ეგნატაშვილის, სეხნია ჩხეიძისა თუ სახელიანი თუ უსახელო მემატინეების ღვანლი საუკუნეთა მანძილზე საშუალებას აძლევს მრავალჭირვარამგადასახად ქართველს, „დადგეს ერთად სხვა ერთა შორის.“

მატინის საყმაწვილო ვერსიის შექმნის ფუფუნება არასოდეს ჰქონია საქართველოს, მაგრამ ყმანვილთ რომ ისტორიის ცოდნა მოეთხოვებოდათ, მეტიც, ამ ისტორიის ნაწილად ქცევა, მხატვრულ ტექსტებში გამკრთალი ორიოდ პასაჟითაც დავადასტურებთ — გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების — თეოდორესა და ქრისტეფორეს მიერ დამონაწებებით ყრმა არსენისა და ეფრემისა, რომელთაგან ერთი ქართლის კათალიკოსი გახდა, მეორე — ანკურის ეპისკოპოსი.

დიდი გრიგოლის მოწაფეთა და მოწაფეთა მოწაფეთა ძალისხმევით, „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინიერის და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო „კვირიელისონ“ ბერძნულად ითქმის“, „გიორგი ათონელის ცხოვრების“ პასაჟის მიხედვით კი, ბიზანტიაში, წმინდა ათონზე ოთხმოცი ქართველი ყრმა წარგზავნეს სულიერი სრულყოფისათვის...

ზემოთქმული ადასტურებს, რომ „მონაღვლენი“ მარად ზრუნავდნენ ღირსეული ცვლის აღზრდაზე. „სიტყვის კონის“ განმარტებით, „ექვს წელს ზეით თვრამეტ წლამდე ყმანვილსა ეტყვიან“ (საინტერესოა, რომ „ყმანვილი“ ცალკე არაა გამოყოფილი დიდ ლექსიკოგრაფთან — საბასთან, მინიშნება-მითითება — „კაცთან ნახეო“).

„მონაღვლე“ გურამიშვილიც ლაპიდარულად განსაზღვრავს „სწავლა მოსწავლეთას“ კონცეპტუალურ პასაჟში: „ყმანვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, ნავა სადაო“.

„მონაღვლის“ ფრაზას სხვა „მონაღვლე“, ილია განაგრძობს, განავრცობს — „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა...“

ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიას კი არ დაარქმევს თავის კონცეპტუალურ კვლევას, არამედ — ქართველი ერის ისტორიას. ზემოაღნიშნულს როსტომ ჩხეიძე უზუსტეს განმარტებას უძებნის მონოგრაფიაში „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“: „ამგვარ დასათაურებას ღრმა პოლიტიკური ქვეტექსტი განმს-

ნანა კუცია

სამაგიდო წიგნი ქართველი ბავშვებისათვის



ჭვალავდა — ერი, როგორც კაცობრიული არსებობის, ცხოვრების ბუნებრივი მდინარეების საფუძველი და ქვაკუთხედი, ნარუვალი, მარადიული. ის, რასაც ქადაგებდა ილია და მისი თაობა, გაგრძელდა არჩილ ჯორჯაძესთან და ვრცელ ფილოსოფიურ თხზულებებზე შეიკრა მიხაკო წერეთელთან — ვისი „ერი და კაცობრიობაც“ თანამედროვეებმა საუკეთესო სახელმძღვანელოდ აღიარეს“.

შესანიშნავი მწერლის, ჩარლზ დიკენსის, კონცეპტუალური მონოგრაფიის ქართული სათაურის შერჩევისას, თანამედროვე „მონაღვლენი“ „ფრიადი ქართლისა“ — პაატა და როსტომ ჩხეიძეები — მართებულად შეარჩევნენ ეპითეტს „საყმაწვილო“ — არა „საბავშვო“, არამედ — სწორედ „საყმაწვილო“ — საბასა და გურამიშვილის სულიერი მემკვიდრენი.

ცნობილი ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ლადო ასათიანი და კონსტანტინე გამსახურდია ოცნებობდნენ საქართველოს ისტორიის საყმაწვილო ვერსიაზე, რომლის ხორშესხმაც (ოლონდ — ბოლომდის ვერა, სამწუხაროდ) ასევე გამოჩნულ „მონაღვლეს“, ბრწყინვალე მთარგმნელს, რედაქტორს, ესეისტს, მწერალს — ვახტანგ ჭელიძეს ერგუნა წილად.

სწორედ ვახტანგ ჭელიძე უკითხავდა თურმე ოცდაათიან წლებში ტექსტის ორიგინალს ლადო ასათიანს.

ვახტანგ ჭელიძისეული „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ — დიკენსის წიგნის ალუზიით, „ქართველთა საყმაწვილო ისტორიის“ დახვეწილი ნარატივი, „ქართლის ცხოვრებით“ შთაგონებულ-ნასაძირკვლევ, ქართველ ყმანვილთ უშორესი ისტორიის ნიაღიდან ამოატარებს უახლეს საუკუ-

ნებამდის, „სიძველის წელი ხავსის“ სურნელს აგზნებინებს, წინაპართა გზნებას...

დიკენსის დიდებული წიგნის თარგმანს რუბრიკად ახლავს ფრიად საგულისხმო — „გაკვეთილების შემდეგ საკითხავი“ („ინტელექტი“).

გაკვეთილების შემდეგ, შუშანიკის, აბოს, ხანძთელის დიადი ამბების პარალელურად, ქართველი ყმანვილი გაცნობა მსოფლიოს ერთი უმნიშვნელოვანესი ქვეყნის — ბრიტანეთის დიად ისტორიას, ქვეყ-

ნისა, რომელიც კუნძულოვანი, კამერული სივრციდან მრავალი საუკუნით მსოფლიოს ჰეგემონად, ჯეიმზ ჯოისის სახისმეტყველებით — „ზღვათა მეუფედ“ იქცა, საკუთარი ენა კი „ლინგვა ფრანკად“ აქცია.

„რამდენი ცოცხალია მკვდარ ისტორიაში“, „უსახელო უფლისციხეში“ წერდა გურამ რჩეულიშვილი... რიჩარდ ლომგული და ოლივერ კრომველი, უილიამ შექსპირი და ფრენსის ბეკონი ისტორიის ანალებიდან მხატვრული ინტერპრეტაციის, ისტორიის მხატვრულად ტრანსფორმირებული ვერსიის ფურცლებიდან პერსონაჟებად შემოანათებენ ამიერიდან ქართველ ყმანვილთაც.

ცხადზე უცხადესია, „რა ნესტრით ნაწველენი“ თარგმნიან ჩვენი თანამედროვე „მონაღვლენი“ დიკენსის კონცეპტუალურ წიგნს, რომელიც, დიკენსისავ „საშობაო მოთხრობებისა“ და „ოლივერ ტვისტისა“ თუ „დევიდ კოპერფილდის“ პარალელურად, ქართველი ბავშვების სამაგიდო წიგნად იქცევა (უნდა იქცეს) — ესაა წიგნი იმ-აზე, როგორ განვირცობა კუნძული სამყაროდ ისე, რომ არც ენას კარგავს, არც — თვითმყოფობას, არც — სახეს, პირიქით — საკუთარი ენის, თვითმყოფობის, სახის პატივისმცემლებად მოაქცევს/აქცევს სრულიად სამყაროს დიდი, დიადი ბრიტანეთი...

მთარგმნელთა კონცეფციით, „მეტად მნიშვნელოვანია „ინგლისის საყმაწვილო ისტორია“, როგორც თარგი — თუ როგორი სტილითა და გააზრებით, ექსპრესიითა და უბრალოებით უნდა ინერგოდეს საყმაწვილო ისტორია, მათ შორის, ჩვენი დრამატული ქვეყნისაც...“

„დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება“, დიკენსის „საყმაწვილო ისტორიით ხელში“ ფუფუნებაა, ბედნიერება — არამხოლოდ ყმანვილთათვის... ედუარდ გიბონისა და პიტერ აკრიოდის ისტორიულ-რეალისტურ თუ პოსტმოდერნისტულ ვერსიებთან ერთად — ყველა წიგნიერი ქართველისათვის — ასაკის მიუხედავად — „ისტორიის სულის შესამეცნებლად, შესაყვარებლად, შესაფიქრებლად“...

„ლომის გულის მაგივრად ნეტა ადამიანის გული სდებოდაო რიჩარდ ლომგულს“, ხმამალა ფიქრობს დიკენსი... ფიქრობს და დაგვაფიქრებს...

მართლაც „რამდენი ცოცხალია მკვდარ ისტორიაში“...

„ინგლისის საყმაწვილო ისტორიას“ მომავლის ეფრემი და არსენიც ნაიკითხავენ, გრიგოლ ხანძთელის, თეოდორესა და ქრისტეფორეს სულიერ შთამომავალთაგან — პაატა და როსტომ ჩხეიძეებისაგან — დაკვლიანებულნი, „კეთილისა შემწყნარებელნი, ჯერკულანისა განმგებელნი“, რათა ოდესმე კვლავ „ქართლად ფრიადი ქუეყანაი [აღირაცხოს], რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინიერვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების...“



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურის, საორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო საქართველოს მხარალობით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 772346 794004